

2666

2

ზუბალაშვილის ხსენებზე და სახელის სახსოვრად.

ქართველ კათოლიკენი

ყველა ასპარეზზე

გ

ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე

აღწერილი და დაბეჭდილი

ზ. ჯაჭინაძისაგან

თბილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. კეთათელაძისა, ნიკ. № 21

1925

9/11/1905

ქართველ კათოლიკენი

ყველა ასპარეზებდ

და

ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე

~~სტეფანე კონსტანტინესძე~~

7

მწერიდი და დაბეჭდილი

მ. ჭიჭინაძისაგან.

წიგნების

თფილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ქუთათელაძისა, ნიკ. № 21

1905

7507

ნ. 2/18

Дозволено цензурою г. Тифлисъ 1905 года 8-го марта.

უენიუენა.

ვგონებთ ამ ცნობების შემდეგ მკითხველს აღარ უნდა ეუცხოვოს მასზედ, რომ ქართველ გვარის კათოლიკენი საქართველოში ძველადგანვე უნდა ყოფილიყვნენ თუ არა? ეს ცნობები შევეკრიბეთ ოდნავ, შეძლებს და გვარად, თუ კაცი მეტს შრომას მიიღებს და გაისარჯება, ის უეჭველია ჩვენგან აღწერილ ცნობებზე გარდასხვებსაც მოიპოვებს, სხვა ცნობებიც გადაეშლებათ თვალთ წინ. ჩემი მასალები ქართველ კათოლიკეთა შესახებ ამითი დავამთავრე. ესე იგი ამ ახლად დაბეჭდილ ხუთის წიგნით, ეს ხუთი წიგნი გახლავსთ შემდეგი:

1, გრიგოლ ლუკასძე ხურსიძე და სტეფანე ივანესძე ზუბალაშვილი-ინდოეთში.

2, ქართველთა კათოლიკეთ გვარის ვაჟრები და მრეწველნი ძველადგან.

3, ქართველ კათოლიკეთ სასულიერო მოღვაწენი და მოძღვარნი.

4, ქართველ კათოლიკეთ სამოქალაქო გვამნი და მოღვაწენი ყველა დარგსა და ასპარეზედ.

5, XVII და XVIII საუკუნე და ზოგი რამ ცნობები ქართველ კათოლიკეთა შესახებ.

უეჭველია ამ ცნობებითაც დარწმუნდება მკითხველი, რომ თუმცა საქართველოში კათოლიკეთა რიცხვი არ არის დიდი, თუმცა ჟამთა ვითარების წყალობით იგინი საკმარისად შემცირდენ, მაგრამ მიუხედავად მის, შათს მცირე რიცხვიდამ ქართულს საერო და სასულიერო სამოღვაწო ასპარეზს ყოველთვის ჰყოლიან დამამშვენებელნი და საქმის მკეთებელნი. ამას მგონი ექვი აღარ მოუნდება და თვით ის უცხო პირნიც

დარწმუნდებიან ჩვენს სინამდვილეზედ, რომელნიც ამტკიცებდნენ და კვალადაც ამბობენ, რომ საქართველოში ქართველ გვარის კათოლიკენი არც ყოფილან და არც არიანო. ამის შესახებ კამათი რა საჭიროა, სჯა და ბაასი. ექვის პასუხად ეს წიგნები გახლდესთ, სადაც ქართველ კათოლიკეთა მრავალთ ჩენილთ მოღვაწეთა, მშრომელთა და მრეწველთა ბიოგრაფიული ცნობებია ანუსხული და მათგან განაკეთ საქმეთა ცნობებიც. ეს უფრო კარგად ახსნის საქმის გარემოებას.

ყველა ასეთ მასალებთა ბეჭდვის დიდათ მოსურნე იყო აწ განსვენებული სტეფანე კონსტანტინესძე ზუბალაშვილი. 1904 წ. აპრილის და მაისის რიცხვებში ცნობებიც ნახა და დაბეჭდვისთვის თვისი სამზადისიც დაგვირდა. დიდათ ეინტერესებოდა ქართველ კათოლიკეთ ვაჭრებთ ცნობები და ნამეტურ ინდოეთში ყოფილ გრიგოლ ხურსიძის და სტეფანე ივანესძე ზუბალაშვილის აღწერის.

უნდა ითქვას, რომ სტეფანე კონსტანტინესძე ზუბალაშვილი ასეთ კითხვებს გარდა მთლად საქართველოს ისტორიასაც გულს მოდგინეთ ავლებდა თვალთ ყურს, უყვარდა ჩვენს წარსულზედ ლაპარაკი, ნამეტურ ქართველ მაჰმადიანთ შესახებ.

ქართველთ მაჰმადიანთ ცხოვრებისაგან გაკვირვებული იყო და როგორც კარგს ქართველს მამულისშვილს დიდათ უკვირდა ამოდოლა ქართველთ გათათრება და ქრისტიანობიდან განდრეკა. დიდათ ენატრებოდა ამათ შესახებ წერა და წიგნების ბეჭდვა. „ქართველების გათათრება“ წაეკითხა და ანუსხულის ცნობებიდგან გაკვირვებულიყო. აღარ დასცალდა, თორემ იგი ამ ხალხთა მწიგნობრობის აღსადგენად კარგს სახსარს აღმოაჩენდა. ასეთ თვისების და მამულისშვილობის გამო ეს ჩვენგან მიერ ხუთი გამოცემაც სტეფანე კონსტანტინესძე ზუბალაშვილის ხსენებას მიუძღვნით.

ქართულ კათოლიკეთ მოღვაწენი.

ივანე ჩიგაინი XVIII საუკუნის გამოჩენილი პირი, აზნაურის შვილი. თფილისელი, აღმწერი სხვა და სხვა წიგნების ქართულს ენაზედ. ამისგან შედგენილი ერთი ლოცვის წიგნი 1740 წ. რომში დასტამბეს. კარგად სცოდნია ლათინური, იტალიური, ფრანგული და თათრული, ქართულიც უფრო კარგად. რომში სასწავლებლად ეს თფილისიდამ წასულა 1730 წლებში.

იოანე ორბელიანი. გაფრანგებული XVIII საუკ. ერთ დროს საქართველოს მსაჯულიც. მწერალი და მთარგმნელი ქართულის წიგნებისა. მცოდნე ლათინურის და სხვა ენების, ამან სთარგმნა სხვათა შრომის პროკლე დიოდოროსის წიგნი „კავშირი“ და სხვაც მრავალნი. იყო კათოლიკობის დიდი მოღვაწე-მეტრფე, მფარველი.

ვახტანგ ორბელიანი. ძმა საბასი. რომში წავიდა, იქ მიიღო კათოლიკობა. საქართველოში აღარ დაბრუნდა, იცოდა ენები ლათინური, იტალიური და ფრანგული. იყო კათოლიკე და მის მოღვაწე. ქართულს ენაზედ წიგნებს სთარგმნიდა მრავლად, მის ნათარგმნთ ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს. სწერდა მრავლად ლექსებს: მისი ლექსების ძველს წიგნებში მრავლად არის დაშთენილი. გარდაიცვალა რომს, 1740 წ. ვახტანგ ანტონ კათოლიკოზი მიძიმეთ ჰკაცხავს გაფრანგების გამო „მზა შეტყველებათი“. როგორც საბას, ისევე ვახტანგს დიდი შრომა აქვსთ დადებული თფილისის ქართველ კათოლიკეთა მფარველობაზედ.

ზაალ ენიბეგოვი XVII საუკ. პირია, თფილისელი. ამათ წინაპარნი კათოლიკის სარწმუნოებას აღრიდგანვე დაკავშირებთან. ზაალ ენიბეგოვი თფილისის პატრების გავლენის ქვეშ

დროს მიღწეულს კარგად შეუწავლია კათოლიკეთ სჯული, ლათინური, იტალიური და ფრანგული ენები, აღმოსავლეთის ერთა ენებიც კარგად იცოდა და მასთან ქართულიც. თავის დროს, იგი რომის კონგრეგაციის წინაშე ცნობილი იქმნა სხვა და სხვა მისიონერებისაგან როგორც კარგი მთარგმნელი ლათინურ-იტალიანურ და ქართული ენის, მასთანვე პატივ საცემი პირიც, სახელოვანი თავის დროის თფილისის ქართველთ წინაშეც ქართული მწიგნობრობითაც.

XVII საუკუნის ნახევარს, ბერნარდე ნიაპოლელმა რომს წერილების წერა გაუმართა საქართველოდამ ქართველ კათოლიკთ შვილების შესახებ, რომ ყმაწვილების გზავნა რომში ერთობ ძვირად ჯდება, ვერც მოდიან ოსმალთა შიშითო. ხარჯი დიდი უნდაო, ამიტომ ვითხოვთ, რომ საქართველოს დედა ქ. თფილისში განწესდეს ისეთი კაი სასწავლებელი სადაც აღიზრდებიან აქაური ბავშვებო. ეს ერთობ იათად დაჯდება და თფილისში ორჯერ მეტიც აღიზრდება იმ ხარჯით, რასაც რომის მისიონი საქართველოდამ წასვლაზედ დახარჯავს. ამავე ბერანდეს ქართულად შეუდგენია „საქრისტიანო კატეხიზმო“. რომის მისიონი ბერნარდეს რომში იბარებს 1681 წ. ავალებენ: თან შენი „კატეხიზმოც“ წამოიღეო. „კატეხიზმო“ შეუსწოვრბია ზაალ ენიბეგოვს და ამას აი ეს შენიშვნაც მიუცია.

„შემოწმება. მე ზაალნ ენიბეგი, ქართველი პირველი კათოლიკე, მოწათფ თფილისში მყოფ მისიონერ პაპუცინებისა, სადაც სპარსეთის მომაგიერე ზის, რომელთანაც ვიყავი და ვარ მოენე და მდივანი ქართულს, სომხურს, სპარსულ, თათრულს და იტალიურის ენისა, ვამოწმებ, რომ ღვთის მეტყველი პატრების შემოწმებით და წმიდა კრების სეკრეტარ ეპისკოპოსის ჩიბოს ბრძანებით, წავიკითხე და გარდავიკითხე ყველა ნაირი სიფრთხილით ეს წიგნი. შედგენილი სამოცი ქულო მისიონერ პატივცემულ მამა ბერნარდე მარია ნეაპოლელისაგან. არაფერი ვპოვე წინაღმდეგ რომის კათოლიკე

სარწმუნოებისა, ანუ კეთილის ზნეობისა, რადგან ყოველი სიტყვა ნათარგმნია კარდინალ ბელარმინოს პატარა საქრისტიანო მოძღვრებიდან ქართულს ენაზედ. ეს წიგნი ამ სამეფოში მოსული დიდად სასარგებლო იქმნება, რადგანაც საიდუმლოების შესახებ ცნობები სულ არეულ დარეულია და ვერც ხელთ ნაწერებით დაუკმაყოფილებიათ ეგოდენი პროვინციების საჭიროებისათვის, ამისათვის დიდად საჭიროდ ვრაცხ რომ ეს დაიბეჭდოს. ქ. ენიბეგანთ ზალინა, როგორც ზემოთ წერილია დავამტკიცე“.

ამავე თარგმნის სისწორეს იმავე დროს ამტკიცებს საქართველოდამ რომს მისული პატრი იოსებ ანტონ რომაელი. აქ მოყვანილის ცნობით სჩანს რომ ზაალ ენიბეგოვი მწიგნობარი პირი ყოფილა. დიახ ეს ასეა და იგი სხვა ცნობებითაც თავის დროის კვალად დიდად მწიგნობარ და მთარგმნელ პირად სჩანს, მას მრავლად უწერია სხვა და სხვა წიგნები ქართულს ენაზედ.

განრიგე ანდრეიკოვი. კაცი თავის დროს საკმარისად ცნობილი და კარგის დიდის ოჯახის შვილი. ენდრონიკა შვილების გაფრანგება სპარსეთს ეკუთვნის, შაჰბაზის დროს. კათოლიკე ენდრონიკა შვილები გაფრანგების შემდეგ სპარსეთიდან საქართველოში მობრუნდენ, მიტომ თავადობაც სადავოდ გაუხდათ. გაბრიელი 1840 წლებამდის შესამჩნევ მოღვაწეთ ითვლებოდა, მისვან ბევრს ლატაკს ეძლეოდა დახმარება და საშუალება, რათა სილატაკისაგან არ დაღუპულიყოს. ამის სახელს სიამოვნებით მოიხსენებს მ. თამარაშვილიც. ვიცით კარგად, რომ ამ პირს თავის დროისთვის სხვა და სხვა ნაწერებიც ჰქონია ქართულს ენაზედ ნაწერ ნათარგმნი დასაბეჭდათ მომზადებულნი.

ექიმო ანდრეა კუიფაინე. გამოჩენილი ექიმი XVII საუკ. მეფის შაჰნვაზის დროს. ანდრია ექიმი შემდეგ დროში ერთი სხვაც იყო, მაგრამ ეს კიდევ სხვაა. ანდრია სარწმუნოებით კათოლიკე ყოფილა და მთელს საქართველოს ერში დიდად

განთქმული და ამალღებული, შაჰნავაზ მეფის წინაშე მას დიდი ხმა და გავლენა ქონია. ესევე პირი ყოფილა კარგი ქართული მწიგნობარი და ქართულს ენაზედ მრავლად უწყებია სხვა და სხვა სამეურნო წერილები და ზოგიც ვრცელი წიგნები. ეს ექიმ ანდრია ქართველ ხალხს თურმე დიდათ უყვარდა. ამას მ. თამარაშვილიც მოიხსენებს. მის ნაწერების ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. ეს ანდრია ექიმის იქამდე მომზადებული ყოფილა, რომ რომის კარდინალებს თვით სწერდა წერილებს XVII საუკ. ლათინის ბერების მოწმობით. ამ ექიმ ანდრიას გვარი ქიოელი ყოფილა-იმერელი. ქიოელი არ ვიცით რას უნდა მოასწავებდეს.

ივანე გოკიელოვი. 1780 წლებში, რომში სიანს, პროპაგანდოს წინაშე და იქ ფიცს აძლევს კრებას მოწაფობის გამო პროპაგანდოს სასწავლებელში სწავლის მიღებისათვის ერთგულად. ამ ივანე გოკიელის დროს, სხვა ქართველ კათოლიკეთ ძენიც ყოფილან რომის კონგრეგაციის წინაშე გაგზავნილები სასწავლებლად. მათი ცნობა ჩვენ არ გვაქვს. ხოლო ის კი ვიცით, რომ ყველა ეს ქართველ კათოლიკეთ შვილები კარგად მომზადებულნი ყოფილან საქართველოშივე. სკოლნიათ სხვა და სხვა ენები და მასთან ქართული და საქართველოს ისტორიაც. თვითოღული მათგანი ერთი მეორისგან რამე განსაკუთრებითი ცოდნით განირჩეოდა თურმე. ასეთივე ყოფილა ივანე გოკიელოვიც და თავის დროს შესმენილი პირიც. ამის ცნობებს მ. თამარაშვილიც მოიხსენებს, ეს ცნობები რომისს არქივებში მოუპოვებია.

ყაჩან გოზაშვილი. კათოლიკე სარწმუნოების, რომში აღზრდილი და ქართულს ენაზედ რომშივე საკითხავ წიგნების მთარგმნელი. ამ მწიგნობარ ყარან გოზაშვილის სახელი ჩვენ არ ვიცით. ამას მოიხსენებს მ. თამარაშვილი. ეს პირი ყარანგოზისშვილის გვერდით სხვასაც მოიხსენებს, მაგრამ იმათ იქ არ ვახსენებთ, რადგანაც იგინი შემდეგ დროს სასულიერო წოდებაში იქმნენ შესულნი, ესენი მსხავან გვაქვს ანუსხული.

ანდრია ქართველ კათოლიკე XVII საუკ. პირია. პატარა ანდრიას 1640 წ. საქართველოდამ რომში გზავნიან აღსაზრდელად. გაგზავნის მეთაურობას იმ დროის სამეგრელოში მსახური უფროსი პატრი იოსებია. ანდრია რომში მისული შედის პროპაგანდოს სკოლაში. იქ სწავლობს შესანიშნავად, რასაც მ. თამარიშვილის სიტყვით: იმ დროის სკოლის ცნობებიც მოწმობს ამ ანდრიას ნიჭიერებას. იგი თურმე შესანიშნავს დისერტაციებს სწერდა. მიხ. თამარიშვილი სწერს:— „ანდრია შეტად დაწინაურებულა ფილოსოფიურ და საღვთის შეტყველო საგნებში, ბევრი გზის დაუწერა დისერტაცია, დაუცავს და გაუმარჯვნია, სამწუხაროდ ესრედ ნიჭიერი მეგრელი რომშივე კარდაიდგალა სწავლის დასრულებამდე“ გ 193. სამწუხაროდ ამ პირის შესახებ სხვა რამ ცნობები არ გვაქვს.

ანტონ ქართველ კათოლიკე. აგრეთვე ქართველი, ანუ იმერელი. თანამედროვე პირია ანდრია მეგრელ-ქართველისა. ესეც რომშივე გაგზავნეს სასწავლოდ, ანდრიასთან ერთად სწავლობდა, თუმცა ანტონს ანდრიასავე დიდი ნიჭი არ ჰქონია, მაგრამ მაინც იგიც წინ წასულა სწავლაში და ესეც სწერდა თურმე სხვა და სხვა დისერტაციებს. ასეთ პირთა ცხოვრების ცნობები ჩვენთვის საინტერესოა, რადგანაც იგი შეეხება XVII საუკ. ევროპაში წასულთ ქართველთ სწავლა განათლების საქმეს. საინტერესოა მით უფრო, რადგანაც საქართველოდგან იქ მისულთ ქართველ ყმაწვილები საღვთისმეტყველო საგნებს გარდა სწავლობდნენ მკურნალობას და ვაჭრობასაც, რაც მ. თამარიშვილსაც აქვს მოხსენებული, რომ XVII საუკ. ნახევარს, საქართველოდამ რომში მივიდა ერთი ქართველი ყმაწვილი თავის საგზაო ხარჯით და იქ ვაჭრობის შესწავლა დაიწყო თავისავე ფულითაო.

ალექსანდრე მამულაშვილი. დაიბადა 1798 წლის რიცხვებში. სწავლა მიიღო პირველ დაწყებით თფილისს, კათოლიკეთ პატრების წინაშე. შემდეგ რომშიაც იყო, თავის კვლად განათლებული პირი იყო. 1830 წლებში იგი მასწავლებლად

იყო თფილისის კათოლიკეთ ეკლესიის სკოლაში. იყო ქართველთ მწიგნობარი და ქართულ მწერლობასაც გულ მხურვალედ მისდევდა. ქართულად სწერდა კიდევ, სხვათა შორის მისგან ქართულს ენაზედ შედგენილია ქართველთ კათოლიკეთ ლოცვის წიგნი. სახელდობრ „წალკოტი ლოცვათა“ ეს ლოცვები მას 1820 წლებში სხვა და სხვა უცხო ლოცვის წიგნებიდან გადმოუთარგმნია, გადმოუქართულებია და ისე შეუდგენია. დღემდე ეს ვრცელი წიგნი დაუბჭდავია. სხვა ხელთნაწერებიც მრავლად ჰქონია, მის სიკვდილის შემდეგ ყოველივე დაკარგულან.

ფერშანგოვი. XVII საუკ. პირია. ანუ „ფერშანგი ფაში“ გვარი ბერტყაძე გახლავსთ. ფერშანგოვი გორელი იყო, ამათ წინაპარნი ძველადგანვე დაუკავშირდენ კათოლიკობას, იგი იყო მწიგნობარი კაცი. მან დასწერა ზღაპრული მოთხრობა „ფერშილანია“ ამ წიგნის სახელს არჩილ მეფეც მოიხსენებს თავის ლექსებში.

სტეფანე ფერშანგი. გორელი. XVIII საუკუნის და XIX საუკუნის პირი. კარგი მეღეჭე. თავის დროს გამოჩენილი, სტეფანე ფერშანგის ლექსები მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. ამის მამა ძალით სომხის სჯულს დაუკავშირეს 1780 წლებს და ამიტომ ესეც მათვე ეკუთვნოდა, ძველთაგანკი ფერშანგოვები მთლად კათოლიკენი იყვნენ. სტეფანე ფერშანგი კაი მეთარე-მეჭიანურე იყო თავის დროს და მასთან ქებულიც. ფერშანგი დღეს კათოლიკის სჯულის აღარავინ არის, გასომხებულლებიკი არიან.

თათულა უარაევი. ძველთაგან დაკავშირებული კათოლიკობასთან. ერეკლეს მეფის ექიმი და ცნობილი აზნაურისშვილი, მეფე ერეკლეს წინაშე დამსახურებული და დიდათაც ქებული საკეთილოს საქმეებით. თავის დროს იყვეო დიდათ სახელოვანიც.

ანტონ უარაევი. მეფის ექიმი და ერთიცა და მეორეც მომსწრე საქართველოს რუსეთთან დაკავშირებასა. დიდი პატივი.

აქენდა მეფე გიორგის ამ ანტონ ყარაევისა. ანტონ ყარაევი თავის დროს იყო წარჩინებული ქართველი, სახელოვანი მწიგნობარი და კარგი მკურნალ, დოსტაქარი.

რათეფელ დანბეგავი, თფილისის მცხოვრებ ქართველ კათოლიკეთაგან, მეფე ერეკლისაგან ინდოეთს ელჩათ გაგზავნილი. ინდოეთიდან მობრუნდა საქართველოში 1799 წ. ამის მოგზაურობა საქართველოდამ ინდოეთამდის ქართულად დაწერილი რუსულად სთარგმნა და მოსკოვში ცალკე წიგნად დასტამბა 1819 წ. იხილეთ ამაზედ ცალკე ცნობანი.

გრიგელ ლუკასძე ხუჩხიძე. შეძლებული ვაქარი, დიდი შეძლების პატრონი და ინდოეთში მცხოვრები. გარდიც. 1920 წ. იხილეთ ამაზედ ცალკე წიგნაკი.

ანდრია უჩაიანი. ცნობილი ექიმი მეფეთა დროს. მათ შემდეგ რუსის მთავრობის წინაშეც კარგად გამოჩენილი. 1812 წ. ამ მკურნალს თ. ს., ერისთავი მადლობას სწირავს, რომ შენ ანდრია ოსეფის ძე ყარაევმა, ლეკრმა, დიდი შნო და ნიჭი გამოიჩინე ჩემის ოჯახის რჩენაშიო და მასთან მთელ საქართველოს ხალხშიაცო.

ექიმი აკოფა. კარგი მკურნალი და მოღვაწე თავის დროის კვალად გორში 1820 წლებში.

ალექსანდრე აქიმი. ცნობილი პირი 1820 წ. გორს. ორთავ ამ მკურნალთა გვარები ქარაევი უნდა იყოს. ორივე კათოლიკენი. მოიხსენებიან გორის ეკლესიის კონდაკში.

იოსებ უჩაიანი. ექიმი და ცნობილი პირი 1830 წლებში.

ფანე უჩაიანი. ექიმი და ცნობილი პირი თავის დროს.

ერასტი თურქიტანისშვილი. იყო ვახტანგ მეფის თანამედროვე. თფილისში ლათინთ პატრებთაგან გამოიწურთნა, შეისწავლა ლათინური, იტალიური და ფრანგული ენები. იყო მწიგნობარი. დაუკავშირდა კათოლიკობას. ვახტანგ მეექვსეს რუსეთში გადაჰყვა, იქ გარდაიცვალა. ამან ქართულს ენაზედ სთარგმნა სოკრატის სწავლა. ეს თარგმანი იმავე დროს ვა-

ხტანგ მეფემ გალექსა. გალექსილი დაბეჭდილია 1853 წ. „ცისკარში“.

გაბრიელ გელჟანია. თანამედროვე-ვახტანგ მეფის, მის ნა-
მოწაფარი თფილის. კათოლიკე პატრებისაგან გაწვრთნილი და
განათლებული. კათოლიკობას თფილისში დაუკავშირდა. სა-
ბა ორბელიანს თან უნდა გაჰყოლოდა რომს, მაგრამ ეს ვერ
მოუხერხდა. ვახტანგ მეფეს რუსეთში გადაჰყვა. იყო მწიგნო-
ბარი. ამან რუსულის ენიდამ ქართულ ენაზედ სთარამნა
„საქვეყნო აღწერა“ გეოგრაფია, რომელიც რუსულს ენაზედ
პეტრე დიდის ბრძანებით პეტერბურგს იქმნა დაბეჭდილი.
გეოგრაფია ოთხ ნაწილად გაიყოფება. გაბრიელის გარდაცვა-
ლება 1750 წ. მიეწერება. ეს თარგმანი ინახება „წერა-კითხვის
სამართველოს წიგნთ საცავში“. სხვა ნაწერებიც ჰქონია ამ
პირს.

ზურაბ შანშაჯანია. თფილისელი. სარწმუნოებით კათოლი-
კე, ამიტომსომხად წოდებული. იყო თავის დროს განათლე-
ბული და გამოჩენილი გრამატიკოსი. იცოდა სხვა და სხვა
ენები. სომხურის ენიდამ ქართულს ენაზედ გადმოუკეთებია
ქართული გრამატიკა. ეს გრამატიკა 1881 წ. პეტერბურგს
პროფესორმა ალ. ცაგარელმა დაბეჭდა წიგნად. პ. უმიკაშვი-
ლის სიტყვით ამავე ზ. შანშაჯანს ქართულს ენაზედ უთა-
რგმნია შემდეგი წიგნები სომხურის ენიდამ: 1, „შეყვანილება“
პორფირისა და 2 „პერი არმენია“ (1877 წ. „ივერია“). ეს
წიგნები ჩვენ ძველათაც გვაქვდა ნათარგმნი, XI საუკუნეში.

დამიტრა ჩრბეჯანია. თანამედროვე საბა ორბელიანის.
კაცი მწიგნობარი და ცნობილი თავის დროს. იყო კარგი
მელექსე. კათოლიკის სჯულის მფარველი, მასთანვე დაკა-
ვშირებული. ამას ეკუთვნის გამოჩენილი ლექსი „ხაჯთა ქე-
ბა“ და „ახანთ ქებანი“ რომელნიც დასტამბულები არიან
ქართულ წიგნებში. დამიტრი ორბელიანს ანტონ კათოლიკო-
ზიც მოიხსენიებს „მზაშტეველჟანში“ და ჰკიცხავს რომ დი-
მიტრი თავის ლექსებით ამაოდ დაშვრავ, რადგანაც კათო-
ლიკობას დაუკავშირდაო.

ივანე ზეტეს ძე ამიხლასვილი. ამათი ძველი გვარი ამირ აღას შეილია. ამათხედ ასე ვიცით და არა ამირალოვი. ძველადგანვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან. ზოგნი სომეხნიც არიან. ივანეს დაბადება XVIII საუკ. მიეწერება. ივანე ამირალოვი თავის დროს ქართული მწიგნობარი ყოფილა, მწერალიც კათოლიკეთ დიდი მფარველი. ამის ნაწერებმა ჩვენ დრომდე ვერ მოაღწიეს. ამის სახელს მ. თამარაშვილიც ახსენებს.

ნიკოლოზ ბიჭიაშვილი. თფილისელი. დიდი თანამგრძნობელი ანტონ კათალიკოზისა და მრჩეველიც სხვათა კათალიკობის შესახებ. იცოდა ლათინური ენა კარგად; იყო პატრების დიდი მეგობარი. რუსული ენაც სცოდნია, ქართულს ენაზედ ამას შეუდგენია წიგნი „დაჯექტიკა“. აგრეთვე უთარგმნია რამდენიმე თავი „დაბადებისა“ ბერძნულის ენიდამ.

ნიკოლოზ ჩაჩიაშვილი. დიდი მეტრფე ანტონ კათალიკოზის, კათალიკობის გამო დიდი ბჭობის ამტანი. იყო პატრების დიდი მოყვარე და პატივის მცემელი. იცოდა ენებიც. ბერძნულის ენიდამ გადმოსთარგმნა ქართულს ენაზედ „ხრანგრაფა“ კათალიკობისთვის იყო დევნილი.

ივანე რსეშვილი. ანტონის განძრახვის დიდი პატივის მცემელი და კათალიკობის მოღვაწე. იყო მწიგნობარი და დიდათ სახელ განთქმული, ამან დასწერა ანტონ კათალიკოზისაგან დაწერილ „მეტფისაის“ განმარტება და „ლოდიკის“ ერთ დროს კათალიკობისთვის ესეც სდევნეს.

იოსებ ტრეშმეგანი. ზოგნი სომეხნი არიან, ზოგნი კათოლიკენი. იოსებიკი კათალიკის სჯულის იყო და სომხად იწოდებოდა, რადგანაც სომეხ კათოლიკეთ ირიცხებოდა. იოსები ევროპაში აღიზარდა. იყო ენების მცოდნე. 1780 წ. ამან მეფე ერეკლეს თხოვნით აღწერა მთელი თფილისის ხალხი, სახლები, სავაჭროები, ქარვასლები, ქარხნები და სამეფო სახლები. ეს აღწერა 1781 წ. ეკატერინა იმპერატრიცას წარუდგინა ტრაქტატის გამო. ამ ძვირფას აღწერის პირმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

სარიდონ ჩაღყაშვილი. ჩოლოყაშვილები კათოლიკობას XVII საუკ. დაუკავშირდნენ სპარსეთში, ქეთევან დედოფლის დროს, მის მახლობლივე. ეს სარიდონი მათი მომდევარია. დღეს კათოლიკ ჩოლოყაშვილების აღარავინ სკხოვრებს. სარიდონი იყო მწიგნობარი კაცი და ლათინთ პატრების გავლენით გაზრდილი. ქართულს ენაზედ ამან სთარგმნა „თექემაკი“ და „კარაბადინი“. რუსული ენაც იცოდა.

რევაზ უფჩიბაშიშვილი. თანამედროვე ვახტანგის შვილისი ბაქარისა. თფილისში აღიზარდა ლათინთ პატრების წინაშე. კათოლიკობასაც აქვე დაუკავშირდა. შემდეგ დროს რუსეთში იქმნა გადასული. ერეკლეს გამეფების დროს საქართველოში დაბრუნდა. იცოდა ლათინური და ფრანგული ენები. ასევე ქართული და თათრული იყო მეფე ერეკლეს არტილერისტად. ამან ქარიულს ენაზედ სთარგმნა „პანტეონი“. შინაარსი ამ წიგნის არ უწყით.

თ. იოსებ თუმანიშვილი. ძე მდივნისა. იყო ცნობილი მწიგნობარი თავის დროს და სახელოვანი მეფეთა დროდგანვე იყო კარგი მელქსე და სწერდა ლექსებს მრავლად. გარდაცვალება ეკუთვნის 1820 წლებს, კარკად მომსწრე იყო მეფე ერეკლეს მეფობისა.

დამიტრი თუმანიშვილი. ძე იოსებ მდივნისა. ბატონიშვილი რომ რუსეთს გადაასახლეს, ესეც თან გაჰყვა მათ. იყო კარგი მელქსე და ლექსებს სწერდა მრავლად. ნამეტურ სიმღერო ბაიათებს. ამის ლექსებში ცნობილია კარგად: — „გაშრისანაზნი“ „ახაჯ აღნაგო სუჯადო“ და სხვანიც მრავალნი.

დამიტრი ციციშვილი. თანამედროვე მეფე ერეკლესი. დიდი მეგობარი პატრებისა და მათი პატრივისმცემელი. იყო კარგად მცოდნე ლათინურის ენისა და მთარგმნელი ქართულს ენაზედ. ამან სთარგმნა ქართულს ენაზედ მრავალნი წიგნნი, უკანასელო დროს ისევე დაუბრუნდა მართ-მად. იგივე კაი მცოდნე იყო რუსულის ენისა.

ბეჟან მღვდელი. საბა და ვახტანგის თანამედროვე. საიდუმლო კათოლიკე. მწერალი და მოღვაწე. ქართლიდამ სდევნეს ამისთვის, იმერეთს იქმნა ექსორიად გაგზავნილი. საბა და ვახტანგი რომ რომში წავიდნენ, იმერეთში ამას გაუარეს გზად და ნახეს. კათოლიკობაზედ გაამაგრეს. ამის ცნობა დაბეჭდილია 1853 წ. „ცისკარში“.

ზურაბ ზუბალაშვილი. სცხოვრებდა XVII საუკუნის საშუალოს. ცხოვრების წელნი მისწვდება XVII საუკ. ბოლომდე.

გიორგი ზუბალაშვილი. დაიბადა 1694 წ. ცნობილი გვამი თავის დროის კვალად + 1771 წ.

მერაბ ზუბალაშვილი. და 1698 წ. სოფ. ხიზაბავრს, ამიტომ მას გორის პატრი 1740 წლებში ხიზაბავრელად ასახელებს. თავის დროის კვალად ცნობილი გვამი საქართველოში.

გიორგი მღვდელი ზუბალაშვილი. თანამედროვე ვახტანგ მეფისა, მწიგნობარი და მასთანვე ქართულ საღმთო სჯულის წიგნებთა შემსწორებული, რომელ წიგნებიც დაბეჭდილ იქმნენ ქ. თფილისს 1709 წ. იგივე სწერდა სხვა-და-სხვა ისტორიულს წერილებსაც საქართველოს შესახებ. ძველს სიგელ გუჯრებში ასე ასახელებენ. შემდეგი ცხოვრება ამისი ჩვენთვის უცნობია. ვგონებთ იგი გადჰყვა რუსეთში ვახტანგ მეფეს სადაც გარდაიცვალა კიდევ, ასე რომ საქართველოში იგი აღარ დაბრუნებულა, ამის ცხოვრების ცნობები არ შეიძლება რომ არ აღმოასწინდეს სადმე ძველი სიგელ-გურჯებში.

ანდრია ზუბალაშვილი. დ. 1690 წელს. სცხოვრებდა ქ. გორს, თავის დროის კვალად იყო ცნობილი გვამი ქ. გორს. იყო თანამედროვე მეფე ვახტანგის და თეიმურაზის ამის გარდაცვალება მიეწერება 1772 წლებში. სიბერის დროს ანდრია უსინათლო იქმნა, მასთანვე დაკუტდა. უსინათლომ და კუტმა დიდხანს იცოცხლა, 1755 წლებში, მეფე თეიმურაზ. დიდათ ავედრებდა ქ. გორში კათოლიკეთა ეკკლესიის დაბრუნებას. მეფის წინაშე იყო თამამი და მეტყველი (ნაამბობი ანტონ დავითის ძე ზუბალაშვილის მიერ).

რომანოზ ზუბალაშვილი. მომსწრე მეფე თეიმურაზის, ერეკლესი და გიორგის. მკოდნე სასტამბო საქმეთა, წიგნების მბეჭდავი და ცნობილი გვამი საქართველოს ისტორიაში. ამან მრავალი ბეჭდა ქართული წიგნები ქ. თფილისს და ამის შვილებმა: დავითმა და გიორგიმ ქუთაის. ამის სახელი და გვარი მოიხსენება თვით მისგან დაბეჭდილს წიგნებზედაც: ამის შესახებ სხვ- და სხვა ცნობები მრავლათ მოიპოვება აქა იქ ძველს წიგნებში. მისი გარდაცვალების წელნი ჩვენთვის უცნობია. ამაზედ იხილეთ პროფესორის ალ. ცაგარელის შრომა: (свѣденія о поматникахъ грузинской письменности).

იოსებ ზუბალაშვილი. დაბადება მიეწერება 1650 წლებში. ჩვენთვის უცნობია მისი გარდაცვალების წელნი და ცხოვრების ცნობები.

ლუკა და იოსებ ზუბალაშვილები. ოქრომჭედელნი, გამოჩენილნი ხელოსანნი თავის დროის კვალად ახალციხეში. ამათი ხელოსნობა შესანიშნავი ყოფილა საერთოდ. სამწუხაროდ ამათის გარდაცვალებით მოიხპო ახალციხეში მათი სამაგალითო ხელოსნობა და მასთან გვარიც, რადგანაც უძეონი იყვნენ.

გიორგი ზუბალაშვილი, ძე ივანესი ცნობილი გვამი თფილისში დ. 1782 წ. + 1894 წ.

დავით ზუბალაშვილი. ძე ივანესი, დავითი თავის დროის კვალად გამოჩენილი ადამიანი, იყო დიდი სათნოების დასიბრალოლის მექონი გორის შეუძლოთა. ამის ასეთ ღირსებას ქვემოდ მოყვანილი ლექსიც ასაბუთებს. დავითის კეთილ მოქმედების შესახებ გორის მკვიდრთ შორის ბევრი კარგი ცნობებია დაშთენილი + 1866 წ-

სტეფანე იზმირელი. ახალციხელი. თავის დროს დიდათ გამოცდილი, მკოდნე აზიურის ენების, იყო გამოჩენილი ვაქარი თავის დროს, დიდი მფარველი კათოლიკობისა ახალციხეში. ოსმალთა მფლობელობის დროს მეტად დიდი ხმა და გავლენა აქვდა მას ადგილობრივ ოსმალთა მთავრობაზედ.

სგი იყო კარგად მცოდნე დასავლეთ საქართველოს ძველის და ახლის დროის ისტორიისა. ნამეტურ იცნობდა ოსმალეთის ქართველთ ყოფა ცხოვრებას. სწერდა კიდევაც, სამწუხაროდ მის ისტორიულ წერილებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. გარდაიც. 1850 წ. ღრმად მოხუცი.

ალექსანდრე ენდრეიკაშვილი. კაცი თავის დროს ცნობილი და კარგად მცოდნე ქართულის წერა-კითხვისა. ყოფილა მწერალიც. თავის დროს, კათოლიკეთა და სხვათა წინაშეც მორიგების და გარიგების წერილებიც ამას უწერია მრავლად. წერაში ქებული ყოფილა და მოხერხებული. სადავო საქმეებში ზავის ჩამოგდების მიდრეკილებაც დიდი ჰქონია. ამის სახელს მ. თამარიშვილიც მოიხსენებს.

ალექსანდრე ჩიქოვანი. შთამომავლობით თავადის შვილი, სარწმუნოებით ქართველ კათოლიკე. თავის დროის კვლად შესანიშნავად განათლებული კაცი, შესაფერად სწავლა დამთავრებული, მცოდნე სხვა და სხვა ენების და მასთან მწიგნობარიც. იყო ზედ მიწვევით მცოდნე საქართველოს ისტორიის, ქართველის ხალხის ძველი და ახლის ცხოვრების, მეტად გულჯდამწვარი თანამედროვე გარემოებისა და დროთა ცვლილებებისაგან. ოხვრით და გოდებით მომთხრობი ნ. ბარათაშვილისებურის ხანისა. 1830 წლებში, თფილისის კეთილშობილთ სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლათაც იყო. ამისაგან გასწორებული რვეულები მეცმინახავს. ალექსანდრე ჩიქოვანი პატარაობიდანვე დიდის ხალისით ეჩვეოდა ქართულ მწიგნობრობას.

იგი იყო კარგი მეგობარი ნ. ბარათაშვილის, ალ. ქავჭავაძისა და თითქმის თანამედროვე და თან შესზრდილი პირი ყველა იმ ქართველთ მწერლობის და მოწინავე ქართველ გვარიშვილების, რომელთა დაბადებაც 1800 წლების შემდეგ მიეწერება და რომელთაც შემდეგ თავიც ისახელეს. ალ. ჩი-

ქოვანისაგან გადაწერილი ნ. ბარათაშვილის ლექსების რვეული მე მაქნდა, ამ რვეულში ალ. ჩიქოვანი ნ. ბარათაშვილის „ბედი ქათლის“ დაწერის გამოქვბას უძღვნის. აი თვით ეს ლექსიც.

„ბედა ქათლისაჲ, გვიმტკიცებ: ტფილისის მკჳმადხანს მომ-
[სუჯელად;

მუნ ციხის კართა განდებულთ — იუდით. . . ასახრებლად,
მეუის ერეკლეს მხნეობის, სიბრძნით ქართუელთა მზრკველად:
სოლომონ მსაჯულთ და სხვა გვამთ... ერთგულ მამულას შეობელად.
მშენიერ შეწუბობლობით, მოგვითხრობს ჭაზრთა — გალობით,
გალობა შენი დაბდალულს, გულს ჭბაღთავს, — შენის საღმობით. —
გულთა მხილავი გულთ ხედავს, გულია მსხვერპლთა თანხმობით,
რადგანაც დედათაც აწვე .. ჩრდილოდებსა ქარიშხლობით, —
ვინცაა შენი მწერავი, ჯერია ეძღვნას მადლობა;
ნიკთ, ღვაწლთ, მოლექსეთ ჭაზრთათვის უჩინს დია უცხო ზრდილობა,
თუმცა მდაბიო — ქართული — ჭმეტობს აქ ზოგან თქმულთა;
კარნა უცხობა, კარგია, — ამ გვარ მამულისშვილობა.“

1843 წ. ქ. თფილისი.

თ. ალ ჩიქოვანი.

ალ. ჩიქოვანს თავის ლესების რვეული ს. მესხიევის რვეულიდამ გადაუწერია. ნ. ბარათაშვილის ლექსები ალ. ჩიქოვანის ხელთნაწერიდამ დაიბეჭდა 1875 წ. ალექსანდრე ჩიქოვანი ქართულს მწერლობაშიაც იღებდა მონაწილეობას, მან 1857 წ. „კისკარშიაც“ დაიწყო წერა და დასაწყისი დღანვე მშვენიერს ლექსებს სწერდა.

ალ. ჩიქოვანის ლექსებში ბევრი მშვენიერი ლექსებიც მოიპოვება. მათი შეკრება და ცალკე გამოცემა იქმნება კანონიერი. ლექსების მიმართვა ბარათაშვილის კილოსია. ამასვე აჩენს ლექსი „გალიაშა დამწყვედიული შოშია“ და სხვანი. ყოველი ლექსის შინაარსი იგავით დაწერილი ნაღვლიანი გადადება არს. უნდა ითქვას, რომ თავის დროის კვალად ალექსანდრე ჩიქოვანი იყო შესანიშნავი მწიგნობარი, მეტყველი კაცი, თანამგრძობელი ყოველის სასიკეთო საქმეთა და ცნობილი პირი მთელს საქართველოში, იგი ცოლშვილის პატრონიც იყო. ერთი ამის ქალი, ეკატერინე, ანტონ ზუბალოვის

მეუღლეა, მეორე ვარინკა, ისარლოვისა და ვაჟი გიორგი ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილი. ალ. ჩიქოვანს აქვდა მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა, სამწუხაროდ მისი ბიბლიოთეკის წიგნები და თვით მისგანვე ნაწერი აუარებელი ლექსები, ისტორიული წერილები, მოთხრობები და იშვიათი წიგნები მეწვრი-მლებზე სახვევ ქალაღლის მაგიერ დაყიდეს, ასე დაიღუპა იმოდენი ძველი წიგნები. ზოგი მე ვიყიდე ხელთნაწერების და მით გადარჩენ დახვევას. ალ. ჩიქოვანის გარდაცვალება 1860 წელს მიეწერება.

გიორგი ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი. შთამომავლობით თავადის შვილი. გიორგი უკანასკნელი წვერი იყო კათოლიკე შთამომავალ თავად ჩიქოვანებისა და ამ პირის სიკვდილით მოისპო კათოლიკე ჩიქოვან თავადის შვილების გვარის რიცხვიც. გიორგი ალექსანდრეს ძე განათლებული კაცი იყო და თანამედროვე პირი სერგეი მესხის, გ. წერეთლის და სხვათა. იყო მტრფობელი ქართულის მწერლობის და საზოგადო საქმეთა წარმატებისა. თავის დროს იგი იღებდა ყველა ქართულს საქმეებში მონაწილეობას. იყო დახელოვნებული, განათლებულნი და მომზადებული მწიგნობარიც. პირველად მან მონაწილეობა მიიღო 1863 წ. ეურნალ „საქართველოს მოამბეში“ და აქ დაიბეჭდა მისგან ნათარგმნი ვიქტორ ჰუგოს რომანი „საბრალონი“. შემდეგ დროს „კრებულში“ დაიბეჭდა გოგოლის ნაწერებიდამ „შინელი“ და „რაზედ მოუვიდათ ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკოფოროვიჩთან“ სხვებიც აქვს ნაწერი. უკანასკნელ დროს პიესებსაც სწერდა, ამის ნაწერი პიესა „ბნელ ოთახში“ ქართულს სცენაზედ ხშირათაც იდგმება ხოლმე. ხალხისთვის საყვარელი პიესა არის. გიორგი ალექსანდრეს ძე ჩიქოვანი გარდაიცვალა 1893 წ.

სტეფანე მეღაქაშვილი. წარჩინებული ქართველი. თავის დროს ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი. იყო ქართული მწიგნობარი და ზედ მიწვევით მცოდნე ქართველ ავკარგიანობის. 1860 წლების შემდეგ ეს ყველა ქართველთ

საქმეში მხურვალედ იღებდა მონაწილეობას, 1866 წ. ქართულ გაზეთ „დროების“ გამომცემლობა ამან იკისრა და ამ საქმეს იგი კარგა ხანსაც გაუძღვა. „დროებაზედ“ მას ბევრი ამაგი აქვს დადებული. ამანვე დაახლოვებით მიიღო მონაწილეობა დიმიტ. ბაქრაძესთან, ვ. თულაშვილთან, ნ. ლოლობერიძესთან 1860 წლების შემდეგ, თფილისში სტამბაც გახსნეს, სტამბა მელიქიშვილის სახელით არსებობდა „დროებაში“ სწერდა კიდევ. ჯანასკნელ ასხაბადში გადასახლდა და იქ გარდაიცვალა ცოლ-შვილის პატრონი.

პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი. პეტრე იოსების ძე ქართულ მწერლობაში ცნობილი პირია. დ. 1838 წ. გარდაიც. 1904 წ. თფილისის გენაზიის სწავლის შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტშიც სწავლობდა. იყო კირგად მკოდნე საქართველოს ისტორიისა, ქართველი ხალხის ცხოვრებისა, ქართული მწიგნობრობისა, ქართული თეატრის, სასწავლებლების, გლეხკაცობის, სამღვდლოების, თავად-აზნაურობის, ქართველ მაჰმადიანების და სხვათაც მრავალთა ქართულს ენაზედ მწერლობა 1860 წ. დაიწყო „ცისკარში“, შემდგომ მის იგი მწერლობდა „დროება“-ში „კრებულში“ „ივერიასა“ და „ცნობის ფუცელშიაც“ თავის ნაწერებით იგი ყოველთვის მხურვალედ ეპყრობოდა ქართველთ ტომის საქმებს. ერთ დროს იყო „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორათაც და ამ გაზეთის შრომითაც დიდის თავაზით ეპყრობოდა ჩვენის გლეხკაცობის განათლების საქმეს. იყო დაუცხრომელი მშრომელი, ჟანგარო, სამაგალითო კაცი, სუფთა თვისების და კარგი მშვიდობიანი ხასიათის.

იყო დაუღალავი მშრომელი თეატრისა, სწერდა სხვა და სხვა პიესებს და მისი პიესა „მისანი“ და „სამზადისი“ სანაქებოთ ითვლებიან ქართულს სცენაზედ. ამას გარდა პირველად პეტრე უმიკაშვილმა დაიწყო ქართული სახალხო ლექსების შეკრება, სახალხო წიგნების ბეჭდვა. სახალხო მწერლობას იგი დიდის თავაზით ეპყრობოდა. სახალხო წიგნების

გარდა ერთ დროს ქართული ანბანი და „დედანიც“ დასტამბა. ძველი წიგნების გამოცემაშიაც იღებდა მონაწილეობას. მისგან დაიბეჭდა რამდენიმე ძველი წიგნი. დიდი პატივის მცემელი იყო ჩვენი წარსულის მწერლობის. გულ დაწყვეტილი შეხედულება ჰქონდა ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებაზედ. რამდენ გზისმე იგზავრა კიდევ ქართველ მაჰმადიანებში. მათშიაც შეკრიბა სხვა და სხვა სახალხო ლექსები და სხვა ცნობები. ამის შეკრებილი ლექსები ზოგი მე დავბეჭდე. სანაქებოა მისი შრომა ქართველ მაჰმადიანთ შესახებ გ. ყაზიბეგის რუსული წიგნიდამ ნათარგმნი, რომელიც დასტამბულია „ივერიაში“ ქართველ საზოგადოების წინაშე იგი ამგდარი პირია. მის დასაფლავებაზედ სიტყვებითაც იქმნა ეს გამოთქმული. იგი გარდაიცვალა უცოლ შვილოდ. მან დასწერა ჩემის თხოვნით თავისი ავტობიოგრაფია, რომელიც მოთავსებულია 1904 წ. „ივერის“ 123 №-ში. ამის შრომის შესახებ სხვაგან გვაქვს დაწერილებით აღწერილი. აქ ეს ვიკმარედ.

იაკობ ლაზარეშვილი. იაკობ ლაზარეშვილი სოფ. ვარგავალი იყო. ვარგავი ახალქალაქის მაზრაში სძევს, სოფ. ხიზაბავრის ახლოს, სწავლა დაამთავრა ახალცახის კათოლიკეთა სასწავლებელში. შემდეგ ამის თფილისში ჩამოვიდა და ალექს. ინსტიტუტში აპირებდა შესვლას, მაგრამ ეს ვერ მოახერხა, თფილისში დარჩა და საქმეს ეძებდა. 1887 წ. მე გავიცან იგი, სხვებმაც გაიცნეს, აკაკიმ გადასაწერები მისცა, ასევე მე, შემდეგ თიატრის სამართველოდამაც აძლევდენ გადასაწერებს. გაქირებით სცხოვრობდა, მაგრამ თფილისს მაინც არ შორდებოდა, ცდილობდა თვით განვითარებაში.

დიდის გულ მოდგინებით კითხულობდა რუსულს და ქართულს წიგნებს, ქართულს სჯასა და ბაასშიაც იღებდა მონაწილეობას. კარგად გაიცნა ქართული მწერლობა, ქართველი მწერლები. თიატრშიაც იღებდა მონაწილეობას, კონცერტებშიაც, ვლ. აღნიაშვილის კარგი დოსტი იყო, ბოლოს კათოლიკეთა სასწავლებელში მასწავლებლობა მისცეს, აქ

დარჩა კარგ ხანს, შემდეგ ცოლიც შეირთა, მაგრამ მას შემდეგ დიდ ხანს არ უცოცხლია, ავად გახდა, უკანასკნელსწავლის შრომას თავი გაანება და ახალციხეს დაბრუნდა. 1898 წ. გარდაიცვალა. დასაფლავებულია ახალციხის ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზედ.

იაკობ ლაზარეშვილი ქართულ მწიგნობრობაშია ცილებდა მონაწილეობას და გაზეთებში სწერდა სხვა და სხვა წერილებს, სხვათა შორის პიესებიც დაწერა, ამის ნაწერია ისტორიული დრამა „მტარჯაღი“ და „ჯანდი“. ორვეს ხშირად თამაშობენ ქართულს სცენაზედ. „მტარჯაღი“ ჩვენს მწერლობაში თვალთ საჩინო ნაწარმოებათ ითვლება. იგი დიდის ამბით იქმნა წარმოდგენილი და დამწერიც კარგად იქმნა დაჯილდოებული. ამ მშვენიერს პიესაში ანუხებულია ქართველთა მდგომარეობა XVIII საუკ. და ნამეტურ ჯავახეთის ქართველთა, რომელნიც ოსმალოს ხელში იყვნენ, მაგრამ გული და სული კი თავიანთ მეფისა და საქართველოსკენ ეკავათ. შინაგან საჭირო ღირსებით ამ პიესას ბევრი ვერაფერი შეედრება ქართულს ისტორიულს მწერლობაში. ამ პიესის ღირსების შესახებ შესაფერი წერილი დასწერა ანტ. ფურცელაძემ, რომელიც „ივერია“ ში იქმნა დასტამბული.

თვით იაკობ ლაზარეშვილი იყო ნამდვილი მამულისშვილი, წრფელი გულ შემატკივარი ქართველთ საქმეების, ნამეტურ ქართველ კათოლიკეთა და ქართველთ მაჰმადიანების, მათი საქმეებიც კარგად იცოდა.

მიხეილ ჰაფსეს ძე მეფისოფი. წარჩინებული ქართველი დარბაისელი ადამიანი, ცნობილი გვამია თავის დროს მთელს საქართველოში. სარწმუნოებით ქართველ გვარის კათოლიკე. მესხეთში დაბადებული. სწავლა მიღებული აქენდა დროის შესაფერად. სწავლის მხრით თვის თანამდროვეებში პირველი იყო, ამით იგი სხვებს არაფერში ჩამოუჩრჩებოდა. თავის დროის შესაფერად იცოდა ყველა საჭირო სწავლა და საქმენი, ენებთ

შორის კარგად იცოდა ქართული, სომხური, თათრული შესანიშნავად, რუსული კარგად, რადგანაც განათლებაც აქვდა მიღებული. ეს ოთხი ენა მან ჩინებულად იცოდა, ძნელად რომ ენებში მას რამე ნაკლი შემჩნეოდა.

უპირველესად იყო ქართველი დარბაისელი ადამიანი, ქართველთ მამულისშვილი, მტრფობელი საქართველოსი, ქართველთ ერის და ქართველთ კათოლიკობის, სიყვარული და პატივისცემა უცხო ტომთაც უხვად აქვდა დაჯილდოებული. მასთანვე იყო მწიგნობარი კაციც და უფრო უყვარდა ქართული მწიგნობრობა და ნამეტურ ისტორიული მწერლობა. საქართველოს ისტორია მან ჩინებულად იცოდა, შესანიშნავად, გარდა ამისა კარგად იცოდა საქართველოს საზღვრებიც, თუ საქართველო საიღამ იწყობოდა თავის საზღვრებით, სად თავდებოდა და მრავალიც სხვანი, იცოდა ნამეტურ კარგად ოსმალთს საქართველოს ვითარება. ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება, ნამეტურ ქართველ მაჰმადიანთ ბეგების და ფაშების ყოფაცხოვრება და ბევრიც სხვა რამ ღირს შესანიშნავი სასაქმენი და ცნობები.

ძველადგანვე მიხეილ მეფისოვს დაახლოვებული კავშირი ჰქონდა აქარის ბეგებთან, იცნობდა მათს ყოველს ოჯახის, წევრს, ყოველ პირის თვისებას და ჭაზრს საქართველოს შესახებ. ძნელად რომ ამით ვინმე მიხ. მეფისოვს შესდარებოდა. დიდი ხმა ჰქონდა და დიდი ზეგავლენა მათზედ. მთელს ოსმალეთის სამზღვრების იქიდამაც, შუა გულ კუთხეებამდის ძნელად რომ ამას სადმე რამე გამოჰპარვოდა. ესეთი მცოდნე, ესეთი შემძლე კაცი მეტად იშვიათია ჩვენს ცხოვრებაში. მასთანვე იგი იყო მეტად მოსულის ტანის, კაი... მამოსაოიგი ვაჟკაცი, რის შედარებით მას ვიღ... რი

გმირი იყო და ყვირ... თფილისელი, ქართველი კათოლიკეთნათ საცმელი XI და XIX საუკუნის 30 წლებამდე. ამან ძველი დრ... მკურნალობა. სხვათა შორის ამას კარგად პარსული ენა. სპარსულის ენიღამ ქართულს ენა-გმნია „ცხენის-კარაბადიმი“ რომელ ხელთ ნაწერმაც

მიხეილ მეფისოვის ნახვით ქართველ კაცს გაახსენდებოდა ძველი ხანა ქართველთ ცხოვრების, ანუ მთელი აღმოსავლეთის ხალხთა ქვეყნები და მასთან მეტადრე მეფობა ქართველთა და იმ დროის ქართველთ გმირების და გმირობის ხანა. მიხ. მეფისოვის ცხოვრების აღწერას მთელი წიგნი მოუნდება, იგი იშვიათი თვისების პირი იყო, აღმატებული ღირსება ჰქონდა, მას საქართველოში ყველა კარგად იცნობდა, მასვე კარგად იცნობდა კავკასიის გამგე მიხეილ ნიკოლოზისძე. მთელი ქართველთ გენერლობა. 1877 წ. რუსეთმა ამ პირის და გრ. გურიელის წყალობით გამართა ქართველ ბეგებთან საუბარი და ცდა რომ ეს კუთხე როგორმე ადვილათ აეღოთ. ამით ყოველივე მოახერხეს, ასეთი საქმეების გამო თვით მიხ. მეფისოვის ლორის მელიქოვისაგან მოწერილი ქართული წერილებიც ჰქონია, რითაც თურმე ამას ავალებდენ საქმეში ერთგულობას და სხვა. ამ პირმა დიდი, მეტად დიდი დახმარება აღმოუჩინა რუსის მთავრობას და ზოგიერთ მეტიჩარა მტერთა რიცხვი რომ არ ყოფილიყოს, მაშინ აქ ერთი წვეთი სისხლიც არ დაიღვრებოდა. ბათუმის აღების შემდეგ ალ. მეფისოვი ართვინის უფროსად იქმნა დანიშნული. ქართველში ჩინებულად ასრულებდა თავის საქმეებს.

მიხეილ პავლეს ძე მეფისოვი ასეთი ენერგიის პირი იყო, სადაცკი წავიდოდა ყველგან დიდს ზეგავლენას ახდენდა ქართველ მაჰაადიანებზედ. შემდეგ დროს იგი დიდი მეგობარი იყო გიორგი ალექსანდრეს ძის, ასევე სხვების. იყო საყვარელი პირი ყველას, სინდისიერი მოსამართლე, გულ შემატკივარი დაბიო ერისა და საყოველთაოდ ქვეშაობების მფენელი და საქსველესა (არაა სარწმუნოებთა სიკეთე ბევრს ახსოვს და ბემესხეთში დაბადებული. სწავლა მიღებული სოფნას, იყო აგრეთვე საფერად. სწავლის მხრით თვის თანამდროვერის შეძლების და ამით იგი სხვებს არაფერში ჩამოუტრეხებოდა. საბაძი, ხოლო შესაფერად იცოდა ყველა საქირო სწავლა და საქიდე გუ-

მართალი აღამიანი სისხლით შესვარეს, შურმა და მტრობამ იმსხვერპლა ასეთი მართალი კაცი. უკანასკნელ გამართლდა და მთავრობამაც ასევე იცნა, მაგრამ მის გულს სევდა და ბოროტების ვარამი არ მოსცილდა და მის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ასე ვიცით ქართველებმა და ასე ვწამლავთ თვით ჩვენთ გულ შემატკივარ პირებს. გარდაიცვალა სახლობის პატრონი, ხოლო უძეო. ამის გარდაცვალების გამო „ივერიაში“ საფუძვლიანი წერილი დაიბეჭდა აღ. ყიფშიძისაგან.

მამა აკობ მუკაღიანი. კათოლიკენი, ზოგნი გრიგორიანებიც არიან. პარისში, ადრე, მურადიანთ დიდი სომეხთა სასწავლებელიც არსებობდა. ხოლო ეს მურადიანიკი ქართველ გვარის კათოლიკეა. ძველად კი ესენი თათრის ტომის უნდა ყოფილიყვნენ. იაკობ მურადოვი თავის დროს შესამჩნევი მოძღვარი ყოფილა მრევლთა წინაშე და მასთანვე დიდი მფარველიც კათოლიკობის. რამდენიმე წევრნი ამ გვარის ერთ დროს კათოლიკობიდან სომხობაზედ იქმნენ ძალით გადაყვანილნი. ტერ იაკობ მურადოვი შესანიშნავია თავის დროის კვალად როგორც კარგი ქართული მწიგნობარც. თანამედროვე პირთაგან დიდათ ქებული. გარდაიცვალა 1840 წ. ქუთაისს. 75 წლისა.

სტეფანე ღათაიშვილი. მომსწრე კარგად სოლომონ მეფის და თავის დროს ქუთაისში ქართველ კათოლიკეთა წინაშე მრავალ საქმეთა მკეთებელი. დიდი შრომა აქვს ამ პირს თავის დროის კვალად დათესილი ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა შორის.

მიხეილ გუგუჯაშვილი. თფილისელი, სცხოვრებდა XVIII საუკუნის ნახევარს, ამან შეადგინა „სიბრძნე სიცრუის“ მსგავსად პატარ-პატარა ზღაპრების წიგნი. ამ წიგნმა ჩვენ დროდღე მოაღწია.

იოსებ ბაღინაშვილი. თფილისელი, ქართველი კათოლიკე. სცხოვრებდა XVIII და XIX საუკუნის 30 წლებამდე. ამან იცოდა კარგად მკურნალობა. სხვათა შორის ამას კარგად სცოდნია სპარსული ენა. სპარსულის ენიდან ქართულს ენაზედ უთარგმნია „ცხენის-კარაბადიმი“ რომელ ხელთ ნაწერმაც

ჩვენს დრომდეც მოაღწია. სხვა რამ ცნობები და წიგნები ამ იოსებ ბალინაშვილის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა. ცნობაკი არს, რომ ამ პირს სხვა ნაწერებიც ჰქონია დატოვებული. გარდაცვალება მიეწერება 1832 წლებს.

ზაქარია ზუბალაშვილი. თითქმის პირველ ქართველთაგანი, რომელიც ევროპაში წავიდა საკომერციო სწავლის მისაღებად. ამის წასვლა მიეწერება 1824 წ. გერმანიაში სწავლობდა და კომერციულიც სწავლის მაგიერ ექიმობა შეისწავლა. საქართველოში კარგი ხმა და გავლენა აქვდა ექიმობის ასპარეზედ.

ნიკოლოზ გიორგისძე ზუბალაშვილი. კაცი შეძლებული, გარდაიცვალა ევროპას. თფილისში მოასვენეს და დაკრძალეს. თფილისის გამგეობას დაუტოვა დიდი შეძლება, ქონება, რითაც თფილისის შეუძლოე, ანუ ლატაკ მზუც სნეულთათვის მუქთა სამათხოვრო სახლი უნდა აღშენდეს. შეუძლოთ რიცხვი სამ ნაწილათ უნდა იქმნეს გაყოფილი. ქართველი, სომეხი და რუსის ეროვნების და მათთან სხვა ტომისაც. ამ შესაწარავს გარდა სხვა დაწესებულებათაც დაუტოვა ფული მოსახმარად: სკოლებს, ეკლესიებს და სხვათა ამ გვართაც. გარდაიცვალა უძეო.

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. დაიბადა 1860 წ. გარდაიცვალა 1940 წ. 14 სექტემბერს, პარიზში. საქართველოში მოასვენეს გვამი მისი და იმავე თვის 27-ს დიდის პატივის ცემით დაასაფლავენ. სტეფანე კონსტანტინეს ძე სამაგალითო მანულისშვილი იყო. მის შესახებ ჩვენ მისი ცხოვრება იმავე დროს მეორედ დავსტამბეთ და ამიტომ აქ არას ვამბობთ. იხილეთ მისი ცხოვრება.

კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი. კაცი ცნობილი და ამგდარი შვილების და საზოგადო საქმეთა წინაშე დ. 1827 წ. † 1901 წ. იხილეთ ამაზედ მათი გვარის ისტორია.

გიორგი ზუბალაშვილი. თავის დროის კვალად დიდი შეძლების პატრონი და გამოჩენილი. იხილეთ მათის გვარის ისტორია.

ანდრია ივანის ძე ზუბალაშვილი. კაცი მომზადებული და ცნობილი თავის დროის კვალად. დიდხანს მსახურებდა „გლებ-კაცთა საქმეთა წარმოების სამმართველოში“ ყ.ი. პოდ. ჩრ. და სხვა საქმეთა კეთებითაც ცნობილი. გლებ-კაცობის შესახებ ამას დიდი შრომა აქვს დადებული. ამის ცხოვრების და მოქმედების ცნობები იხილეთ ამათ გვარის ისტორიაში.

იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი. კაცი ცნობილი და თავის დროის კვალად დადათ გამოჩენილი, შემძლებელი პირი დამხმარე ბევრის საქველმოქმედო საქმეების. ქუთაისის ეკკლესიის შენების დამხმარე, იქ ქართველთ კათოლიკეთ ვაქრების, აფთიექის დაფუძნების, ჯავახეთში სკოლების, თფილისში ეკკლესიების და სკოლების. სხვა და სხვა ქარხნების დამფუძნებელი, არყის, შაქრის, პურის მალაზიების დამფუძნებელი და ბევრიც სხვების. დაიბადა 1792 წ. გარ. 1864 წ.

ოქტანჯანა ქაქიანი. ქართველ კათოლიკეთაგანი, ამათ დაკავშირება კათოლიკობასთან XVIII საუკ. ეუკთვნის. ოქანჯანა ქოქოჩოვი განთქმული იყო სხვა და სხვა ცოდნით, ნამეტურ მკურნალობით. ქუთაისში და მთელს იმერეთში მას დიდი ხმა და გავლენა აქვდა ერთ დროს და მკურნალობით ქებული იყო. მისი ცხოვრების მხარეები ბევრის საყურადღებო ღირსებით არს გარე მოცული, ხოლო დროთა და გარემოებისაბან მივიწყებულია.¹

ივანე სტეფანეს ძე ნებიერიძე. ნებიერიძენი კათოლიკობას ძველადგანვე დაუკავშირდნენ, ამათგანი ზოგნი თფილის სცხოვრებდნენ ქართველთ მეფეების დროს და ზოგნი სამცხეს. ძველადგან იგინი აზნაურის შვილებათ ირიცხებოდნენ. ივანე სტეფანეს ძე ნებიერიძე დაიბადა 1820 წლებში. ახალციხეს. სწავლა მიიღო ახალციხის სამრევლო სკოლაში, მერე ახალციხის სამოქალაქო სკოლაში ისწავლა. შემდგომ მსახურებდა რუსის სამსახურში კარგა ხანს. იყო კარგად მცოდნე საქართველოს ისტორიის, ქართული ენის და მწიგნობრობისაც. სწერდა მრავლად ქართულს ენაზედ, მისი ნაწერები მ-ს სიკვიდილის შე-

მდეგ დაუბეჭდავნი მის შვილს პატრს რაფიელ ნებიერიძეს დაშთენ. იგი იყო დიდათ მკოდნე საქართველოს ძველის ამბების, ნამეტურ ქართველ კათოლიკების, მის მოთხრობით და მოწმობით მე ბევრი რამ ისტორიული ცნობები დავსწერე. ბევრი რამ ძვირფასი მასალები იცოდა და დაწერილებიც აქვდა. გარდაიცვალაი 1885 წლებში. ღარიბად. ვიცნობდი კარგად.

სტეფანე თუმანიშვილი. თანამედროვე მთელის XIX საუკუნისა. თავის დროის კვალად იყო გამოჩენილი ვაჭარი, კაი ოჯახის შვილი და დიდი გავლენიანი პირი გურიელების წინაშე. იყო ქართული მწიგნობარიც და თავის დროის კვალად სწერდა სხვა და სხვა წიგნაკებს ქართულს ენაზედ. მე კი არ მინახავს მისი ნაწერები და ბ. მიხ. თუმანიშვილის სიტყვით, მას დაშთენია ერთი სკივრი ხელთ ნაწერები სავსე, სადაც მის ნაწერები მრავლად ყოფილა და მათში „კარაბადიმებიც“ — კირეულა, რომელიც სტეფანე თუმანიშვილს უწერია. ეს ხელთნაწერები ქუთაისში არის დაშთენილი, ბევრი ვეცადე მათი ნახვა და გაშინჯვა, მაგრამ მის შვილის ხელიდამ ვერ ველი რსე ნახვას. ვერც მივალწიე მის კარამდე. სტეფ. თუმანიშვილი გარდაიც. 1885 წლებში ქუთაისს.

სტეფანე ჰეტრეს ძე მირაქოვი XIX საუკუნის პირია. ბიძა ალექსანდრე მირაქოვისა. იყო სხვა და სხვა ენების მკოდნე. დიდხანს სცხოვრებდა სტამბოლს. ქართულს ენაზედ იყო კარგი მოუბარი და მწიგნობარი. ოსმალურის და სხვა ენებიდამ ქართულს ენაზედ სხვა და სხვა წიგნებსაც სთარგმნიდა და სწერდა. მისი ნაწერების და ნათარგნის მთლად დაუბეჭდავთ დაშთენ. სახლობით კონსტანტინეპოლს სცხოვრებდა, ვაქრობას მისდევდა. ერთ დროს, ეგვიპტეში მგზავრობის დროს, ამას გაქივრების გამო ისლამიც მიუღია. სტამბოლში გარდაიცვალა მოხუცი. დღესაც სტამბოლს სცხოვრებენ მისი შვილები ალემ-ძიცემით.

ანტონ ფირაღოვი. სცხოვრებს XV^{III} საუკუნის ნახევრის შემდგომ, სწავლობს რომში. მ. თამარაშვილის სიტყვით იგი სწერს სხვა და სხვა წერილებს ქართულს ენაზედ — სხვა რამ

ცნობები ამის ნაწერების შესახებ ჩვენ არა გვინახავს რა. მაინც ისიც კი უნდა ითქვას, რომ ქართველ კათოლიკე მწერლებთან ნაწერი წიგნები და მასალების მთლად დაკარგულია და დროთა ვითარებისაგან შექმული. რაც ჩვენ მასალები შევკრიბეთ ეს მეოცე ნაწილიც არ არის იმ ქართველ კათოლიკე მწერალთა და მათის ნაწერების, რაცკი მათ უწერიათ ძველად და წიგნები უტოვებიათ ქართულს ენაზედ. ყოველივე მათის შრომის დაიკარგა და დაიღუპა.

იოსებ გიორგის ძე სააკაფი. შ სექტემბერს, გარდაცვალებული გორის ქალაქის მოურავი იოსებ გიორგის ძე სააკაფი, ანუ სააკაშვილი, დიდად წარჩინებული ქართველი იყო, განვითარებული, კარგი მკურნალი, ხალხის სამსახურისათვის თავდადებული და მშრომელი. ხალხსაც უყვარდა იგი და პატივსაც სცემდა.

განსვენებული მოხუცი იყო, მაგრამ გული ახალგაზღვრის ცეცხლითა ჰქონდა სავსე. დაბეჩავებული ხალხის გულშემატკივარი, იგი ყოველთვის ქომავი იყო გლეხ-კაცობისა, ნამეტურ ავადმყოფებისა. მთელი თავისი სიცოცხლე განსვენებულმა კეთილის თესვასა და მოწყალების გაღებაში გაატარა. იმის სახლის კარი სწულთა და გვემულთათვის ყოველთვის ღია იყო, იმის სახლში ყოველ ავადშოფს ადვილად შეძლო შესვლა. წამალს ხშირად თვითვე იძენდა, აკეთებდა და ასმევდა ღარიბ ავადმყოფს. სახლის გარეშე, ავადმყოფთა საწამლებლათაც იგი დაუზარებლად მიდიოდა ხოლმე. რაც უნდა შორს ყოფილიყო, არ შეუშინდებოდა და ფეხით, ეტლით ან ცხენით უეჭველად წავიდოდა. მისის მკურნალობით მორწყულია მთელი ქართლი, მისის საშუალებით ბევრს ღარიბს სწულს მიუღია შვება, ფეხზე დადგომა. ძნელია ყველა იმ სიკეთის—ჩამოთვლა, რაც განსვენებულმა გორსა და მთელს—ქართლში დასთესა.

ახალგაზდა მკურნალთა საყურადღებოთ ვიტყვით, რომ იოსებ გიორგის ძე მაგალითი იყო ყველასი და ყველგან; იმის

სამსახურს დიდხანს არ დაივიწყებენ მცხოვრებნი, იმის სახელს ყოველთვის ქებათა და დიდებით ზიხსენებენ. ვინატრებთ გულით და სულით, რომ ასეთ ადამიანს მიმბაძველი მრავლად აღმოუჩნდეს.

იოსებ გიორგის ძე მეტად დაახლოვებული იყო ქართულს მწიგნობრობასთან. ყოველთვის ადევნებდა თვალ-ყურს ქართულს ჟურნალ-გაზეთებს, იგი ითვლებოდა ერთ საუკეთესო მწიგნობრად, ქართულის ენისა და ისტორიის ზედ-მიწევნით მკოდნედ. სარწმუნოებით განსვენებული რომის კათოლიკე გახლდათ, ხოლო გვარ-ტომობით—ქართველი. იმისი წინაპარნი ძველადვე გორში სცხოვრებდნენ და გორის მოქალაქეებად ითვლებოდნენ.

განსვენებულის მამა, გიორგი, მომსწრე იყო მეფე ერეკლესი და ამ მეფის წინაშეც ამაგდარი და პატივცემული. გიორგის ბიძას, მანუჩერ სააკაშვილს კარგად იცნობდა მეფე ერეკლე. სააკაშვილები მეფისა და იმის ძის სახლშიაც დაიარებოდნენ. ამ მანუჩარ სააკაშვილმა აღრევე შეიტყო დიმიტრი ამილახერის განზრახვა. ამილახვარსა ჰსურდა მეფე ერეკლეს ოჯახის ამოწყვეტა. ეს ამბავი მანუჩარმა ველარ დამალა და მეფეს მოახსენა. იმ დღიდან, მეფეს ბრძანებით, გორელი სააკაშვილები განთავისუფლებულ იქნენ ყოველნაირის ბეგარისაგან; ამისთვის სიგელ-გუჯარიც ებოძათ. ერთი ასეთი ქალაქი დღეს ჩვენა გვაქვს; დავსტამბეთ კიდევ. იგი ქართველ კათოლიკეთა გვაროვნობის ისტორიისათვის კარგ მასალად გამოდგება.

განსვენებული იოსებ გიორგის ძე ყოველთვის ამბობდა ხოლმე, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ქართველი კათოლიკენი, საქართველოს შვილნი, ჩვენი დედა-ენა ქართული ენაა, ჩვენი სამშობლო ქვეყანაც საქართველოაო. ასეთის თვისებისა იყო განსვენებული და იგი თავის სიტყვას არავის წინაშე არა ჰუარავდა.

ვანსვენებულს გორში ჰქონდა ერთი კარგი სახლი, ღირებული 30,000 მან. ეს სახლი ქალაქ გორისთვის უანდერძნია. ამ სახლის შემოსავალი ღარიბ კაცთა შვილებს აღზრდის სქემს მოხმარდება.

ივანე ყაუხჩიშვილი. თანამედროვე პ. იეზოვის. ცოლშვილის პატრონი, უღროვით დაღუპული და გარდაცვალებული 1903 წ. ქ. ქუთაისს. ძველადგან ესენი მესხები იყვნენ, ამათ წინაპარნი ქუთაისს გადასახლდნენ XVIII საუკ. დამლევს. ამათხედ იხილეთ წიგნი „კათოლიკეთა ეკკლესია“ რეალურს სასწავლებელში სწავლობდა, აქ დაამთავრა სწავლა. მე იგა გავიცანი იმ დროს, როცა გემნაზიაში სწავლობდა. იგი იმავ თავიდგანვე ირიცხეაოდა ერთს უწარჩინებულეს მამულისშვილად. იყო მეტად ჩინებულის თვისების კაცად კაცი, ქართული მწერლობის მოყვარე, მკვირცხლად მზერალი ჩვენის საზოგადო საქმეთა მიმდინარეობისა. უხვად ეცხო მას იმ მადლის სხივი რითაც დაჯილდოებულნი იყვნენ ყველა მაშინდელი საუკეთესო მამულის შვილი.

ვანო ყაუხჩიშვილი დიდს დახმარებას უწევდა ჩვენს მწერლობას და მწიგნობრობას. აი ჯერეთ თვით მე მეხმარებოდა წიგნების გასაღებით და მხარს მძღლევდა უანგაროდ, ეხმარებოდა „ქართველთა გამომცემელ ამხანაგობას“ და ასევე „მეურნის“ რედაქციას, რომელ საქმეთა მოგონება ვანოს გარდაცვალების დროს ილ. ჭყონიასაგან მოგონებულები იქმნა და დასტამბული „ივერია“ ში. ვანო ყაუხჩიშვილს ქართულის საზოგადო საქმეების და მწიგნობრობის სიყვარულით სული და გული გამთბარი ჰქონდა, ყოველი ჩვენ საქმეთა კაი ცნობების გაკონება მძღაფრად ახარებდა, აძლიერებდა და რამე უძლოურების, ან რომელიმე საზოგადო პირის სიკვდილი, ან რამე საერთო საქმის დახურვა და რომელიმე გამოცემის მოსპობა კიდევ მას მწარედ ადარდებდნენ და ამწუხარებდნენ. ამავების შესახებ მისგან მეტად ბევრი მგრძნობიერი სიტყვები მოკვისმენია და თან მეტად დიდის მამულისშვილობით აღვსილი. რო-

გორც მოქალაქე, მშრომელი და კაცად კაცი მაგალითი იყო მთელს ქუთაისს და მასთან საქართველოში. იგი მსახურებდა ქუთაისს საურთიერთო ნდობის ბანკში.

ფერდინანდ ჯეჯებოვი. საუკეთესო თვისების ქართველ კათოლიკე. თემით ახალციხელი. პატარაობიდან აღიზარდა ახალციხეში. შეძღვომ სწავლის და აღზრდის იგი ვაქრობის ასპარეზედ იქმნა გასული, ჯერეთ ისევ ახალგაზრდამ მიიღწია სრულს ენერგიულს სავაქრო წარმატების დარგს და როგორც ქართველ კათოლიკეებში ერთსა და ორს გამოუჩენია ნიჭი ვაქრობისა, იჯარების აღებისა და აღეზ-მიცემაში, ისევე ამ ფერდინანდმა გამოიჩინა. სრულიად ახალ გაზრდა ვაქრობის საქმიანობის მხრივ სპარსეთშიაც კი წავიდა, იქ დარჩა კარგა ხანს, სხვა და სხვა ხის კუნძებს ყიდულობდა, ნამეტურ კაკლის ხეებს და მათ ევროპის და რუსეთის ქვეყნებისაკენ გზავნიდნენ, მასთან ზოგი ერთ ფირმებს ხელ შეკრულობაც აქვნდათ კუნძების გამო.

ფერდინანდ დედებოვს ნახევარ სპარსეთი დავლილი აქვნდა. იცოდა კარგად აღმოსავლური ენები. სპარსეთში კარგა ხანს სცხოვრებდა, იცოდა კარგად სპარსელთ ცხოვრებაც. დიდათ უყვარდა ქართული მწიგნობრობა. ქართულ წერა-კითხვასაც დიდათ მისდევდა, სპარსეთიდან იგი წერილებსაც იწერებოდა. ერთი ფელეტონი და რამდენიმე წერილი „ივერია“შიც იქმნა დასტამბული. ბოლოს დაბრუნდა საქართველოში. ბათუმში მოჰკიდა ხელი ვაქრობას და 1897 წლებში გარდაიცვალა. ამის მამა ს. დედბოვი ირიცხებოდა ბათუმის უძველეს ვაქრად.

კონ. ფრაჯაშვიდი ვინმე მესხის სიტყვით მეტად პატივ ცემული და ღვაწლდებული ქართველ კათოლიკეა. თავის კვლად ჩინებული სამაგალითო მასწავლებელიც. ფირალაშვილები ძველადგანვე დაუკავშირდენ კათოლიკობას, რგინი მესხები, ანუ ახალციხელები არიან. ამათი გვარის წევრნი მოიხსენებიან XVIII საუკ. კონდაკებშიაც. რამდენიმე კომლი ამათგანი გრი-

გორიანობაზედ გადასულან, იგინი კახეთისკენ სცხოვრებენ და დღეს სომხთ ირიცხავენ თავს. ამათგანი იყო გოდერძი ფირალოვი, მდივანი მეფე გიორგისა. როგორც ძველად ისევე დღესაც ამ გვარს კაი მოსადევრები ჰყვანდა ქართველ კათოლიკობაში და სწორედ ამათივე ცალია ფირალოვიც.

კონსტანტინე ფირალოვი სხვა და სხვა საქვეყნო და საერო საქმეებს გარდა ქართულს ენაზედ წერასაც მისდევდა, სხვათა შორის სწერდა ლექსებსაც. რამდენიმე ამის ლექსი ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1900 წ. რომელსაც თან სდევს ვინმე მესხისაგან დაწერილი პატარა ბიოგრაფიული ცნობა. დამწერი საკმარისად აქებს განსვენებულის თვისებას და მის ამავს და შრომას ქართველ კათოლიკეთა წინაშე დიდი პატივით და ამაგიით მოიხსენებს მესხეთის და ჯავახეთის კათოლიკობის გარეშე კონსტან. ფირალოვს მთელს კუთხის ქართველობაზედაც დიდი ამაგი მიუძღვის ვინმე მესხის სიტყვით.

ნიკოლოზ ანტონის ძე ზუბაღაშვილი. განათლებული კაცი, ქართველებში დიდათ სახელოვანი და პატივცემული. მთელი თფილისის ქართველობა მას იცნობს კარგად. იგი ითვლება თფილისის მცხოვრებთ წინაშე ერთს საკმარისად ამავდარ ღვაწლდებულ მოღვაწედ. ნამეტურ საქებია მისი შრომა სამოსამართლო ასპარეზედ, ვინაიდან მან რუსეთის სამოსამართლო წესდებულების კანონდებულება თავის მოსამართლობის დროს ხალხის ადგილობრივ მცოხვრებთ ზნესა და ხასიათს შეუფარდა, მასთან მოაწესრიგა და ბევრს რამე საქმეებს თავის სინდისიერის შეხედულებით ასამართლებდა. ამით მან დიდი ამაგი დასდო ორივე მხარეს, ხალხის საქმეებსა და მათ გამართლება-გამტყუნებასაც და მასთან მთავრობის კანონსაც კაი სახსარი აღმოაჩინა. მის დროის მოსამართლეთა შორის ასეთ პატიოსან პირებს ძვირათ ენახავთ.

ესევე პირი დიდხანს გახლდათ ხმონათ თფილისის გამგეობაში და უნდა ითქვას, რომ აქაც იგი ერთს უანგარო

პატიოსან მშრომლად ირიცხეაოდა, მიუდგომელი და მიუ-
ნხრობელი, განმარტოებული ბოროტების და რალაცარა კა-
დნიერი საქმეების, რაც მის ღროს თფილისის გამგეობის წი-
ნაშე ფართოთ გაიშალა და აღორძინდა, ამიტომ ნიკოლოზ
ანტონის ძემ სხვა ქართველებთან ერთად ქალაქის გამგეობას
თავი გაანება და მას შემდეგ იგი იქ მონაწილეობას აღარ
იღებს. ქეშმარიტად, რომ ასეთი კაცი ღირსია ქალაქის თა-
ვობის და მას ამისი ამაგი, შრომა და ცოდნაც მიუძღვის,
მაგრამ ჩვენ ქართველებს ვინა გვკითხავს ამას, არავინ, მა-
რთალია ტყე ჩვენია, მაგრამ სახრე სხვებისა არის. დიახ,
ნიკოლოზ ანტონის ძეს თფილისის ხალხის წინაშე დიდი სა-
მადლიერო სამსახური მიუძღვის.

პავლე ალექსანდრეს ძე თავ. თუმანიშვილი. საუკეთესო ოჯახის-
შვილი და წარჩინებული ძველი ქართველი. მის ღროის კა-
ცებში სადაც ერთი და ორი ითქმის, იქ არც პავლე თუმა-
ნიშვილი გამოაკლდება. ეს პირი ჩვენს ცხოვრებაში ითვლება
ერთს საუკეთესო კაცად, საუკეთესო მამულისშვილად. ჩვენს
ღროში, უნდა ითქვას პირუთენელად რომ ასეთი პირების
შოვნა ჩვენში ერთობ ძნელია, იშვიათი. პავლე ალექსანდრეს ძე
თუმანიშვილის მოღვაწეობა შემოსილია ბევრნაირის საპატიო
მხარეებით. ვინც კი იცნობს ამ პირს, იგი ცხადათ დამერწმუნ-
ება ამ პირის ასეთს დიადს მნიშვნელობაზედ. პავლე ალექსა-
ნდრესძე თუმანიშვილს მთელი ქართველობა იცნობს როგორც
საუკეთესო კაცს, კაცად კაცს და დიდს პატივისმცემელს სა-
გვარეულო და სამამულო საქმეებში. მისის მეთეურობით ჩვენს
ქვეყანაში ბევრი კეთილი საზოგადო საქმე გაკეთებულა, ბე-
ვრი რამ სიკეთე განთესილა და მოფენილა.

პავლე თუმანიშვილი როგორც ქართველი კაცი, ქართულ
მწიგნობრობასაც კარგად იცნობს. საქართველოს ისტორიას
და ქართულ მწერლობას იგი აღრიდგანვე მისდევდა. იგი ქა-
თულად სწერდა სხვა და სხვა წერილებს და ლექსებს, რომე-
ლსაც ათავსებდენ გაზეთ „დროება“ში. ერთი ამის პოემა

„ფულის სიმღერა“ 1879 წ. გაზეთ „დროე¹ილამ“ ჩვენ ვა-
დმოვბეჭდეთ და ცალკე წიგნად დავბეჭდეთ. შემდეგ დროში,
სხვა და სხვა საქმეებმა პავლე მიხეილის ძე თუმანიშვილი სა-
მშობლო მწერლობის სამსახურს მოაშორეს და საყოველთაოდ
იგი მიკედლებულ იქმნა საზოგადო საქმეების ასპარესზედ
ერთგულ მსახურად. დღესაც პავლე თუმანიშვილი ითვლება
საუკეთესო მოღვაწე პირად, ძნელად რომ მისგან რამე გაფუ-
ქდეს თუ არ სხვების მტრობით და ქიშპობით. დიახ, სწო-
რედ რომ სამაგალითო პირია ჩვენს დროში პავლე თუმანი-
შვილი. ნამეტურ ჩვენს გათახსირებულს და გაწყალებულ
დროში ასეთ პირებს მრავალი მტერი უჩნდებათ და მოწინა-
ღმდეგენი, ხშირად ასეთ რიგიან კაცს საქმეს ათას ნაირად ურე-
ვენ და უფუქებენ. ასე ვიცით ქართველებმა.

მიხეილ ბეთანელი ბეთანელის გვარის წევრი ძველადგანვე
დაკავშირებთან კათოლიკობას. ვფიქრობ, რომ ესენი ბეთანიის
ხეობიდან უნდა იყვნენ. ბეთანიის მონასტერი ხომ მოგვხსენ-
ებათ XVIII საუკუნიდამ იგინი ახალციხეში მცხოვრებათ
სჩანან, იქაურ კონდაკებშიაც არიან ამათი წინაპარნი მოხსენ-
ებულნი და ამათი მეგვარე სახლის კაცები ახალციხეშიაც
სცხოვრებენ. მიხეილ ბეთანელი კარგად მომზადებული კაცია,
თავის დროის კვალად განათლებული, საკმარისის ენერჯით
აღვსილი და მრავალ საქმეებში გამოცდილი და გამოწვრთნი-
ლი. ჩვენს დროში, ასეთი პირები საქებნი არიან და თან
მეტად სამაგალითოდ მისაბამნი, ვინიდან მათ დიდი გამო-
ცდილებაც აქვსთ.

მიხეილ ბეთანელი თავის ტოლ ამხანაგებთ შორის ქა-
რთული მწიგნობარიც არის. მას დიდათ უყვარს დედა ენა
და მისი მწიგნობრობა, ეს პატივისცემა და სიყვარული დაკავში-
რებულია 1866 წ. გამოცემულს გაზეთ „დროებას“ თან და
„ცისკარის“ არსებობასთანაც, რადგანაც 1866 წ. „ცისკარში“
დაბეჭდილია მ. ბეთანელის წერილიც. მ. ბეთანელის მიხეილ
გონიერება იქილამაც კარგად სჩანს, რომ იგი თანა ზიარად

სჩანს 1860 წლის იმ ქართველების, რომელთაც თავიანთ სამშობლო ქვეყნის სიყვარულით ბრწყინვალე იდილები უღვივოდათ და რომელთაც პირველად დასძრეს ენა და კალამი ქართველთა თვალის გახილებსათვის. ეს რომ ასე გახლავსთ ამას ასაბუთებს ის გარემოებაც, რომ მ. ბეთანელმა თავის ხარჯით პეტერბურგში 1869 წ. გამოცა წიგნად „კაცია ადამიანი“ ილ. ქავკავაძისა. იმ დროსკი არა და თვით ჩვენი დროის კვალადაც იშვიათი ლამაზი გამოცემა არის. დღეს ეს გამოცემა ერთობ იშვიათი სანახავია. ამ მოთხრობის გამოცემა დიდ მნიშვნელოვანია ჩვენთვის მით უფრო, რადგანაც ამ წიგნის განცხადება გვიჩვენებს, რომ ამავე წიგნის გამომცემელს მიხ. ბეთანელს აზრი ჰქონია „სურამას ციხის“ ცალკე დაბეჭდვის და მასთან ბარათაშვილის სურათისაც ესეც კაი ცნობა არის ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის.

მიხეილ ბეთანელი აღრიდგანვე გადასახლდა ევროპას, იგი იმყოფებოდა ამერიკას, იქ სააღმსახურებო და სააგენტო საქმეები აქვდა. 1879 წლებში, ომის შემდეგ თფილისიდან ამერიკაში რამდენიმე ქართველთა საზანდრები, მეზურნე და მომღერლები წაიყვანა. ეს მომღერალთა გუნდი პირველად სტამბოლში მიიყვანა და იქ რამდენიმე კონცერტი გაამართინა, რაც ადგილობრივ მცხოვრებთ, საქართველოდამ გასულთ და ოსმალეთის ქართველთა მცხოვრებთ და თვით ოსმალთაც დიდის პატივით მიიღეს, რადგანაც მათ როგორც აღმოსავლეთის ხალხთა შემთხვევა მიეცა ქართულის მუსიკის და სიმღერების კილოთა გაცნობის. ამ საქმის მოხერხებისთვის მიხეილ ბეთანელს მეტად კარგი ამაგი და შრომა მიუძღვის, რადგანაც ამის მოხერხებით გაიხმაურა ქართველთა ხსენებამ ამერიკის გაზეთებში პირველად მათგან მთელს ევროპიელთა გაზეთებშიაც სწერდენ წერილებს, ასე თუ ისე და ქართველ ტომებდაც ლაპარაკობდენ. დიახ მოკლედ უნდა ითქვას, რომ მიხეილ ბეთანელს ჩვენის ტომის წინაშე ბევრი რამ შრომა მიუძღვის და ეს შრომა კარგის საპატიოს თვისებითაც არის და-

ჯილდოვებული. დღეს მიხეილ ბეთანელი 53 წლებს მიღწეული გახლავს, სცხოვრებს ბათუმს და ჰყავს ცოლშვილი. დღესაც იგი თავის ასპარეზედ ისეთივე მხნე ერთგული პირია როგორც თავის ახალგაზღობის დროს იყო. იცის ევროპის ყველა ენები.

ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილი. ძმა კონსტანტინესი, კაცო ცნობილი და მცოდნე მრავალ საქმეთა, დიდი ხანია მას შემდეგ, რაც იგი ევროპაში სცხოვრებს, აქვს შეკრებილი დიდი ძალი ძველი წიგნები; სხვა და სხვა ნივთები და მათის შენახვით ატარებს დროს და იკლავს უცხოობაში მყოფს ყარობობის ჟინს. დღეს იგი მოხუცებაშია შესული. იცის კარგად ქართული ენა და წერა-კითხვაც, მოყვარეა საქართველოს სიძველეთა. უცხოეთიდან საქართველოში ხანდისხან ჩამოდის კიდევ. ადრე ამის ერთი წერილი დაიბეჭდა გაზეთ „დროება“ში, მოგზაურობა დუშეთისაკენ. იგი არის კარგად მცოდნე ქართული ენის და ქართველთა ცხოვრების.

ის კი უნდა შეინიშნოს, რომ მას აქვს მშვენიერი კოლექცია ძვირფასის ძველის სურათების, ანტიკა ნივთების და ბევრიც სხვა ასეთების, რაც ევროპას და აზიის ერთა კულტურული ისტორიისათვის დიდ მნიშვნელოვნად ჩაითვლება. მე არ მინახავს ეს ნივთები და ამიტომ არას ვიტყვი, ხოლო მნახველნი კი დიდათ აფასებდენ და ამბობდენ, რომ ალექსანდრე ზუბალაშვილს ძველს ანტიკა ნივთებში ბევრი ძვირფასი რამ ნივთები ურევია, ბევრი მათგანი მიიქცევეს თვისკენ დიდს ყურადღებასო. სანატრელია, რომ პატივცემულმა ალექსანდრე ზუბალაშვილმა ასეთი ძვირფასი ნივთები თვის ქვეყანას და ერის საზოგადო საქმეთა არსებობას არ მოაკლოს და ყოველივე სამშობლოს ერს შესწიროს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ანტიკა ნივთებში ბევრი ძვირფასი ქართული ძველი წიგნებიც უნდა ერიოს. ჯერეთ მე ვიცი ასეთი ცნობა: ერთხელ ალექსანდრე ზუბალაშვილი თფილისში გახლდათ, ძველ ნივთებს და წიგნებს აგროვებდა და ყიდულობდა, სხვა-

თა შორ-ს, ორბელიანების (საარღლიანი ძველად) მოურავის-
დავით ამერიძესაგან რამდენიმე ძველი ძვირფასი ხელნაწერი
წიგნები იყიდა და თან წაიღო. ასე და ამ გვარად ჩვენ ეს
ერთი მაგალითი ვიცით და უეჭველია სხვაც ბევრი რამ ექმნება
ალექსანდრე ზუბალაშვილს შეძენილი. ამიტომ უფრო გვენა-
ტრება ამ ძვირფას ნივთების ჩვენგან არ გამოწირვა. ამბობენ,
რომ ეს ძვირფასი ნივთები რამდენიმე ათას თუმნად დაფა-
სდებაო

იმედია, რომ ამას ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილი
არ გვიწყენს და მოხუცებაში მყოფი თავის სამშობლოს ერსა
და საქმეებსაც არ დაივიწყებს.

ჰეტრე ივანეს ძე მეფისოვი. კაცი სამაგალითო და საქები,
გულ შემატკივარი ქართველი თავის ტომისა, ერისა და დედა
ენისა. ღირსეული კაცი მეფისოვების გვარის და ოჯახისა.
45 წლებს მისული კაცია, კარგი ქართველი და კარგად გულ
შემატკივარი როგორც ქართველ კათოლიკეთა კითხვების.
ისევე მთელის საქართველოს ერის საქმეებისა. იგი არის თა-
ვის ასპარეზედ სამაგალითო მოსამართლე, კარგი მფარველი
და მომხრე ჭეშმარიტების, ძვირად და იშვიათად, რომ მის
ხელქვეშ ვინმემ შეწუხება და უსამართლობა მიიღოს. ყოველი
პირის პირად უფლებას სხვებივით იგი ფეხქვეშ არ ქელავს.
იგი ბათუმში პრისტავათ გახლავსთ და ძნელად რომ მე მისი
მძაგებელი და მყვედრი მძრახველი მენახა. განგებ ვიკითხეთ
მთელს ბათუმში და ერთი კაციც ვერ ვნახეთ მისი მომდუ-
რავი. ამიტომ ამ პირის ცხოვრებას და მოქმედებას სხვათა
საყურადღებოთ ქებით ავსუსხავთ და საგულისხმოთ.

პეტრე ივანეს ძე მეფისოვი ზედმიწევნით მცოდნეა სა-
ქართველოს ისტორიის და ნამეტურ ქართველ კათოლიკეთა-
იგი ქართულ ისტორიას და მწიგნობრობასაც მისდევს. მან
დასწერა შემოკლებით საქართველოს ისტორია, სადაც საზო-
გადო კითხვებს გარდა კათოლიკეთა ცნობებიც მოათავსა,
ე. ი. ქართველ კათოლიკეთა და როცა კათოლიკეთ ებისკო-

პოზი საქართველოში გაიხლათ, მაშინ ეს ისტორია ქართველ კათოლიკობის ვინაობის გასაცნობად ეპისკოპოს მიართვა. საინტერესოა ეს ზელთნაწერი ბევრის რამ უცხო ისტორიულის ცნობებით. ამავე პეტრე მეფისთვის ფულით დაიბეჭდა ქართულს ენაზედ ცალკე წიგნად „აღმოსავლეთის ერის ისტორია“. უნდა ითქვას რომ პეტრე მეფისთვის კარგი ერთგული მსახურია ქართველ კათოლიკობის, ნამეტურ ქართველი ხალხისი ინტერესების საქართველოში.

იოსებ იაკობისძე ენდრონიკოვი. წარჩინებულის ოჯახისშვილია, პირდაპირ ნათესავეთაგანი ძველ თავად ენდრონიკაშვილებისა. ამით თავიანთი საგვარეულო დოკუმენტებიც უნდა აქვენდეთ. თვით იოსები ნაწლებს მისული კაცია, წარჩინებული ქართველი. მთელს ქართველებში და კათოლიკობაში კარგად ცნობილი, ცნობილი პირია როგორც პატიოსანი, მართალი ვეჭილი და ყველა ქართველთ საზოგადო საქმეთა პატივის მცემელი. ყოველი პირი, რომელიცკი თავის ქვეყნის ასპარეზზედ აკეთებს რამეს, უეჭველია იგი აღსანიშნავიც უნდა იყოს. იოსებ იაკ-ძე ენდრონიკოვი აღსანიშნავია იმ გარემოებათა პატივ სადებ მხრიდამაც, რომ იგი მართალი ვეჭილია და მოსაქმეთა შორის სწორი, ქეშმარიტი სიმართლის ნათლის მფენელი. იოსებ ი-ძე ენდრონიკოვის საქმეთა და მოქმედების შესახებ იმდენი საქები და ქეშმარიტი ცნობები გავვიგონია რაც ძნელად, რომ მის დროის ვეჭილებთ შორის ვისმეს ემოსოს ასეთი ღირსება. იოსებისაგან ქართველთ თუ უცხო ტომთა წინაშე ბევრი კეთილი საქმე დათესილა და ამიტომ ჩვენც აქ მას ასეთის სამაგალითოს თვისებით ავსუსხავთ.

მიხეილ ალექსანდრესძე თუმანიშვილი. საუკეთესო მამულის-შვილთაგანია. განათლებულია კარგად, დროის შესაფერად. დაბადებულია ოზურგეთში, ამის წინაპარნი ოზურგეთში XIX საუკუნის დამდეგს არიან გადასახლებულნი. გურიელების წინაშე ამათ კაი ხმა და გავლენა აქვდათ. მიხეილ ალექსანდრეს ძე დღეს ბათუმში სცხოვრებს, შრომას იღებს ყველა საზოგა-

ლა საქმეებში. იქით არ გაკეთებულა ერთი რამე საზოგადო საქმე, რომ იქ მიხეილ ალექსანდრეს ძეს მონაწილეობა არ მიეღოს. ყველა საქმეში იგი დაუზარებელია და ნამეტურ სამშობლო ქვეყნის საქმეთა სამსახურის წინაშე. ამით იგი დაუზარებელია და სამაგალითო კაცად კაცი, ზედ მიწვევით მკოდნეა ქართულის საქმეების, ქართულის მწიგნობრობის. ყველა ასეთ საქმეში იღებს მონაწილეობას, გურიას და ბათუმში არ დაარსებულა არც ერთი საზოგადო საქმე, რომ იქ მიხეილს მონაწილეობა არ მიეღოს. ნამეტურ მონაწილეობას იღებს საქველმოქმედო წარმოდგენათა მართვაში, ოზურგეთის სამოქალაქო საქმეების გამგეობაში. სკოლების მართვაში, წერა-კითხვის სამართველოსთვის სასარგებლო საქმეების მართვაში, ქართველ მაჰმადიანებში წიგნების ვრცელების საქმეში და ბევრიც კიდევ სხვათა ენით მოუთვლელნი უკეთებია და გააკეთებს კიდევაც. შეუძლებელია რომ ჩვენ ასეთ პირთა ყველა საქმენი დაწვრილებთ ავნუსხოთ.

ზაფხუ იოსებისძე თავ. თუმანიშვიდი. თფილისელი, ძველი ქართველ თავადის შვილის ოჯახთაგანი, შვილი ცნობილის იოსებ თუმანიშვილისა. განათლებული კაცია, უმაღლესად სწავლა აქვს მიღებული. იცის ყველა ენები და თავის დედა ენა ქართული. ქართულს ისტორიასა და მწიგნობრობასაც მისდევს, თავის სამშობლოს სცნობილობს ყოველ ნაირის მხრით. თვითონ ახალგაზრდა კაცია და მას მომავლისთვის ბევრი რამ კეთილის დათესვა შეეძლება.

მისის მეთაურობით თფილისში დაარსდა ქართულ წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა „ცისკარი“, რომელ ამხანაგობამაც თავს იღვა ქართულის წიგნების გამოცემა და მით ჩვენი სამშობლო ენის მწიგნობრობის გავრცელება-აღორძინება. „ცისკარის“ დანიშნულება და მიზანი იქავე ფართოა და მრავალ ფეროვანი, რომ მის გამო აქ ვრცლად ვერ ვისახუბრებთ, ვიტყვი იმასკი, რომ ამ საზოგადოების არსებობის წყალობით პავლე იოსებისძეს შეუძლიან თავის თანამემამულეთ

წინაშე თავი ისახელოს და ისეთი საქმე გააცეთოს, რასაც ქართველთ ტომი დიდხანს არ დაივიწყებს და მის ნამოქმედარ საქმეს და ღვაწლს ყოველთვის სიამოვნებით აღნიშვნენ. პავლე თუმანიშვილი ჯერეთ ახლად გამოდის სამოქმედო ასპარეზზედ მოღვაწედ და იმედია რომ „კისკრის“ არსებობით იგი დიდს სამსახურს გაუწევს თავის ქვეყანას.

პავლე იოსებისძემ გულ მხურვალედ მოჰკიდა ხელი გაზეთ „ივერიის“ გამომცემლობას. დღეს „ივერია“ მისის გამომცემლობით გამოდის. ეს საქმეც შესამჩნევად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც უკანასკნელ დროს „ივერიის“ საქმე მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, შეუძლებლობის გამო ამდენი ხნის გაზეთი კინალამ დაიხურა. დღეს „ივერია“ იბეჭდება საუკეთესოდ, კარგის, ცოცხალის მიმართებით. მისი არსებობა, ყოველი ნომერი და ყოველი წერილიც კი ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ იკავებს კარგს ადგილს, მათ შეაქვსთ ახალი სინათლის სხივები და მით საკმარისად ანჯღრევენ ჩვენს ძველს მონურს ცხოვრებას.

„ივერია“ დღეს ქართველ საზოგადოებას დიდს სამსახურს უწევს, ამ კარგი სამსახურის მნიშვნელობას ქართველი საზოგადოებაც კარგად აფასებს და გაზეთი დღითი დღე ვრცელდება. „ივერიას“ თავის დაარსებრიდამ 1877 წ. აქამდე ჯერეთ იმდენი ხელის მომწერი არ ჰყოლია, რამდენიც დღეს ჰყავს და რომ მომავალში უფრო გავრცელდება ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ეს გაზეთი დღეს ფეხ და ფეხ მისდევს ქართველ ერის ცხოვრების და სამსახურის საქმეებს. ასეთის დიდი საქმის პატრონობის და ქომავლობისთვის პავლე იოსების ძე ჩვენგან სამადლობელია და ჩვენი მადლობა კიდევ ის იქმნება, რომ მან კარგად, ჩინებულად და ასე ემსახუროს თავის დაცემულ მშობელ ქვეყნის მწერლობას და საზოგადო საქმეებს, როგორც იგი დღეს ემსახურება. დიახ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „ივერიის“ განახლება და აღდგენა სწორედ სამავალითო საქმეთ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში.

იაკობ ჰეტრესძე ისარდლო. ქართველ კათოლიკობაში კარგად ცნობილი გვაშია და მასთან მთელს ქართველობაშიაც, თფილისში არ დაწყობილა რამე საზოგადო საქმე კათოლიკეთა შორის, რომ ამ პირს იქ მონაწილეობა არ მიეღოს. დიდი შრომა აქვს დათესილი თფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის ძმობასა და მის გამგეობაზედ. ასეთ საქმეთა და ქართველ კათოლიკეთა წინაშე მას ბევრი შრომა მიუძღვის, ამანვე აღაშენა აღბულახს კათოლიკეთა ეკკლესია. როგორც ძველი აზნაურის ხურსიძეთა შთამომავალი საქართველოს ერის ყველა საზოგადო საქმეთა არსებობის ცნობებიც კარგად იცის. გულს მოდგინედ ადევნებს ყველაფერს თვალს და არაფერს საქვეყნო და საკეთილო საქმეში უკან არ დადგება. საერთოდ ქართველობაშიაც ცნობილია ვითარცა უწარჩინებულესი ქართველი, 60 წლებს მიღწეულია და მცნობი კარგად ყველა ჩვენს მოღვაწეებისა და მათის მოქმედებისა. ძნელად რომ მის თანამედროვეებში ასეთი გულ შემატკივარი და მოსარჩლე ჩვენის ტომისა, მის ბედნიერების და განათლებისა მრავლად მოიძებნონ. ამ პირის შესახებ ბევრს რამეს ვიტყვით, მაგრამრ ადგანაც მას ამის სურვილი არა აქვს, ამიტომ აქ არას ვამბობთ ბევრს, ვიტყვით კი იმას, რომ იგი გულ მხურვალედ ადევნებს თვალ ყურს ქართულ მწიგნობრობას, საქართველოს ისტორიას, ძველსა და ახალ დროს, თანამედროვე მდგომარეობის და ქართველი ტომის აღორძინების განმტკიცებას. ბევრის იწვეათის შრომის და პატივსცემის ღირსებით არის ეს პირი დაჯილდოვებული.

ალოიზ მიზანდარი. ცნობილი პირი. წარჩინებულის ძველი გვარის შეილთაგანია. ამათ წინაპართა კათოლიკის სარწმუნოებასთან დაკავშირება XVII საუკ. მიეწერება. ძველადგანვე ეს გვარი შესამჩნევ ჩენილ გვარად ითვლებოდენ კათოლიკეთა რიცხვში და სწორედ ასეთ ჩინილ გვარის შთამომავალია ბ. ალოიზ მიზანდარი. ამ პირს თავის დროის კვალად კარგი განათლება აქვს მიღებული, საზოგადო, ევროპიული და მა-

სთანვე იგი ითვლება როგორც უწარჩინებელი მუსიკის მკოდნე, თითქმის უპირველესი კავკასიაში და მასთანვე სასახლო ქართველ გვარისათვის. ქართველებში სულ ორი პირია ასეთ დარგის მკოდნენი: მიზანდარი და სავანელი. ორივე პატივცემულნი არიან და ქებულნი მთელს ქართველობაში. ბ. ალოიზ მიზანდარი როგორც კაცი სამაგალითოა ქართველთა. მკოდნე თავის დედა ენის, სამშობლო მწერლობის და ისტორიის და ქართულად კარგად მოლაპარაკე, ალოიზ მიზანდარის აწინდელი შემძლებლობა და მნიშვნელობა სამუსიკო ასპარეზედ, ქართველთ წინაშე დიდხანს დაშთება სამახსოვროდ. ბ. ალოიზ მიზანდარი საზოგადოებისაგან იქმნა დაფასებული. მისი სურათი 1904 წ. გახეთ „ცნობის ფურცელშიაც“ იქმნა მოთავსებული. 55 წლის კაცია.

გრიგოლ ლუკასძე ხარისჭინაშვილი. გრიგოლ ლუკასძე ქართველთა წინაშე ცნობილი პეტრე ხარისჭინაშვილის ნათესავია. დაიბადა ახლციხეს 1876 წ. საზოგადო სწავლა განათლების მიღების შემდეგ მან ხელობათ ამოიჩნია და შეისწავლა სამუსიკო ოსტატობის ხელოვნობა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ფორტოპიანოს და სხვა ასეთ საკრავთა ოსტატობა. მოძარტვა, მოწყობა, შეკეთება და დაკვრას, ანუ ამის მოწყობა მკაცრად მიხვედრის ოსტატობაც, რასაკვირველია ოსტატობა ხელოვნურად, საემარის საყურადღებოს დაკვირვებით. ამ პირს ეს ხელობა ისე აქვს შესწავლილი და იგი ისე ჩინებულად მართავს ასეთ ძვირფას საკრავთა საჭირო მოსაწყობ საქმეებს, რასაც ჩვენში, ქართველებში ცალი არა ჰყავს. ასეთის შნოსა და ენერგიულის ოსტატობის გამო გრიგოლ ლუკასძე ხარისჭინაშვილს ხშირად მრავალი მადლობის წერილებიცკი მოსვლია ზოგი ერთ გამოჩენილ მომღერალ და დამკვრელთაგანაც. დიახ საყურადღებოა ქართველის კაცისაგან ასეთ საქმეთა ასპარეზედ ნიჭიერების გამოჩენა და თან სასახლოც ჩვენის გვარისთვის. ჩვენ ქართველნი ასეთ საქმეთა ასპარეზედ პირველად გამოვდივართ და ამიტომ უფრო ავსუსხავთ გრიგოლის ნიჭიერებას ფორტოპიანოს გამკეთებელთა

და მომწყობთა ხელოვნურის ხელოსნობით. ამ გარემოებას ქართველებმაც უნდა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ და ამ ქებულს ახალგაზდას სამაგალითო ხელოსანს შესაკეთებლად და დასადგმელად ფორტოპიანოთა საქმეები უნდა ამოიღონ ჩვენ ქართველებმა კაცის შრომის დაფასება და პატივი არ ვიციოთ, არავის არაფრით წავახალისებთ და ამიტომ მაინც მოვახერხოთ და გრიგოლ ლუქასძე ხარისპირაშვილს ვცეთ შესაფერი პატივი. თუ ეს იქმნება ჩვენგან, მაშინ უეჭველია გრიგოლს გარდა სხვებიც წახალისდებიან. თვითონ გრიგოლ ხარისპირაშვილი კარგი სამაგალითო ქარაველი ყმაწვილი კაცია, კაი თვისების და ყველა იმ ღირსებით დაჯილდოებული, რაცკი აწინდელს ახალგაზრდა ხელოსან კაცს მოეთხოვება. იშვიათია ჩვენში ამისთანა ოსტატი და ამიტომ უფრო გემართებს მისი თავაზი და პატივის ცემა.

კონსტანტინე ზავლეს ძე თავ. თუმანიშვილი. ქუთათური, კარვის ოჯახის და კარვის დედმამისშვილი. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ქუთაისის გემნაზიაში, მერე რუსეთის უნივერსიტეტში და შემდგომ გერმანიაშიაც სწავლობდა. ზედ მიწვევით იცის ევროპის ყველა ენები, საუკეთესოდ განათლებული და მომზადებული მამულისშვილია. გულით და სულით წარჩინებული ქართველი და სამაგალითო კაცია აწინდელს მსწავლულთ ახალგაზრდებთ შორის. ევროპიულ ენებს და ქართულს გარდა შესწავლილი აქვს კარგად და ნათლად ენათმეცნიერება, ნამეტურ შედარებითის კილოთი და მის გარდა როგორც განათლებულს კაცს თანამედროვე ყველა მეცნიერებისა და ფილოსოფიურ კითხვებისაც დიდი, კარგი ნათელი ცნობიერება აქვს მიღებული. შესწავლილი აქვს ისე რაც კი დღევანდელ იდეიურს მამულის შვილს მოეთხოვება.

როგორც განათლებულ კაცს და კარგად მცოდნეს თავის სამშობლოს ქვეყნის მწერლობის და ისტორიის, ქართულს მწერლობასაც გულს მოდგინედ და ნიჭიერად მისდევს, აწინდელს ქართულ მწიგნობრობის ასპარეზედ იგი ითვლება

ერთს უწარჩინებულეს მწერალ მოღვაწე პირად. ამის ორი წერილია ქართულის ენის შესახებ, მაგალითებრ მისი კილოკავების, სიტყვების და ნათესავობის ევროპიულს თუ აზიურს ენებთან დაიბეჭდა აკაკის „კრებულში“. მის შემდეგ ამისი წერილები იბეჭდებოდა „ივერია“ში, მოწინავე და საზოგადო წერილებათ, სადაც დამწერი ჩვენი ცხოვრების, წეს-წყობილების და საზოგადო საქმეთა გარდაქმნის და გადაშენების შესახებ სამართლიერად სჯიდა, მოსაზრებით და დალაგებით. წერილები გულ ახლით და პირუთვნელად ლაღადებენ ქართველთ საზოგადოებრივ საქმეთა წარმომადგენთ ამა თუ იმ ნაკულღევანებაზედ და მასთანვე უჩვენებენ ქართველ მკითხველს საფუძვლიან გზა და კვალს, თვით ცხოვრების განცვლის და გაუმჯობესობის მისალწვეად და იმასაც, თუ ქართველს როგორის მოვალეობით უნდა ექიროს თავი აწინდელ მკაცრად გამართულს პოლიტიკულს და ეკონომიურს ბრძოლის ასპარეზედ. მოკლედ უნდა ითქვას, რომ კონს. პავ ძე თუმანიშვილი ქართული მწერლობის ასპარეზედ, განათლებულ მწერალთ გვერდით თანაბარს ადგილს დაიკავებს, რადგანაც მის წერილებს კარგად ეტყობათ ამის ღირსება: სიბრძნე, გონიერება ზომიერება და განვითარების აღორძინების დიდი ტრფიალება ქართველის ტომის ძეთათვის.

განახლებული „ივერია“ ამის სულ ჩადგმულია, ამის თავდადებულის შრომით და წერილებით მშვენდება და იფინება ხალხში. დღეს, კონ. თუმანიშვილი სწერს სხვა და სხვა ფსევდომინებით საუკეთესო წერილებს, რომელთაც მკითხველნი სულ განაბულნი ელიან. დიახ, კ. თუმანიშვილი დღეს „ივერიის“ ერთი ჰაზრიანი ძალა არის.

გაბო იოსების ძე გოციყვლავი. გოციყლოვების ძველი გვარი ეყიბია არის. იგინი სამეგრელოდამ არიან. ამათი წინაპართა კაუოლიკობასთან დაკავშირება XVIII საუკუნეს მიეწერება. დღეს მათში კათოლიკეთ მალიარებელთ რიცხვის სულ მეხუთე თავობა უნდა იყოს. წინეთ მესხეთს და ჯავახეთს სცხოვრებდნენ, დღეს ქუთაისს და თფილისს სცხოვრობენ, და ირიცხებიან საუკეთესო ოჯახის შვილებად, თავ-თავის ალაგას შე-

სამხნევი ადგილებიც უკავიათ. ამათგანია გაბრიელ იოსების ძე გოკიელოვი, რომელიც ქუთაისში სცხოვრებს და მკურნალობს. ქუთაისში იგი როგორც მკურნალი პირველია, თვალთ ჩენილი. ავადმყოფთ შორის მან იცის დიდი გარჩევა და შეუძლოთა დიდს შეღავათს აძლევს. არავის არაფრით აწუხებს, ყველას თავის შეძლების და გვარად ეპყრობა და შეუძლოთ კიდევ სულ არაფერს ართმევს. ამით სამაგალითოა იგი ვიტყვით აქ იმასაც, რომ ამ მცნებას, ქართველებში, სხვა და სხვა ახალგაზრდა მკურნალებიც ადგანან. ამით საქებნი არიან სხვანაც.

საზოგადოთ ყველა საქეში, როგორც საზოგადოში ისევე კერძო დაწესებულებათა წინაშეც სახელოვანია და დაუზარებელი. არაფერს საქმის არსებობის ტვირთს ეს შორს არ გაექცევა, როგორც ქართველი მამულის შვილი ქართულის გულით და სულით არის აღვსილი და განურჩევლად ტომის და სარწმუნოების ყველასთვის სიკეთე სურს და სიყვარული აქვს. ახალგაზრდა კაცია, ცოლშვილის პატრონი საზოგადო საქმეთ გულის მოდგინედ მისდევს ქართულს და რუსულს მწიგნობრობასაც თვალთყურს ადევნებს, ადგილობრივ მწერლობას და უცხოეთისასაც. ზედ მიწეენით შესწავლილი აქვს ყველა თანამედროვე მეცნიერებანი და ნამეტურ თავის საგნად გამზდარი მედიცინა.

სხვათა შორის რუსულს ენაზედ მან დასწერა „აღწერა ემაწვილების სხვა და სხვა სენთა ვითარების“ მაგალითებრ: ყვავილის, ჩუტყვავილის, ქუნთრუშის და სხვათაც ასეთების, რომელთა მკურნალობას და ჩვენს ქართველს ხალხში ცოტად ცრუ მორწმუნოებაც მოჰსია გარს, რაის გამო უსწავლელი ხალხი ამით ჩვენში დიდათაც ზარალობს, ბავშვები ძრიელ ადვილად ეღუპებათ, ეს უბედურება ნამეტურ ჩვენშია გავრცელებული, ე. ი. აღმოსავლეთის საქართველოში, სადაც მკითხაები და ცრუ მორწმუნოება დიდათ არს გავრცელებული, ამ ცრუ მორწმუნოებას საღმრთო სახე აქვს მიეცემული. მაგალითებრ წმინდა ბარბარეში ტარება, თელეთს, უგოს, შავნაბადას, კრწანისს და იქ ავადმყოფს ბავშვებს ქუჭყიან ხა-

ტების ბინძურ ნაბანს ალევინებენ და თვალეზედაც მურტალ ნაფეხურს მიწას უსომენ, რომელიც ხატის ქვეშ ჰყრია და რასაც ათასი კაცის ფეხი აქვს მოხვედრილი. ამით ბავშვებს უფრო ასნეულებენ, რადგანაც მგზავრობაში ტარებით ცივდებიან და მეტე ხატის ქუქყიანი ნარეცხი წყალიც ხომ ერთობ ვნებას და შხამავს.

ამ სენის საწინაღმდეგოდ და მოსასპობად გაბო იოსების ძის შრომა სანაქებოა, სასარგებლო შრომად ჩაითვლება და მისი ქართულად დაბეჭდვა კაი სარგებლობასაც მოიტანს. გაბო იოსების ძე გოკიელოვს ასეთ საგანთა, ანუ სამკურნალოს ნაწილის შესახებ სხვა წერილებიც აქვს ნაწერი. ახალგაზრდა კაცია, და იგი ბევრ რამეს შექმნის დაუფიწყრად როგორც სამკურნალო მწერლობის ასპარეზედ, ისევე სწეულთა შეუძლოთა და საზოგადო საქმისთვისაც.

ჰეტრე ბეზირგანაფი, ცნობილი ქართველ კათოლიკე და კარგი ხმოვანი მგალობელი კათოლიკეთა ეკლესიაში. კუიის ეკლესიის აღშენებაში მონაწილეობის მიმღები.

ბ. ბაქრაძე, კარგი მკუნალი და მცხოვრები ქ. დუშეთს, ძველადგანვე დაკვირებულან ამათ წინაპარნი კათოლიკობას. იგი ბიძა გახლავსთ ჩვენის ცნობილის მოღვაწე პედაგოგის იოსებ ოციხელის. ბ. ბაქრაძე გარდაიცვალა დუშეთს და მით მოისპო მათი გვარის კათოლიკეთა რიცხვის წევრნიც. სხვა ოჯახის ბაქრაძენი კი არიან კათოლიკის სარწმუნოებისა. ამ ბაქრაძეს შედგენილი დაშთა „შარდის კარაბადიმი“ და სხვა-ნიც თავის სახელმძღვანელოდ მომზადებულნი.

ლევან კნსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. უფროსი შვილი კონსტანტინე ზუბალაშვილისა. დაიბადა 1853 წ. დღეს იგი მოსკოვს სცხოვრებს და ჰყავს ცოლშვილი. იგი კარგად მკოდნეა ქართულის ენის და საქართველოს ერის სიყვარულიც მრავლად აქვს დამკვიდრებული. ამის მნიშვნელობის პატავ სადებად 1905 წ. „წერაკითხვის სამართველომ“ თავის კალენდარში ლევანის სურათიც დაბეჭდა და პირნათლად აღი-

არეს ამის თანაზიარობაც სტეფანეს სახსენებლად ფულის შეწირვაში. ამაზედ ნახეთ 1905 წ. „კალენდარი“ და ზუბალაშვილების გვარის ისტორია.

პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვიდი. საუკეთესო ძმა თავის ძმებია, განათლებული კაცია, იგი ყველა ჩვენ საქმეებს კაკარგად იცნობს, ჩვენს მოძრაობას და ძარღვის ცემას თვალყურს ადევნებს. არის საუკეთესო მამულისშვილი და დასტურ ღირსეული შვილი თავის კარგის დედმამის. ესეც მზურვალე მონაწილეობას იღებდა და იღებკიდევაც ყველა შეწირულსაქმეებში. პეტრე კონსტანტინეს ძის სურათი და მის მნიშვნელობის შესახებ დასტამბულია 1905 წ. „წერა-კითხვის მიერ გამოცემულს კალენდარში“. ამიტომ აქ ამაზედ აღარს ვიტყვით.

გიორგი ზუბალაშვიდი. ცნობილი პირი თავის დროს, გამოჩენილი ვაჟარი და მასთანვე მოხელეც დამსახურებული პირი და მრავალ საქმეთა გამკეთებელი. ამ პირს რუსეთის ხელმწიფისაგან ხმალიცკი ებოძა ერთგულების და გმირობის სამახსოვროდ. ამისაგან საქართველოში ბევრი რამ არის გაკეთებული და მოფენილი. ამან გააკეთა 1820 წლებს ერთი დიდი შენობა, რომელშიაც 1837 წ. რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველიც მიიწვიეს. შემდეგ ეს სასახლე მიჰყიდეს ქართველ სამღვდელოებას ძრიელ იაფათ, რადგანაც შიგ ქართველთ სემინარია იქმნა მოთავსებული და დღევანდლამდე ეს შენობა სემინარიად არის დაშთენილი. ამის შვილი გახლდათ ნიკოლოზ ზუბალაშვილი, რომელმაც მამის მონაგები 60 ათასი თუმანი თფილისის გამგეობას დაუტოვა ღარიბების სასარგებლოდ. ამაზედ იხილეთ ზემოთ.

ალექსანდრე მირაქოვი. მირაქოვები ძველადვე დაუკავშირდენ კათოლიკის სარწმუნოებას. იგინი სცოხვრებენ ჯავახეთს. ზოგნი თფილისშიაც სცოხვრებენ და სხვაგანაც, ზოგი გრიგორიანია, ზოგი ქართველი და ჯავახელნი კი კათოლიკენი არიან. ალექსანდრე მირაქოვი სტამბოლშია ყოფილი, იცის

ხელობათ ასოთ აწყობა, კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სტამბაში უსწავლია ეს ხელობა. ახალციხიდან ეს პირი პატარა წაუყვანიათ იქ. იცის სხვა და სხვა ენები: ქათული, სომხური, რუსული, ოსმალური, თათრული, ფრანგული კარგად და ლათინური. ქართულ მწიგნობრობასაც მისდევს, იცის საქართველოს ისტორია და ქართულ საქმეების ცნობაც ზედ მიწევნით აქვს. თავის კვალად მახვილგონიერი კაცია და ქართულს ენაზედ მწიგნობრობს კიდევ. ოსმალურიდან მან სთარგმნა მოლა მასრადინას „ზღაპრები“ რომელიც ორჯერ დაბეჭდა ქართულს ენაზედ. ხალში ძრიელ გავრცელდა. ამას გარდა მანვე შეადგინა სხვა და სხვა ენიდან მოკლე ანეგდოტები და ცალკე წიგნად დაბეჭდი, რომელსაც სახელად „ნაპერწყალი“ უწოდა.

გაბრიელ მერაბაშვილი. ახალციხის მაზრის სოფელ უდელი. კათოლიკობას ძველადგანვე დაუკავშირდენ ამათი წინაპარნი. გაბრიელ მერაბაშვილმა პირველ დაწყებითი სწავლა კონსტანტინეპოლს მიიღო. მერე მარსელში გახლდათ. სწავლობდა იეზუიტების სკოლაში. გაბრიელი დღეს 44 წლისა არის, იგიც სოფ. უდიდამ პატარა წაუყვანიათ კონსტანტინეპოლს, იქ იგი პეტრე ხარისკირაშვილის სასწავლებელში სწავლობდა. კონსტანტინეპოლს და მარსელს 5 წელს დარჩა. ემზადებოდა სამღვდლოდ. ავადმყოფობის გამო მღვდლობას ასცდა. საქართველოში დაბრუნდა. იცის ფრანგული, იტალიური, თათრული და ქართულიც.

ამან შეადგინა ქართულს ენაზედ სახელმძღვანელო სახმარი წიგნი:— „ფრანგული ენის თვით მასწავლებელი“ რაც ქართველთ ვაჟრების და ვაჟართ ასპარეზედ მნიშვნელოვანი უნდი იქმნეს. ეს წიგნი პირველად მან დაბეჭდა ბათუმს 1899 წ. წიგნი საკმარის ზომის არის, ეხლა იშვიათია და ამიტომ მეორედ ბეჭევას აპირებს ცვლილებით და შეკეთებით. ამავე

პირს შედგენილი აქვს „იტალიურ ქართულ ენის თვით მასწავლებელი“ გაბრიელ მერაბიშვილი დღეს სხვა და სხვა ენებთა თარჯიმანობით სცხოვრობს.

თომა ფაფაზოვი. ახალციხელი, ძველადვე დაკავშირებულნი კათოლიკობასთან. მოხერხებული, ენერგიული პირია. თომა 1878 წ. ომში ნამყოფია, გიორგის ჯვარიც აქვს. ფაფაზოვების ძველს გვარად ზოგნი მამაცა-შვილად ამბობენ. დღეს ამ გვარის წევრნი სცხოვრებენ ახალციხეს და თფილისს. თომა ფაფაზოვი ქართულ მწიგნობრობასაც მისდევს, მისი წერილები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „დროება“ში 1882 წ. 82, 83 წლებს. უმეტესად მესხეთს და სამცხე-საათაბაგოს შესახებ. ბედისა და გარემოებისაგან განტყორცილი დღეს თომა ფაფაზოვი კონსტანტინეპოლს სცხოვრებს. 40 წლებს გადასული, უცოლშვილო. ცხოვრების სხვა და სხვა საქმეებთა მკაცრი პატივიმცემელი, მოხერხებული და მოურიდალი ქართველი ყველა უწყისობასა და უსამართლობის წინაშე.

ბატ. ივანე ბარკაჯოვი. სოფ. უდელი. ამათი ძველი გვარი ბარკალაია, ნამეგრელები არიან. ძველ ერთ ამ გვარის პირთაგანი ახალციხისკენ გადასახლებულა, იქ კათოლიკობას დაკავშირებია. ამ ოჯახის ჩამომავალთაგანია ბ. ივანე ბარკალოვი. ბ. ივანე ბარკალოვმა სწავლა მიიღო ახალციხის სამოქალაქო სკოლაში. მერეც ემზადებოდა სწავლისთვის. შემდგომ მომზადების იგი დანიშნულ იქმნა თფილისის უეზდის სოფელ მანავის მასწავლებლად. რამდენსამე ხნის შემდეგ იგი გადაყვანილ იქმნა მანავიდამ ახალციხისაკენ. დღეს იგი მასწავლებლად არის თავის სოფ. უდეში. სამინისტროს სკოლაში. კარგი მასწავლებელია და მასთან მწიგნობარიც. მისდევს გულ მოდგინეთ ქართულ მწიგნობრობასაც, მისი წერილები მესხეთილამ და ჯავახეთილდგან იბეჭდებოდენ: გაზეთ „დროება“ში, „ივერია“ში და „ცნ. ფურცელში“.

გრიგოლ სოლომონიშვილი. სოლომონები მესხები არიან, ამათი წინაპარნი კათოლიკობას ძველადგანვე დაუკავშირდენ. სოლო-

როვების გვარის წევრნი დღეს სცხოვრებენ ახალციხეს, ქუთაისს და ბათუმს. ამათგანია გრიგოლ სოლორაშვილიც. გრიგოლი საკმარისად განათლებული კაცია, ქართველთ კერძო თუ საზოგადო საქმეთა კარგი მცოდნე. თანამედროვე მოქალაქეა და მასთან კარგად მომზადებულ გამოწვრთნილი. მოკლედ რომ ითქვას, იგი არის თავის დროის შესწენილი კაცი და მომზადებული იყველა სამეცნიერო და საჭირო კითხვებში. როგორც განათლებული კაცი გულს მოდგინედ მისდევს ქართულ-რუსულ მწერლების საქმეს, იგი მთელის თავის სიცოცხლით და მოქმედებით ამ საქმეთა გარშემო ტრიალებს. ამიტომ მას ყოველთვის ღრმა დაკვირვებითი განსაზღვრა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე და მის შესაფერად კვლევა-ძიებაზედ.

გრიგოლ სოლორაშვილმა რუსულის ენიდამ ქართულს ენაზედ სთარგმნა ინგლისის ცნობილის ისტორიკოს ფილოსოფის ბოკლის „ცივილიზაციის ისტორია“ რასაკვირველია შემოკლებით. ეს წიგნი ივ. როსტომაშვილმა დაბეჭდა და უნდა ითქვას რომ სწორედ დროის შესაფერადაც ჩაითვალა. ამ ისტორიამ ქართული მწერლობის ასპარეზზედ დიდი რიცხვი მოიპოვა მკითხველის, ნამეტურ ისეთების, რომელთაც საზოგადო განათლების დიდი ტრფიალება აქვსთ და ქართულს ენაზედკი კარგი წიგნებიკი არ მოეპოვებათ წასაკითხავად. ასეთი პირები უმეტესად მუშები არიან და უნდა ითქვას, რომ ასეთ მუშებს გრიგოლ სოლორაშვილის თარგმანმა დიდი სამსახური გაუწია, დიდი ამაგი. ბევრმა მდაბიოთაგანმა გაახილა თვალები და ჰაზროვნების გზას დაადგა, ასეთი წიგნები ჩვენში ჰქმნის თვალ ხილულს მკითხველთ მუშათ რიცხვს. ეს დიდი საქმეა ჩვენთვის. იმედია, რომ გრიგოლ სოლორაშვილი თავის ენერგიულს ცოდნას და ძალას მარტო ამ წიგნის თარგმნით არ დასტოვებს.

• ბატ. ასლანოვი. ასლანოვი, ანუ ასლანშვილები ს. ბავრელე-ბი უნდა იყვნენ, რადგანაც თვით ბატ. ასლანოვიც ასე აწერდა თავის წერილებს, რომ ბავრელიო. ასლანოვების წინაპართ

დაკავშირება ძველ დროს ეკუთვნის. ბატ. ასლანოვს მიღებული აქვს საშუალო სკოლის სწავლა და მერე თავის შრომით და ცდით განათლება. იგი აღრიდგანვე შევიდა სამსახურში და 1878 წელს უკვე სატელეგრაფო საქმეთა ასპარეზედ მსახურებდა, უმეტესად იგი მსახურებდა დასავლეთ სამხრეთ საქართველოსკენ და მერე რუსეთის იმპერიასთან შემოკავშირებულ ოსმალეთის საქართველოში. ბათუმს, ბორჩხას, ართვინს, არდანუჩს და სხვაგანაც, სადაცკი საქიროება მოითხოვდა, ღღეს იგი მსახურობს შავშეთს—დაბა არდანუჯს.

ბატონმა ასლანოვმა ქართული ისტორიაც კარგად იცის, მის გულში ღრმად არის ჩანერგილი საქართველოს ერის სიუყვარული და ნამეტურ დასავლეთ სამხრეთ საქართველოსი. მან მიმოვლო ეს კუთხეები და ბევრი რამ ძველი ნაშთები ღიდის გულ მდუღარებით აღწერა. მის ნაწერებში ბევრი რამ ძვირფასი ცნობები მოიპოვება ჩვენის ისტორიის და ნაშთების შესახებ, რადგანაც დასავლეთ სამხრეთ საქართველოს შესახებ ჩვენ ამჟამად საუკუნის განმავლობაში ბევრი რამ დავკარგეთ და დავივიწყეთ. ამ კუთხეში ჩვენის ტომის ყოველივე ნაშთები ძაძით მოსილნი არიან, მგლოვიარენი. ბ. ასლანოვმა ამ ძაძა მოსილთ ნაშთების ბევრი რამ აგვიჩუხა. მან წერა დაიწყო „დროებასა“ და „ივერიაში“ 1878 წ. სწერდა მრავლად და ჩინებულად. სხვათა შორის მისი წერილი „ივერია“ში დაბეჭდილი 1879 წ. მოგზაურობა ნავით კოროხში და „ზამთარი“ შესანიშნავნი არიან თვით მწერლის სახელოსნო და სამხატვრო ნიჭითაც. „ზამთარი“ იმავე დროს რუსულ გაზეთებშიაც კი იქმნა ქებით მოხსენებულ და განხილული.

ბატონი ასლანოვი წარჩინებული ქართველი მამულის შვილია, გულ შემატკივარი ჩვენი საქმეების, თანა მავალი და თანამგრძნობი ჩვენის ძარღვის და მაჯის ცემის. იგი ღღეს ცოლშვილის პატრონია. მე კარგად ვიცნობ მის გულის და სულის ვითარებას, იგი მსახურობს ჩვენგან უყურადღებოთ დატოვებული შავშეთის დაბა არდანუჩს, იმედია იქ ყოფნას.

იგი ჩვენის ტომის სასარგებლოთაჲ გამოიყენებს. ბევრს რამე მასალებს დაგვიწერს, ვინაიდან იგი ამისთვის მომზადებული, განათლებული ქართველიც არის და მასთან დიდათ გულ შემატკივარიც. იმედი გვაქვს, რომ ეს საპატრიო საყვარელი მამულისშვილი ძველებურად შევშეთილამ ხმას მოგვეცემს და ქართულ გაზეთებში წერას დაიწყებს.

სიმონ ანტონის ძე ოცნებული. ძმა იოსებისა. ქართველი მამულის შვალი ჰნ წლებს მიღწეული. საუკეთესოდ განათლებული, მასწავლებელი გიმნაზიისა და დაუცხრომელი მუშაკი პედაგოგის ასპარეზედ. არც ერთ ქართულ საზოგადო საქმეთა პატივის ცემას იგი არ გამოაკლდება და ხომ მოგეხსენებთ ზოგის ოჯახის შვილებთათვის „კეთილ საქმეთა ქმნა გვართა წესიანო“ იტყვის ხალხი. ამიტომ ესეც საგვაროვნოდ გვართა წესიანს მორჩილი გახლავსთ და მასთანვე კარგი მასწავლებელი, სამაგალითო კაცი და დაუღლეელი მამულისშვილი. იგი დღეს ქუთაისში აპირებს კერძო სავაჟო პროგიმნაზიის გახსნას. ქუთაისში ეს დიდს საქიროებას შეადგენს. ღმერთმა ქმნას, მალე მოხერხდეს, მის და მის ძმას არამც თუ პროგიმნაზიის შენახვა, არამედ გემნაზიის მართვაჲ კი შეეძლებათ სამაგალითოდ და შესანიშნავად. ასეთი მუშაკი შვილია თავის სამშობლოსი სიმონ ანტონისძე ოცნელი.

ივანე პეტრეს ძე კაკაჩაშვილი. ამათ ძველი გვარი ქუჩიჩაშვილია. ესენი კათოლიკის სარწმუნოებას ძველადგანვე დაკავშირებიან. პეტრეს მამა ქაქუჩა-იგივე ქაიხსრო მძევლად თუ ტყვედ წაუყვანიათ სტამბოლს. იქ ოსმალთა ამის გაათათრება სდომნიათ. ამ დროს ქაიხსროს ფრანკუზები შეხვედრიან, ოსმალთაგან უყიდნიათ, მის მერე იგი მათს მფარველობის ქვეშ შესულა და მალე კათოლიკის სარწმუნოებაჲ მიუღია. იგი ისე დაუახლოვდა ფრანკუზებს, რომ თურმე ფრანგულ ენის გარდა, წერა-კითხვა და ლოცვებიც შეისწავლა. ხანში შესვლის დროს, იგი კათოლიკე მღვდლებთა მფარველობით

ახალციხეში ბრუნდება. იქ, იგი ცოლს ირთავს და სახლდება კიდევ.

ქაიხოსროს ეძლევა შვილები და მათ შორის პეტრე-ვაჟი. შემდგომ ამის პეტრე იზრდება, ესეც ახალციხეს ცოლს ირთავს და სახლდება. ამას ეძლევა შვილი ივანე-ახალციხეს. თუქცა ყველა ამავების დრო ჩვენ არ ვიცით, მაგრამ საუწყებელია, რომ იგი უნდა შეეხებოდეს XVIII საუკ. ნახევრის დამლევს. ხოლო ქაიხოსრო კი XVIII საუკუნეში უნდა იყოს დაბადებული. ასე რომ დღეინდელ კოკოჩაშვილების შთამომავალნი კათოლიკის სარწმუნოებაში მებუთე, ან მეექვსე თავობა უნდა იქმნეს და სწორედ ამიტომ უფრო საფიქრელია, რომ ქაიხოსრო კოკოჩაშვილი XVIII საუკუნის ნახევარს უნდა იყოს დაბადებული. 13 წლის პატარა ივანე, ახალციხიდან გადადის ქუთაისს, იქ სახლდება და სცხოვრებს კათოლიკეთა მღვდელთა გავლენის ქვეშ და მათის დახმარებითვე სწავლობს ექიმობას, ანუ მკურნალობას. სწავლის დროს დიდს ხელმძღვანელობას უწევდენ როგორც ქუთაისის პატრები, ისევე ახალციხისა.

პატარა ივანემ საექიმო ასპარეზედ კარგი ნიჭი გამოიჩინა, ძრიელ ადვილად და დიდის დაკვირვებით სწავლობდა მკურნალობას. მან მალე მიაღწია თვით წამლების კეთების ბრძნულს ოსტატობასაც და ერთსა და იმავ დროს, იგი როგორც მკურნალობდა, ისევე თავის ხელითვე აკეთებდა წამლებს. ივანემ მალე განიტქვა იმერეთში სახელი, ექიმობის, ამის ცოდნით და ადამიანობის მხრით მას პატივს აძლევდა მთელი იმერეთის ერი: გლეხნი, თავად-აზნაურობა, მოქალაქენი და მასთან თვით იმერეთის მიტროპოლიტი დავითიც. ამის მკურნალობის ცოდნას ზედ ერთობოდა სიტყვა-პასუხი, კეთილი გული და სამაგალითო საქციელი, რასაც ავადმყოფობაზედ დიდი ზეგავლენა აქვდათ. კაცთ მოყვარეობას მის გულში ისეთი დიდი ადგილი ეკავა, რომ იგი ღარიბ ავადმყოფებსა წამლებში და მკურნალობაში არამც თუ თვით ართმევდა შრომის ფულს, არამედ თვით ეხმარებოდა, თვით აძლევდა ფულს, თუ კი ავადმყოფს გაკირებას შეამჩნევდა.

ამ პირის ასეთს ღირსებას მრავალნი დაასაბუთებენ. მისგან არა ერთს და ორს გაქირებულს სწეულს მიუღია დახმარება. როგორც მკურნალიც განთქმული იყო და ამ განთქმას დიდათ ეხმარებოდა მისი კეთილი გული და ღარიბთ სწეულთ სიბრალული. ამით სამაგალითო იყო იგი თავის საგანში, კარგად არჩენდა ყველანაირს მუწუკებს, შინაგან ავადმყოფობასაც კარგად ამჩნევდა, მაჯის ცემაც კარგად იცოდა, ქალთა ორსულობის შეტყობაც და გუნებ ნაქცეობაც. ორსულ ქალს ადვილად გაუგებდა: ვაჟი მიეცემა თუ ქალი. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ივანე ქოქოჩაშვილი რამდენადაც თავის დროის კვალად საექიმო ასპარეზედ სჩანს მოღვაწე პირად, იმდენადვე ცხოვრების ყველა მხარეებთა საქმეზედაც. მას დიდი ამაგი უნდა მიუძღოდეს ხალხის საზოგადო ცხოვრების საქმეების წინაშე. იგი უკანასკნელ, დროს მისული ირთავს ცოლს და საყოველთაოდ სცხოვრებს ქუთაისს. გარდაიცვალა 1864 წ. 66 წელს მიღწეული. მაშასადამე იგი დაბადებულ უნდა იყოს 1799 წ. აქედამ უნდა ვიცოდეთ, რომ ქაიხოსრო კოქოჩაშვილი დაბადებულ უნდა იყოს XVIII საუკ. ნახევარს, კათოლიკობაც ამ დროს აქვსთ მიღებული. სამწუხაროდ ისტორიული ცნობების მათში აღარაფერია დაშთენილი. ამის შეკრებასაც ეხლა მოვასწარიო.

ივანე პეტრეს ძემ ენები იცოდა: ქართული, სომხური, თათრული, თვით წერაკიანხვაც კი სამაგალითოდ. თვით ძველს გუჯრებს ოსმალურს ენაზედ და წერილებს ეს სთარგმნიდა მთავრობის თხოვნით. აქვნდა თავის სახლში სამკურნალო აფთიექი. წამლების ბალახებსაც თვით შოულობდა, რომ სხვისი ხელითა მოტანილში შეცდომა არ მოსვლოდა. მასალებს სულ თვით პოულობდა. ბალახების სახელებიც კარგად იცოდა და ნამეტურ ლათინურის სახელები. წამლებს ყოველთვის შესამჩნევად ამზადებდა. ესევე არჩენდა უმსგავს ავადმყოფებს. ჰქონდა შედგენილი „ბატანიკური ლექსიკონი“ ლათინურს, ქართულ, არაბულ, ოსმალურ, სომხურ და რუსულ ენისა. ამ საინტერესო წიგნს გარდა მას აქვნდა კიდევ სხვაც ბევრი

რამ ნაწერები ექიმობის შესახებ. საზოგადოთ, თავის დროის კვალად მწიგნობარი კაცი ყოფილა და ქართული კითხვის მოყვარე.

თუმცა ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილს თავის დროს იმერეთის ერში დიდათ აქვდა გავარდნილი სახელი, თუმც მას ავადმყოფები უოველთვის მრავლად ახლდენ და საქმიანობისაგან მოსვენებაც არ აქვდა, მაგრამ მაინც იგი არ იყო მდიდარი. ღარიბად მოკვდა, რადგანაც რასაც შეძლებულ ავადმყოფთაგან სამკურნალო ფულს იღებდა, იმას მერე შეუძლო სნეულებს და ლატაკებს ურიგებდა. ამით ივანე პეტრეს ძე სამაგალითო იყო თავის დროს და მრავლთაგან დიდათ პატივცემული. მის ამავს და შრომას იმ დროს თუმცე ყველა პირნათლად აღიარებდა, ასეთი მოღვაწე ყოფილა.

პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩაშვილი. ქართველებში ჩვეულება იყო, რომ რასაც, ანუ რა ხელობასაც მამა მისდევდა, იმასვე მომავალში შვილი დაადგებოდა. შვილი მამის ხელობაში მამისავე გვერდით ვითარდებოდა და ხალისდებოდა. არის ჩვენში ზოგიერთი ისეთი ძველი გვარები საპატოო ოჯახების და მკოდნე კაცების, სადაც ერთ ხელობის გვარში რამდენიმე თავობა მდგარა, ერთ თავობას თავის ხელსაქმიანობა მეორე და მესამე თავობისთვის გარდუცია. სწორედ ამის მაგალითს წარმოადგენს ივანე კოკოჩოვი და მისის შვილის პეტრე-პავლე ივანეს ძე კოკოჩოვის საქმეც.

მამის მაგალითების დიდი თანამბაძველი იყო შვილი მისი პეტრე-პავლე, რომელიც დაიბადა 1832 წ. ქ. ქუთაისს. პატარა პეტრე ჯერეთ შინ ვითარდებოდა, მამის მაგალითებს სწავლობდა და შემდეგ იწურთვნებოდა პატრების გავლენის ქვეშ, სადაც სწავლობდა იგი კარგად ქართულ ენას, ლათინურს, ფრანგულს და იტალიურს. უნდა მოგახსენოთ, რომ ქუთაისის პატრებს ამ მხრით დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვით იმერეთის ერის წინაშე. მასწავლებლობით იგინი ქუთაისში არაპც თუ მარტოდ ქართველ კათოლიკებს ემსახურებოდნენ,

არამედ თვით იმერთა მეფობის დროსაც კი ბატონის შვილებს ასწავლიდნენ და მათ შერე, 1820 წლებიდან ხომ ყველას, განურჩევლად წოდების, ვინც კი ისურვებდა ფრანგულის, ლათინურის და იტალურის ენის სწავლებას, ესენი მზათ იყვნენ, მუქთად ასწავლიდნენ.

პეტრე-პავლეს ცხოვრება დაკავშირებულია იმერეთის დედა ქალაქ ქუთაისის ზრდასა და აღორძინებასთან. 1770 წ. იმერეთმა წინ დაიწყო სვლა, გამაგრება 1790 წლებიდან. ქ. ქუთაისიც აღორძინებას მიეცა. უნდა ითქვას, რომ პეტრე-პავლე როგორათაც მამის სამაგალითო თვისებით ივსებოდა და იზრდებოდა, ისევე იგი დიდს წარმატებას იძენდა პატრების გავლენის ქვეშ. ენებს გარეშე პატრების და კაპუცინების წყალობით იგი სწავლობდა სამკურნალო მეცნიერების ვითარებას, წამლების და ბალახების სახელებს ყველა ენებზედ. დროს მიმდინარეობის და ხანში შესვლის წყალობით იგი ყველა საგანზედ კარგს მოსახრებას იდგენდა და ნამეტურ ვაჭრობის ასპარეზებად, რაც მაშინდელ ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა წინაშე მკაცრად იყო აღორძინებული და რასაც კარგი ისტორიაც აქვს.

პეტრე ივანეს ძე მამის სიცოცხლეშივე, საექიმო ასპარეზზედ ისე გამოიწურთნა, ისე მოემზადა, რომ მან ახალ. გაზღობიდან ამის სასარგებლოდ მოქმედებაც დაიწყო და ამ სამოქმედო ასპარეზზედ გასახელოვანდა კიდევ, მომავალი, კარგი, ქებული დაუდგა. მიზეზი მისის ასეთის წარმატებისა გახლდათ ის გარემოება, რომ პეტრე ივანეს ძე გამოიწურთნა ისეთ კაპუცინებთან როგორიც იყვნენ პატრი ბერნარდე და ბონვენტურა, რომელნიც მთელს საქართველოში ცნობილ იქმნენ როგორც ერთ უანგარო ხალხის მკურნალ მოძღვარნი. ამათი გონიერება ყველამ იცოდა კარგად. პეტრე პავლემ სიყმაწვილიდგანვე დაიწყო სააფთიეჟო საქმეების მომზადების ვითარება და მალე იქამდე მივიდა რომ ასეთ საქმეთა მოწყობა და შექმნა არ გაუჭირდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პე-

ტრე-პავლე თავის დროის კვალად რუსულს ენასაც კარგად ითვისებდა.

პეტრე პავლე ისე დაწინაურდა და ისე წავიდა წინ, რომ 1860 წ. ქ. ქუთაისში, გახსნა აფთიეჟი. იმ დროს, ეს საქმე პირველი მაგალითი იყო ქუთაისში. იგი მნიშვნელოვანი იყო არამც თუ მარტოდ ქუთაისში, არამედ მთელს გუბერნიაში. იგი მთლად ჩვენ ქართველებისთვისაც საყურადღებო უნდა იყოს, რადგანაც იმ დროს კი არა და თვით დღესაც კი ქართველ კაცს იშვიათია რომ აფთიეჟი აქვდეს, ან სააფთიეჟო მაღაზია და ან პროვიზორი იყოს. ჩვენში ეს ერთობ მცირეა. საყურადღებოა ეს გარემოება მითაც, რომ პეტრე-პავლეს მთავრობა არ აძლევდა ნებართვას აფთიეჟის გახსნისას. ყოველივე სიძნელე მთავრობისა პეტრე-პავლემ დასძლია და ქუთაისში მოახერხა საყოველთაოდ და სამახსოვრო საქმის მოწყობა. 40 წელიწადი მეტია რაც ამათგან ქუთაისში არსებობს ეს და უნდა ითქვას, რომ მათ ამ ხნის განმავლობაში დიდი სიკეთე აქვსთ მოტანილი. ასეთ საქმეთა ფასის განმარტება და საუბარი თუმც ადვილი არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ თუ კი განსვენებული სამსონ თოფურია დაფასდება თავის შრომით, მაშინ არც პეტრე-პავლეს მოაკლდება თავის მნიშვნელოვანი ღვაწლის მნიშვნელობა ჩვენს წინაშე. ენა ადვილათ იტყვის, ასეთი შრომის დაფასება ადვილი საქმე არ არის, რადგანაც პეტრე-პავლეს შრომა 40 წლის განმავლობაში გაფანტულია და გარდაშლილია მთელს იმერეთის ერის წინაშე. ამას ყოველთვის ექმნა თავის ფასი და მნიშვნელობა.

ამათ თავიანთი ვალდებულება ისე უსრულებიათ, რომ ძნელად მათ ოდესმე სადმე რამე საქმეში ნაკლი, შეცდომა მოსვლოდეთ, ძნელად, ერთობ ძნელად და თითქმის არასოდეს. შესანიშნავია ისიც რომ რა კაცთ მოყვარეც ივანე კოკონოვი იყო, ისეთივე არის ეს პეტრე-პავლე. შეუძლოთა სიყვარული, მათი მფარველობა და უფასოდ წამლების მიცემის და მკუ-

ნალობასაც ამის გულში დიდი ადგილი აქვდა დაკავებული, იგი დაუზარებლივ ეხმარებოდა ყველა შეუძლო და უქონელს, რასაკვირველია თავის შეძლების და გვარად.

როგორც საქმის წარმატების და შრომის განსპეციალების და გაღაზათიანების მეძიებელი, თავის ასპარეზედ მარტოდ რუსეთის სააფთიეჟო წამლებით არ ჩერდება. მან საზღვარ გარეთის წამლებს და ნივთებსაც მიაქცია ყურადღება და დაიწყო მგზავრობა კონსტანტინეპოლს, ბერლინს, ვენას და ევროპის სხვა ქალაქებშიც. ევროპის ქალაქებში მისთვის მგზავრობა არ იყო უნნიშენცლო, მან იგი დიდათ გამოიყენა და შემდეგ მით დაგვირგვინდა ამ მგზავრობის და გამოყენების შრომა, რომ მრავალ საქმეთა გარეშე, ქუთაისში გახსნა სამაგალითო სუნოვანი წყალთა ქარხანა. ამ ქარხანაში მომზადებული წყლები სწორეთ რომ სანაქებო და სამაგალითო რომ იყო მთელს კავკასიაში. რადგანაც ასეთ სავაქროთა ცნობები ჩვენი წიგნის თანხმა არ არის, ამიტომ პეტრე-პავლე ივანის ძის დანარჩენ სხვა სავაქრო ცოდნის და წარმოების შესახებ იხილეთ სხვა წიგნში, სახელდობრ „ვაქრობა და მრეწველობა ქართველ კათოლიკობაში“. მოკლედ უნდა ითქვას რომ ეს პირი იმერეთის ერის წინაშე დამაშვრალია კეთილის და სამაგალითოს სამსახურით.

ღევან ლუკას ძე მჭედლიშვიდი. ბათუმში და საზოგადოთ ამ კუთხეში ცნობილი იყო თავის საქმეებით და მამულისშვილობით, იგი ეკუთვნის სოფ. უდიდამ გადასხლებულ ლუკა მჭედლისშვილის ოჯახს. ლევან მჭედლიშვილი თავის დროის კვალად ითვლებოდა ერთს საუკეთესო მამულისშვილად, ერთს უწარჩინებულ ქართველ ადამიანად. იგი იყო განათლებული კაცი, მასთანვე კარგად მომზადებული, კარგის თვისებით დაჯილდოებული. ვისაც კი მისი ცნობა აქვდა, ყველა ის თამამად დამეთანხმება, რომ ლევან ლუკას ძე ქართველი ერის ცხოვრების ასპარეზედ ბათუმის მიდამოებში უპირველეს პირად ითვლებოდა, როგორც იქ, უნდა ითქვას, რომ იგი მთელს

საქართველოშიაც იმ სახითვე უნდა იქმნეს მიღებული და მნიშვნელობა მიცემული. იგი იყო საუკეთესო კაცად კაცი, სამაგალითო მშრომელი, ქეშმარიტების მეძიებელი ყველა საქმეში და საგანში, კარგი ამხანაგი თავის ცოლშვილის და მთარველი, მოსამართლე და მოსარჩლე ყველა შეუძლო პირისა და მასთანვე მრავალთაგან მისაბაძი ქართველი დარბაისელი, შორს მხედველი, სათნო ადამიანი.

ლევან ლუკას ძე როგორც განათლებული და მომზადებული კაცი, კარგი მკოდნე იყო ქართული მწიგნობრობისა. იგი ქართულად მწერლობდა კიდევ. მისი ფსევდონიმი „კრაზანა“ იყო. მისი წერილები წინეთ „დროება“ში იბეჭდებოდნენ და შემდეგ „ივერია“ში. მისი წერილები ყოველთვის ჩვენი ცხოვრების დღიურ ვარაშს ეხებოდნენ. საჭირო და სასარგებლო კითხვების მას არაფერი გაეპარებოდა. საყურადღებო იყო მისი წერილები 1878 წ. ოპის შესახებ, ბათუმის აღებაზედ, ანუ ოსმალეთის საქართველოზედ. მისი წერილები ყოველთვის სიამოვნებით იკითხებოდა ხალში, ამ წერილების წერისთვის მაშინდელ „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს მწერამოწერაც აქვანდა ლევანთანა და წერას გარდა სხვა საქმეებსაც ბევრს რამეს ავალეზდა. წერის მიმართულება მისი იყო ყოველთვის ნათელის მიმართულების და პროგრესიულის. მის ნაწერებში ნათლად გამოისქვრიტება სიმართლე, კაცის პიროვნების შემოფარგვლა და საზოგადო საქმეთა პატივის ცემა.

ლევანმა ბათუმის საქმეებიცი კარგად იცოდა, იგი ერთგული მსახური იყო ყველა ქართულ საქმეთა და მასთანვე დაუღალავი მშრომელი და ხმოსანი ბათუმის თვით მართველობის. ბათუმში არ დაარსებულა რამე საზოგადო საქმე თუნდ პატარა, რომ იქ ლევანა მონაწილეობა არ ჰქონდეს მიღებული. მეტად კეთილი შრომა აქვს ამ პირს დათესილი და ეს შრომა ცხადი თავმდებია მის, რომ თვით მისი გარდაცვალებაც მოხდა ბათუმის ქალაქის თვით გამგეობის სხდომამზედ დასწრების დროს, უცბათ გარდაიცვალა, რის გამოც მთელი საზოგადოება მწუხარედ დარჩა და ყველა ნაღვლობდა ლევანის ასე უდროვოდ დაკარგვაზედ. დაუვიწყარი ადამიანი შესაფერის პატივის

ცემით იქმნა დასაფლავებული. ბევრს საქმეებთა გარეშე ლევან ლუკას ძე მოყვარე იყო ქართველ კათოლიკეთა ისტორიის მასალების და იგი ყოველს ცნობას ამ ერის შესახებ სიამოვნებით კითხულობდა.

ხშირად მგზავრობდა ახალციხეს, იქაურს კათოლიკეთა საქმეებს თვალთ ყურს ადევნებდა და მასთანვე მასალების კრებასაც ყურადღებას აპყრობდა. სხვათა მრავალთა შორის მისგან მოპოებული რამდენიმე ძვირფასი ისტორიული მასალები მეც მივიღე, რომელნიც აქა იქ ქართულს გამოცემებში მოვათავსეთ. დიახ ბევრი, მეტად ბევრი კეთილი საქმე აქვს ლევანს დათესილი ქართველთ წინაშე, იგი გარდაიცვალა 1903 წ. ვიტყვიტ კვალად, რომ ლევანი როგორც ქართველი კაცი იყო დიდი საღმის მოყვარე, თავაზისა, პრუ-მარილის და სიწრფელის. ძნელად, რომ ვისმეს მისგან რამე წყენა მივლოს, ან რამე არა საკადრისი სიტყვა მოესმინოს. ქართველ კათოლიკობაში იგი ითვლებოდა პირველ ხარისხის მოღვაწე კაცად, ბათუმისკერ მის ამაგს ვერვინ დაივრწყებს. საჭიროა ამ პირის ზოგი რამ წერილები ქართულის განეთებიდამ გამოიკრიბოს და ცალკეც დაიბეჭდოს. ზოგი დიდათ საინტერესოც იქმნება დღეს ჩვენთვის. საჭიროა, საჭიროა რომ ამ წერილებს ყურადღება მიეპყროს.

პავლე ლუკას ძე მჭკდღიშვილი. ძმა გრიგოლის და ლევანის, უმცროსი, ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილი, მონზადებული და მასთან განათლებული კაცი, შესაფერის თვისების, კარგის ადამიანობის ღირსებით დაჯილდოებული, ღირსი სული ლევან ლუკას ძისა. პავლეს აღზრდა და გამოწურთნა გრიგოლს მიეწერება. თვითონაც გადმომცა გრიგოლმა, რომ მე ავზარდე ლევანი და პავლე. საზღვარ გარეშე მე წავიყვანეო. როგორც ერთი და ორი ძმანი იყვნენ კარგის ნიჭირებით დაჯილდოებული, ესევე პავლეო. იგი თავის დროის კვალად ქართველებში, ერთს სუფთა მამულის შვილად ირიცხება, ქართველ ერის საქმეებთა გულ შემატკივრად, მის წა-

რმატების დიდს მტრფობელად და მნატვრელად. ასეთის თვისებით იცნობენ პავლეს ჩვენში ყველა ისინი ვისაც კი საღმრთო ამ პირის შესახებ რამე ცნობები გაუგიათ.

პავლე 50 წლებს მიღწეულია, ცოლშვილის პატრონი, პატარაობიდანვე ბათუმს სცხოვრებდა და მერე სამზღვარ გარეთ წავიდა სასწავლებლად, ენებთ შორის იცის ქართული, რუსული და ზედ მიწვევით ფრანგული. ფრანგული ენის ცოდნაში ძნელად რომ მას ვინმე შეედაროს ჩვენში, იშვიათად. დღეს იგი მსახურებს ბათუმის საურთიერთო ნდობის ბანკში და მის გარეშე თფილის გუბერნიის თავაჯაზნაურთა ბანკის წევრათაც ირიცხება ბათუმში, ამ ბანკის ყოველ საქმეებსაც იგი აწარმოებს. ყველა საქმეში, ყველა დაწესებულებაში პავლე ლუკას ძე არის სამაგალითო ადამიანი, დიდი მამულისშვილი, მართლ მსაჯული და მასთანვე დაუღალავი მუშაკი. ჰაზროვნებით არის ნამდვილი გულშემატკივარი ქართველი, ისეთი ქართველის რომლის მსგავს პირნი ჩვენს დროში იშვიათ მოსაპოვებელი არიან. ვინცკი იცნობს ამ პირს, ის უეჭოდ დამერწმუნება ამაზედ. პავლეს კარგი ცნობა აქვს ყველა ჩვენ მოღვაწეებს და მწერლების. ყველა მოღვაწე და მწერალი მას იცნობს როგორც უერთგულეს პირს და გულშემატკივარს თავის სამშობლო ქვეყნის საქმეების. მიმართულებით პავლე არის იმავე ჰზრის როგორც მისი ძმა ლევანი, უფრო უმეტესის მიდრეკილებით სავსე და უფრო მეტი მეძიებელია პროგრესიულის მოძრაობის აღორძინების, ნათელის სუფთა იდიალურის მამულისშვილობის, სამაგალითოს სწორის კაცად კაცობის, რაც სამწუხაროდ ჩვენს გათახსირებულს დროში ერთობ მცირეა და იშვიათი, ეს იშვიათობა ემჩნევათ თვით განათლებულთ ქართველთ შორისაც.

პავლე როგორც განათლებული და მომზადებული კაცი დიდი მეტრფეა მწერლობის, იგი დაახლოვებულია ქართულს მწერლობასთან, რუსულ და ფრანგულთანაც, ჟურნალ გაზეთების და საზოგადო საქმეთა სჯასა და კამათს იგი ფეხ და

ფეხ მისდევს, ანუ კვალ და კვალ და ყოველს საგანსა და სჯაზედ თავის საკუთარ საღს შენიშვნებს და დასკვნასაც აღგენს. იგი სამაგალითო მეძიებელია ქეშმარიტების და საქებური დამსკვნელი ლოდიკურს სჯასა და მოსაზრებაში. ქართველი საზოგადოება პავლეს იცნობენ როგორც ერთ ქკვიან და მასთანვე განათლებულს კაცს, ამასთანვე იციან მისი სამაგალითო თვისება, სიმართლე, ქეშმარიტებას მოარჩილება და ამიტომაც მას ყველგან პატივს ცემენ და ანიჭებენ. იგი ყველა ქართველის წინაშე პატივცემულია და ამავდარი, დღეს ბათუმში იგი ითვლება საუკეთესო მოქალაქედ. საუკეთესო განათლებულს მამულისშვილად. იგი ყველა საქმის დიდი პატივის მცემელია და თანამგრძნობელი. ბათუმში ამ პირსაც მეტად დიდი შრომა აქვს დათესილი. ამის შრომას თავის ბრწყინვალე ისტორია აქვს.

პავლე ქართული მწერლობის ერთგულად ახალგაზდობიდამვე აღმოსჩნდა, მან თავის დროს წერაც დაიწყო, მისი წერილები ბათუმიდამ საინტერესო იყვნენ მკითხველ საზოგადოების წინაშე, მთელი იმ დროის ქართველთ საზოგადოება პავლესი და ლევანის წერილებს ბათუმის და მის მიდამოების შესახებ სულ განაბული ელოდენ. პავლეს წერილები იბეჭდებოდენ წინეთ ,,დროებაში“ და შემდეგ ,,ივერია“ში, თავის დროის კვალად პავლეს წერილები შესაფერს მნიშვნელობას არას დროს არ დაჰკარგვენ. სხვათა შორის ,,ივერია“ში დაიბეჭდა ფრანგულიდამ ნათარგმნი ბათუმის აღწერა. ეს აღწერა თავის დროის კვალად შესაფერია და საყურადღებოც. ასეთ წერილებს გარდა პავლესვე ეკუთვნის პატარა წერილი სახელდობრ ,,ლონდონის მაწანწალები“. რომელიც თავის დროის კვალად მნიშვნელოვანი იყო და დღესაც კაი საკითხია. ეს წერილები. ,,დროებაში“ 1878 წ. დაიბეჭდა და 1902 წ. მე დავბეჭდე ცალკე წიგნად. პავლეს წერილებში ამ აღწერას თავის მნიშვნელობა არას დროს არ მოაკლდება. მართალია ჩვენში მაწანწალების რიცხვი ისე არ არის გამრავლებული,

რომ მასზედ წერა საქირო იყოს, მაგრამ რაც არის და რამაც უკვე იჩინა თავი, უნდა ითქვას, რომ ეს წერილი კი არა და ასი ამისთანაც არის საქირო. დღეს ეს წიგნი მრავალთაგან იქმნა მოწონებული და ხალისით წაკითხული. წერილი თარგმანი უნდა იყოს, რადგანაც იგი ლონდონის მაწანწალების აღწერას შეეხება.

უნდა ითქვას რომ პავლე მქედლიშვილსაც არა მცირედი შრომა აქვს დადებული როგორც საზოგადო საქმეთა წარმატებაზედ, ისევე ქართული მწერლობის გალონიერებაზედ, ქართული მწერლობის აღორძინების სრული მონატრეა და თავის შეძლების და გვარად ყოველთვის მზათ არის ხოლმე რომ დახმარებაც მისცეს, დაუზარებლივ და უშვრელად. ზოგი ამისი ძველი წერილები ღირსია შეკრების და დაბეჭდვის. ნამეტურ „ბათუმის აღწერა“ წერილები ასე თუ ისე საკმარისად აცნობებს მკითხველს ბათუმის მიდამოებზე მდგომარეობის და ნამეტურ ქართველ მაჰმადიან ყოფა-ცხოვრებას. როგორც ქართველი კათოლიკე პავლე არის ფართოს მიმართვის და ნათელის შეხედულების როგორც გვაროვნობაზედ, ისევე სარწმუნოებასა და მის კითხვებზედ. ამ პირს ბათუმის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის აშენების სამზადისზედაც დიდი შრომა აქვს დადებული. პავლე ჯერეთ 50 წლებს შესული პირია და იმედია რომ მთელის ქართველობის საქმიანობის ასპარეზედ იგი ჯერედ კიდევ კაი შრომას დასდებს, კარგს ამავს გაიმძღვარებს წინ.

ასეთი გახლავსთ ამ პირთა ცხოვრების და მოქმედების ცნობათა ისტორია და უნდა ითქვას, რომ ერთ დროს, ანუ ოსმალთა მფლობელობის ეამს, ქართველთა ერთს ქვა კუთხედი ძალას ესენი შეადგენდენ და ყოველივე ქართული სულიერების თუ რამ ცნობები მოდიოდა ჩვენში და ან თუ ქართველ მაჰმადიანებში გადადიოდა, ყველა ამის მეთაურნი და წინ გამძღოლნი ესენი გახლდენ. ამ საქმეთა მოგონებასაც გარს ბრწყინვალე ღირსება აქვს.

შეტრე იაკობის ძე ისარჯოვა. კაცი ცნობილი და ვულ-
შემატკივარი ქართველ კათოლიკეთა საქმეების. დიდის
ხნიდამ მსახურებს რკინის გზის გამგეობაში. ესევე პირი არის
თფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიის ძმობის წევრად
და მასთანვე ერთს უსუფთავეს მოღვაწედ ირიცხება. ცოლ-
შვილის პატრონია. სამაგალითო კაცად კაცია ყველას წი-
ნაზე, დაუზარებელი.

გასილი ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი. ოზურგეთელი. უმაღ-
ლესად განათლებული ქართველი, საუკეთესო მამულისშვილი,
დიდი გულ შემატკივარი ქართულ საქმეების, ზედ მიწვევით
მცოდნე ჩვენის საზოგადოებრივი მოძრაობის, ჩვენის საქმეების,
კარგი, ჩინებული მწიგნობარია, ყოველ ნაირად მომზადებული
და მასთან დაუღლეელი ქეშმარიტ მშრომელიც. მსახურებს
ქუთაისის თავად-აზნაურთა ბანკში დამფასებლად და ირიცხება
ერთს უშესანიშნავეს ადამიანად. ჯერედ ახალგაზრდა არის
და ეხლავ მამულისშვილობით გახლავსთ ქებული.

რაფიელ იოსებისძე გოგიელავი, კაცი ენერგიული, კარგად
ცნობილი მთელს საქართველოში. თფილისში შესანიშნავად
აწარმოებს თუთუნის და პაპიროსის ქარხანას. სამაგალითოა
მისი თუთუნი და პაპიროსი, კარგი და მასთან იაფიც, პაპი-
როსის კოლოფებზედ ახატვინებს დიდებულ თამარ მეფის
სურათს და სხვა ქართველ წარჩინებულ პირებისასაც. ქარხნის
საქმეებში და საზოგადოთ რაც კი მოეთხოვება მის მართვა
გამგეობას ყველაფერში სამაგალითოა. თფილისში მისი ფირმა
კარგად სახელოვნებს და შემდეგისთვის უფრო დაწინაურდება,
რადგანაც რაფიელ იოსების ძე გოგიელავი ამისთვის დაუ-
ცხრომლად შრომობს და კარგი ენერგიაც მოსდევს.

ალექსანდრე ხუციშვილი, ხიზაბავრელი, კარგი მასწავლე-
ბელი თავის სამშობლო კუთხის ქართველ კათოლიკებში და
სამაგალითო პირი, სცხოვრობს ს. ხიზაბავრას.

ედვარდ იოსების ძე უარაუვი. კანტროლნი პალატის რევი-
ზორი. 50 წლებს მისული. საუკეთესო კაცი გახლავსთ,

კარგად ცნობილია მთელს თფილისში და ამაგდარი ბევრის სამაგალითოს პატიოსანის საქმეებით. არის გულ 'შემატკივარი ქართველთ კათოლიკობის, მასთანვე კარგის სამაგალითოს ოჯახის შვილია. ეს სამაგალითო ადამიანი ერთ დროს მასწავლებლადაც იყო თფილისის კათოლიკეთა სკოლაში. იცის კარგად ვალობაც და ვნების კვირაში „გოდებას“ კარგადაც ვალობს თფილისის კათოლიკეთა ეკლესიაში. ბევრის სამაგალითოს საქმეებით არის ცნობილი.

გრაგულ იაკობის ძე უაჩაუვი. ცნობილი პირი ქ. თფილისში. კარგი მამულ-დედულის პატრონი. ქართული ინტერესების პატივის მცემელი და ნამეტურ ქართველ კათოლიკეთა საქმეების. თფილისში, ერთხელ თავად აზნაურთა კრებაზედ, ქართული თიატრის დახმარების მიცემისთვის სთქვა შემდეგი: ქართული ენის შესასწავლებლად ქართველებს ერთად ერთი თიატრი დაგვრჩენია, სადაც ვაწავლობთ ქართულ ენას და ნუ თუ ამას დახმარება უნდა მოვაკლოდ, ეს არ შეიძლება, დახმარება უნდა მივსცეთ. გრიგოლ იაკობის ძე ყარაევი 50 წ. მისული კაცი ვახლავსთ და ბევრის კეთილის საქმეებით ცნობილი.

ღავით ანტონის ძე ზუბალაშვილი. საუკეთესო ქართველი მამულის შვილი. კარგი მცნობი და ცოტა დროით თანამსახური სტეფანე ზუბალაშვილთან. დავითი არის ერთი ისეთი ყმაწვილ კაცთაგანი, რომლის მსგავსნიც ჩვენს დროში ერთობ იშვიათია და სამთლიდ საძებარი. დიდათ უყვარდა იგი სტეფანე ქონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს და მიტომ იგი საკრედიტო ბანკის სამსახურიდამ გაიყვანა და თვისთან დაიყენა ბაქოში უფროს ბუხგალტრად. ცოლშვილის პატრონია.

ივანე გიორგის ძე ზუბალაშვილი, კაცი შემძლებელი და კარგად ცნობილი ქ. თფილისში. ერთ დროს მსახურებდა დუშეთის სამაზრო უფროსადაც. ამაზედ ნახეთ მათი გვარის ისტორია, არის ცოლშვილის პატრონი და დროს მიხწეული.

იოსებ სტეფანეს ძე შიზანდავა, მამა ალოიზისა, თავის

დროს კარგად ცნობილი, კაი ქართველი, კარგად მცოდნე ქართულის ენის და მწიგნობრობის, თავის დროსაც კარგი დამკვრელი პიანინოსი და მის კარგი მასწავლებელიც, ბევრი პატივის მცემლები ჰყვანდნენ თავის დროს მას თფილისის განათლებულ საზოგადოებისაგან,

ანჯელო იაკობის ძე ენდრონიკოვი. გორის მკვიდრ ძველ დარბაისელ ოჯახის შთამომავალთაგანი. კარგი სამაგალითო ქვემარტი გამგე და საზოგადო საქმეებთა დიდათ პატივისმცემელი, სადაც გორში ერთი და ორი პატიოსანი მოღვაწე მშრომლები გამოსჩნდებიან, იქ არც ანჯელო ენდრონიკოვი გამოაკლდება მათ. იგი არის დიდათ პატივცემელი და საყვარელი სამაგალითო კაცი გორის საზოგადოების წინაშე. ნამეტურ დიდს მფარველობას უწევს ადგილობრივ ქართველ კათოლიკეთა საქმეებს. გორის გამგეობაშიაც ირიცხება ერთს სუფთა და სამაგალითო მართალ ადამიანად. ყველას მოყვარვა იგი და ყველაც პატივს სცემს მას.

გიორგი შავლეხ ძე თავ. თუმანიშვიდი. ძე ცნობილის მოღვაწე პავლესი. სამაგალითო შვილი თავის ქვეყნის და მამულისშვილი. ინჟინერია, მსახურებს ქუთაისის გუბერნიაში.

კონსტანტინე მიხეილის ძე დაკიშვიანი, მამით პოლონელი. ამათი პაპა ივანე, პოლონეთიდან საქართველოში პოლიტიკურის საქმეების გამო გამოუგზავნიათ. ივანე დაკიშვიანი თფილისში სცხოვრებს და ქართულ ენას სწავლობს. 1819 წ. თფილისში ცოლად ირთავს იმ დროის გამოჩენილ ქართველ კათოლიკეთა ოჯახის ხიდირბეგიათ ქალს. ჯვარს სწერს პატრი ფილიპე. ამ ივანეს შვილია მიხეილ დაკიშვიანი, კარგად მცოდნე ქართული ენის და საქართველოს ისტორიის, მეცვიცნობდი მას, ამისი შვილი გახლავსთ კონსტანტინე დაკიშვიანი, სამაგალითო მამის შვილი, განათლებული, კარგად მცოდნე საქართველოს ერის და მის საქმეების. მსახურებს სახელმწიფო სამსახურში და ირიცხება ინჟინერად.

ნიკოლოზ მიხეილის ძე დაკიშვიანი, ძმა კონსტანტინესი.

კარგად მცოდნე საქართველოს კათოლიკეების საქმეების და ქართული ენის, რადგანაც ამათი დედაც ქართველი ქალი გახლავსთ. პეტრე ისარლოვის ასული?! სოფიო. ნიკოლოზ მიხეილის ძე განათლებული კაცია და თანამდებობით ტოპოგრაფი გახლავსთ, სამაგალითო გულშემატკივარია ყველა საზოგადო საქმეებისა.

ანდრეა ნიკოლოზის ძე ფაჩავეი, მუსიკის მასწავლებელი თფილისის თავად აზნაურთა სკოლაში, თავის კვალად მშრომელი და პატივცემული მრავლ საქმეთა შემცნებით.

ზაფხუე ფაქაიჯავეი, იშვიათი მოხელე ჩვენ დროში, მსახურებდა გორის სამხედრო საკრებულო სამართველოში. სწავლა აქვნდა მიღებული ახალციხის სამოქალაქო სკოლაში. იყო კარგი თვისების, მშრომელი და თვისის ცდით განვითარებული. იყო ყველა ქართულ საზოგადო საქმეებთა დიდი პატივისმცემელი, ქართული მწიგნობრობის მიმდევარი. საქართველოს ისტორიის კარგად მცოდნე. თანამედროვეს იდილებსაგან გაღვიძებული და მის დიდათ პატივისმცემელი, იყო საუკითხსო მოსამართლე, საუკეთესო ქომაგი ხალხის, ეხმარებოდა მუშებს, ხელოსნებს და სხვათაც. 1904 წ. მოკლულ იქმნა ქ. გორში, ერთის ოსისაგან. უდანაშაულო და უზადო, ეს გახდა სულ ხალხის შეცდომით და დაუნახაობით. არაფერში დანაშაული და არაფრის ცუდის საქმეების ჩამდენი პავლე დაილუპა უღვთოდ, უმიზეზოდ. ეს იყო მის იმ პატივისცემის ჯილდო, რადგანაც იგი იყო მიუღდომელი, სწორი და უანგარო. ასე უღვთოდ მოუღეს ბოლო გაურკვეველის და გაურჩეველის მტრობის და ქორების წყალობით.

სტეფანე ივანეს ძე აღმურავეი, 50 წლებს მისული, მსახურებს კანტროლნი პალატაში. განათლებული კაცია, თფილისელი, 1878 წ. თფილისში რომ ქართული თეატრი დაარსდა, მაშინ სტეფანე და თავისი და ელისაბედი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ქართულ წარმოდგენებში, სცენაზედ თამაშობდნენ კიდევ. ამათს სახლშივე ვიკრიბებოდით ხშირად

ქართული წიგნების გამოსაცემლად და ამხანაგობის შესადგენად ვთათბირობდით.

იაკობ ივანეს ძე შეფასოვი. ცნობილი გვარის წევრი, განათლებული მკურნალი მედიცინაში და მასთანვე მომზადებული მრავალ ნაირ სამკურნალოთა შეგნებით. სცხოვრებს თფილისში. იცის კარგად დედა ენა და წიგნი.

ივანე იაკობის ძე გოკიეჯოვი. მკურნალი და ცნობილი მთელს თბილისში როგორც კარგად მცოდნე ექიმობის, ქუთათური გახლავსთ. იცის კარგად ქართული ენა და წერაკითხვა.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თავ. თუმანიშვიდი. ხელთუბნელის თავადის თუმანიშვილების შთამომავალი გახლავსთ. უმაღლესად განათლებული მკურნალია. კერძოდ შესწავლილი აქვს დედათა ექიმობა. კარგა ხანია რაც ქალთა მკურნალად მსახურებს თფილისის სამოქალაქო საავადმყოფოში და როგორც სპეციალისტი მკურნალი საუკეთესო მფარველია და მშველელი ავადმყოფების. ძნელად და მეტად ძნელად რომ მას რაღე სწეულების გამგეობასა და მკურნალობაში შეეცდომა მოუხდეს. ასეთ ექიმებთ შორის თფილისში ეს პირველი გახლავსთ. ხასიათითაც სანაქებო ადამიანია, კეთილი და მშვიდობიანის თვისების, ვისაც კი ხელს დასდებს იგი, ყველა ავადმყოფს ადვილად არჩენს. ერთ დროს, თფილისში, საჯაროდ ქალთათვის ლექციებსაც კი კითხულობდა, მისის ასეთის შრომისთვის თფილისის შესმენილ ქალთა ნაწილის დიდი მადლობელი იყო. საყურადღებოა ეს პირი მითაც რომ ღარიბ ღატაკ ავადმყოფებს თითქმის უფასოდ არჩენს, ამისთანა სიბრალულოთ მისი გული სავსეა და გაფართოებული. ბევრი პატივის მცემლები ჰყავს თფილისში და დამფასებლები სინდისიერად. 35 წლებს მისულია.

ივანე ჰეტრკეს ძე ბეზირგანოვი. 40 წლებს მისული. კაცი მთელს თფილისში ცნობილი. კარგის განათლების მექონი და პატივცემული. თავის საგანში იგი ითვლება კარგს მცოდნედ.

მრავლ საქმეთა შორის, 1903 წ. თფილიში, კათოლიკეთ ეპისკოპოსი რობი რომ გიახლათ, მაშინ ივანე პეტრეს ძე ბეზისგანოვმა სიტყვა უთხრა ეპისკოპოსს. სიტყვა მშვენიერის შინაარსის იყო და პირდაპირ საქართველოს და ქართველ კათოლიკეთა შესახებ. სხვათა შორის უთხრა:— „ჩემდა საბედნიეროდ, წილად მხვდა საქართველოს კათოლიკობისგან სიტყვის წარმთქმამასზედ, რომ ეს შესანიშნავი კუთხე ათას ხუთასი წლის განმავლობაში იცავდა ქრისტიანობას. თქვენი მობრძანება, საქართველოში, ქართველ კათოლიკეთა წინაშე ორი საუკუნის განმავლობაში ზიანეული მაგალითია. ამიტომ ვინატრებთ, რომ ეს ძვირფასი კუთხე თქვენის შეუთუბისგან არ იქმნეს დავიწყებულო“. სიტყვამ დიდი გავლენა იქონია როგორც ეპისკოპოსზედ, ისევე მსმენლებზედ. იცის კარგად სამშობლო ენა, მწერლობა და ისტორია.

მიხეილ ბადასხარის ძე ბეზინგანოვი. სამხედრო მკურნალი მთელ თბილისში ცნობილი და მასთანავე სამაგალითო მშრომელი კაცი. იცის კარგად ქართული ენა და მწიგნობრობა, ცხოვრების ასპარესზედ იგი არის კარგი ადამიანი და საყოველთაოდ ყოველთვის და ყოველგან პატიოსანი ძმური სიყვარულის მფენელი.

მიხეილ პეტრეს ძე ენდრონიკოვი. კაცი განათლებული და მომზადებული, მასთანავე დამსახურებული. 1868 წლების შედეგიდამ, საქართველოში რომ სასამართლოები დაფუძნდა, მის შემდეგ იგი თითქმის სულ ამ ასპარესზედ მსახურებდა და ამით მან კაი ნიჭიც გამოიჩინა. რუსის კანონი ხალხის ზნესა და ხასიათს შეუფარდა და მოაწესრიგა. ამით იგი ამავდარია და თანამედროვე ნ. ზუბალაშვილის და ილ. წინამძღვარი-შვილის. ეხლა სამსახურიდამ თავისუფალია. სხვა და სხვა კათილის საქმეებითაც იგი კარგად არის ცნობილი ადგილობრივ.

ივანე მიხეილის ძე დაკიშვილი, კაცი მაღალის ზნეობისა და საუკეთესოს სამაგალითოს თვისების, მის გულში დიდი ადგილი აქვს დაკავებული სათნო სიყვარულს და მაღალს ზნე-

ობისადმი დიდს სამაგალითო პატივისცემას და მიდრეკილებას. ეს პირი ისეთის სამაგალითოს თვისებისა არის, რომ მის მსგავსად განსპეტაკებულთ რიცხვი კი არა და თითო კაციც კი სამთლილ საძებარია. კარგად იცნობს მთელს ჩვენს საზოგადოებრივი ცხოვრების საქმეებს, საქართველოს ძველსა და ახალ ამბებს. თანამედროვე ცხოვრების პირობებზედაც დიდი დაკვირვება აქვს, დიდათ შესტკივა გული ქართველთა ერის სასტიკად დაქვეითებასა და გაწყალებაზედ, იცნობს კარგად ქართულ მწერლობას და ყველა ქართველ მოღვაწეებს. საქართველოში იგი დიდი გულ შემატკივარია ქართველ კათოლიკეთა საქმეების და მათი დიდი პატივისცემელი. ქართული ერის აღორძინება და მწიგნობრობის გავრცელებაც დიდ ბედნიერებად მიაჩნია და აპიტომ იგი დაუცხრომლად შრომობს ქართველთ შორის მწიგნობრობის გავრცელების სასარგებლოდ. ასეთ ღირს შესანიშნავ შრომის სრული მოწამე თვით მე ვარ, ნი წლებს მისულია და უცოლშვილო. ვიტყვი მოკლედ რომ ივანე დაკიშვიჩი დიახ ჩვენს დროში მეტად დიდი სუფთა დი უმწიკვლო პირია. გლახკთ შემწეობა, შენდობა და კაცის სიყვარული წმინდა დროშათ აქვს გულში აღმართული.

პეტრე ზაქარაიას ძე სავაკაშვილი. გორელი, ახალგაზდა კაცი. დღეს ქუთაისში მცხოვრებს, არის სანაქებო თვისების და მასთან კარგი მწიგნობარიც. 1803 წ. საქართველოში მოსულს კათოლიკეთ ეპისკოპოს ქუთაისში 9 მაისს, ქართულად სიტყვა უთხრა და მკაცრის კილოთი დაავალა, რომ დაგვეხმარეთ, რომ ჩვენს საყდრებში ჩვენს ენაზედ ვადიდოთ ღმერთიო. ამ სიტყვის თანაზიარაივე ყოფილა მისივე ამხანაგი იაკობ დათაიშვილი, ქუთაისის მცხოვრებ ქართველ კათოლიკეთაგანი. ესეც მკოდნე, მამულიშვილობით განცხოვლებული ძე ყოფილა თავის დაქვეითებულ სამშობლო საქართველოსი.

სტეფანე ფეიქარაშვილი, იგივე ფეიქარაფი. ქუთაისში კარგად ცნობილი ვაქარი, მკოდნე მრავალ ნაირ სავაქრო საქ-

მეთა და მცნობი ყველა ჩვენ საქირ ბოროტო კითხვების. კარგად განმსკვრეტი გვაროვნულის კითხვების და ნათელის შეხედულების ქართველ კათოლიკობაზედ, 1903 წ. ქუთაისში ჩავიდა კათოლიკეთ ეპასკოპოსი როპი. აქ ამას მრავალი სიტყვები უთხრეს ქართველ კათოლიკობის შესახებ, სიტყვების დაკლებით იმედი ჰქონდათ მრავალთ რომ ჩვენი დავალება შეწყნარებული იქნებაო, ამიტომ დავალების გამო მადლობაც უნდა მისცემოდა. ეპისკოპოს მგზავრობის დროს, ქუთაისიდან გორამდე გამოჰყვა გზაში სტეფანე ფეიქაროვი და გზაში, ვაგონებში, შესანიშნავი საგანგებო სადილი გაუმართა, ქართული პურმარილი, რათა როპს არ დაევიწყნა ეს და დაპირება აესრულებინა, მაგრამ სამწუხაროდ, იმედებმა შემდეგ ჩაილულის წყალი დალიეს.

სტეფანე ფეიქაროვს ქუთაისში აქვს კარგი საეპიკრო რკინეულობის სამეურნეო იარაღების მალაზია სამეურნეო იარაღების საშუალებით დიდის სამსახურის ნიშნად 1897 წ. გაზეთ „მეურნეშიაც“ იყო წერილი, სადაც სტეფანე ფეიქაროვი დიდის პატივისცემით არის მოხსენებული. აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც, რომ სტეფანე ფეიქაროვი სხვა კიდევ ბევრი კეთილის საქმეებით არის პატივსაცემი და საყურადღებო. მისი საეპიკრო მალაზია შესამჩნევი არის ქუთაისში.

გრიგოლ ლუკას ძე მჭედლიშვილი. კაცი ცნობილი, ამაზედ იხილედ „ვაჭრობა ქართველ კათოლიკებში“ ამიტომ აქ ამაზედ არას ვამბობთ. გრიგოლი მოხერხებული კაცია, კაი ქართველი, კაი მეხსიერების პატრონი და მრავალ ძველის ამბების მცოდნე; ნამეტურ დასავლეთ საქართველოსი, ჯავახეთის და მესხეთისა. ამ პირმა მეტად ბევრი უცხო რამ ძველებური ამბები ნიამბო ჩემის მასალებისთვის.

იაკობ კოსტანტინეს ძე ზუბაღაშვილი. დაიბადა 1876 წ. ქოთფილისს. იგი არის უმცროსი შვილი მშობლების. როგორც ვიცი, მშობლებს იგი დიდათ უყვარდათ, ეს ხომ ქართველებში ჩვეულებაა არის, რომ მშობლებს უმცროსი შვილი

უფრო უყვართ ვინემც სხვანი. მოგეხსენებად რომ იაკობის დედა აწ განსვენებული ელისაბედ მიხეილის ასული ქუთათური ქალი გახლავსთ, როგორც მოწყალე და სათნო ადამიანი ქებული იყო თავის დროს. იგი გორში ბევრს ხელ მოკლევ ოჯახის ქვრივ ოხრებს ეხმარებოდა, რასაც ბ. აღ. თუთაევის ლექსიც მოწმობს. თფილისის და სხვათა კუთხის შეუფლოებს ჩვენ არ ვახსენებთ, რომელთაც კი ეს ქალი დახმარებას აძლევდა.

ასეთი დედის ხელში და გავლენის ქვეშ იზდებოდა პატარა იაკობ კონსტანტინეს ძე და იგი მართლაც კაი დედის გავლენის წყალობით კარგის თვისებისაც გამოიზარდა. სწავლა დაამთავრა თფილისის კლასიკურს გემნაზიაში. შემდეგ სხვა განათლებაც მიიღო. იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი თავის დროდგან, ანუ სკოლის სკამზედ ჯდომის დროსვე შეჩვეულა სხვა და სხვა სამეცნიერო წიგნების კითხვას. სამეცნიერო საგანთა ცოდნით მსჯელობაში. იგი რომ მცოდნე გახლავსთ ამას ასაბუთებს მისგან ნათქვამი შემდეგი შენიშვნა:

— „ბიოგრაფიული წერილება უნდა იწერებოდეს ისე, რომ იგი მარტოდ ერთას და ორის პარისთვის კი არ იყოს წასაკითხი, არამედ მთელის საზოგადოებისთვისა. წერაში დამწერი ობიექტიურს წესს უნდა ემორჩილებოდეს.“

ქვემარტად, რომ ასე უნდა იყოს, ბიოგრაფიც ყოველთვის ასე უნდა სჯიდეს. ეს მეთოდი რუსულ მწერლობაში გაბრწყინდა 1860 წლების შემდეგ, როცა პისარევმა და დობროლოუბოვმა ხმა მალლა იწყეს ქადაგება. იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი რომ კანონიერად არის განათლებული ეს კარგად სჩანს ზემო ხსენებულ მის შენიშვნებიდამ. როგორც ახალ გაზრდა კაცი დიდი თანამედევარია თანამედროვე მოძრაობის და კეთილ საქმეთა ქმნის. ამაზედ კანონიერი მოსაზრება აქვს შედგენილი. მისგან ნათქვამი გახლავსთ: „მუშათ გარემოება კარგად ესმოდა ჩემს ძმას, სტუდენტსა, მატომ იგი

მათ კარგადაც ექცეოდა. ამიტომ მის წინაშე არც მუშები ახდენდენ აჯანყებასა“.

ამას რაღა განმარტება უნდა ჩვენგან. კარგად მოექცევი, კარგად მოგექცევიანო. სანატრელია, რომ ამ სადიდებელ ცნებას სხვანიც იაკობ ზუბალაშვილისავებ უმზერდენ. ამის გარჩევა მუშებს და ხელოსნებსაც უნდა აქვდესთ, რომ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს დასხვათა შეძლებულ ბოროტებს ერთად არ რევედნენ. ყველას გარჩევა უნდა, ავი და კარგი, ბოროტი და კეთილი მდიდრებშიაც არის და ლარიბებშიაც. ამიტომ სამწუხარო იქმნება თუ მუშები ამ მარტივ სავალდებულო მცნების ერთს მეორისაგან ვერ გაარჩევენ.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს, საზოგადოდ ხელ მოკლე და ლატაკებზედ რომ მეტად ჰუმანიური შეხედულება აქვს, ეს ცხადათ მტკიცდება იმ გარემოებიდანაც, რომ 1902 წ. სააღდგომოდ, თფილისის გამგეობას თავის წილად 2000 მ. გაუზღავნა და ასე შეუთვალა. „ეს ფული სააღდგომოდ იმ ღატაკ ჰიროებს დაურიგეთ; რაქელათც ამ დღისთვის სანოვაგე არ ექმნებათ“

ამ სიტყვების შენიშვნების შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, მისი მადლი მკითხველმა გაარჩიოს. ხოლო იმას კი ვიტყვით, რომ რა თვისებისაც სტეფანე კონსტანტინეს ძე გახლდთ, იმავე თვისებისა არის იაკობიც. თვით სტეფანესაც ღიდათ უყვარდა იაკობი, ეს სიტყვითაც კი სთქვა სტეფანემ, უექველია იაკობსაც კარგად ეცოდინება რომ იგი სტეფანეს ღიდათ, ძრიელ უყვარდა.

იაკობიც ისეთივე თვისების არის გვაროვნობაზედ და ქართველ კათოლიკობაზედ როგორც სტეფანე. მან სთქვა: „კათოლიკობის შესახებ სომხების კამათს დაახებთ ქართველებმა თავი და უეჭველია ისინიც გაჩერდებიან“

მუშათა გარჩევაზედაც მას აქვს ნათელი რიალური შეხედულება. როგორც პატრის სცემს საქართველოს, თავის

სამშობლო ქვეყნის ერს და საქმეებს, ისევე რუსს, სომეხს, თათარს და სხვათაც. ყველას ინტერესებს ერთნაირად ეგებება და მხარს აძლევს. იაკობ კონსტანტინეს ძე ჯერეთ ახალგაზდა კაცია. იგი მინახავს პატარაობიდან, ვინაიდან კარად ვიცნობდი მათ მშობლებს და მთელ მათს საგვარჯულო წევრთაც. ვიტყვი თამამამდ რომ მის გულში ჩვენი ქვეყნის სიყვარულს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ეს სიყვარული მათი გვარის დარგია, იგინი ყველას პატივს სცემენ. ამის ნიშან წყალია, რომ მათ 150,000 მ. შესწირა რუსის მთავრობას აღმოსავლეთის ომში დაქრილთ სამკურნალოდ, მათგან დიდი ფული შესწირვია სომხებს, რუსებს, თათრებს და სხვათაც.

ჩვენი მოსაზრება იაკობის შესახებ სტეფანეს ბიოგრაფიაში 1901 წ. გამოვსთქვით. ჩვენი მოსაზრება 1904 წელს ნათლად გამართლდა, როცა სტეფანეს სიკედილის შემდეგ 100 ათასი მ. თფილისის გამგეობას შეწირა ღარიბ ხალხთა სწეულ ბავშვებზე საავადმყოფოს შესანახად, 15 ათასი მ. ბაქოს ტექნიკურ სკოლის ლაბორატორიის გასაფართოებლად, 50 ათ. მ. ქართველთ თავად-აზნაურთა სკოლას. 10 ათ მ. „წერა-კითხვის სამართველოს“ წვრილმან შეწირულებათა ჩვენ არ ვახსენებთ. ბავშვების საავადმყოფოს დაარსების მნიშვნელობის გამო ჩვენი ჰაზრი 1904 წ. „კალენდარში“ გამოვსთქვით, მიტომ ამაზედ აქ არას ვიტყვი. ხოლო ის კი უნდა აინიშნოს, რომ ყველა ამ საქმეთა ინიციატივი იაკობ კონსტანტინეს ძეს ეკუთვნის.

იაკობ კონსტანტინეს ძე არის შვილი თავის მშობლების ელისაბედის და კონსტანტინესი. ეს პირნი იყვნენ ქართული მწიგნობარნი და დიდათ მოყვარე ქართულის ენის და მწერლობის. ასეთივეა იაკობი, ასეთივე არიან ყველა ძმებიც, ამასვე ეკუთვნოდა სტეფანეც, ვიტყვი სიამოვნებით, რომ იაკობ კონსტანტინეს ძე ჩვენის ხალხის განსანათლებლად დიდს შემწეობას აძლევს მწერლობას, მას დიდათ სურს ქართული მწერლობის აყვავილება და გავრცელება, ამისთვის

იგი არას დაიშურებს და ამ მოკლეს დროის განმავლობაში, მან ქართველ საზოგადოებას სიტყვითაც დაუმტკიცა და გამოაქვა თავისი სამზადისი და სურვილი ყოველთვის მონაწილეობის მიღებაში. იაკობს დიდი სიყვარული და სურვილი აქვს, რომ საქართველო აღწერილ იქმნეს ყოველ ნაირის მხრით, ენციკლოპედიურად და გაცნობილი არა მარტო ქართულს ენაზედ, არამედ რუსულს და ფრანგულზედაც. ამის შესახებ უკვე წრე არის შემდგარი და მუშავობს. ეს საქმე უეჭველია დამთავრდება, ამას ფიქრი არ უნდა.

იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი დიდი პატივის მცემელია სახალხო განათლების და ამიტომ იგი დიდს პატივს სცემს ქართულ სახალხო მწიგნობრობას და ქართულ წიგნების გამოცემას, ნამეტურ ღარიბ ქართველთ გამომცემელთა შრომასაც დიდს მნიშვნელობას აძლევს, ყოველს გამოცემას თავის მნიშვნელობას არ აკლებს, სახალხო წიგნების გამოცემად „ცისკრის“ დაარსებაც სულ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის მამულისშვილურს მხარესთან უნდა იქმნეს დაკავშირებული, ამეებს გარდა იგი ქართულს ენაზედ დრო გამოშვებითი გამოცემასაც დიდს მნიშვნელობას აძლევს.

ნათქვამია ქართულად: „მამა ნახე, დედა ნახეთ, შუადიდ ისე გამჩნახეთ“. ეს ითქმის სწორედ იაკობ კონსტანტინეს ძეზედაც. დასასრულს ვიტყვით, რომ იგი როგორც განათლებული კაცია სტეფანესაებ მორიდებული პირია და დიდი სათნო. საწყალი ხალხის ყველა განურჩევლად უყვარს, ქართველი, სომეხი, რუსი და სხვანი. ამან მათი გარჩევა არ იცის. ყველა ტომის საქმეებსაც ერთნაირად ადიდებს, რუსის საზოგადო საქმე, სომხების, თათრების და სხვათაც ყველა ერთნაირად მიაჩნია, მათაც ისე სცემს პატივს როგორც საქართველოს და ქართველთ საქმეებს. უნდა მოგახსენოთ რომ ესეც ერთი დიდი ღირსება გახლავსთ ახალ გაზრდა იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა. იგი დროის განათლების შვილია, სუფთა ჰუმანიური კაცად კაცია, ცხოვრების მხარე-

ბის დაკვირვებით სრული რიალისტი—განათლებული პირია. იგი ყოველს სავალდებულო ცნებას ისე ემსახურება როგორც კარგს მამულისშვილსაც მოეთხოვება. მისი აწინდელ საქმეთა ცნებანი ცხადათ გვაძლევენ საბუთს ვიფიქროთ, რომ იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილს ჩვენი ცხოვრების ასპარეზედ მეტად დიდი ადგილი დაეთმობა ქველმოქმედობის და ხალხის და ქვეყნის სიყვარულის გამო.

ალოიზ თურვანდოვი. ამ გვარის წევრნი მესხები არიან, ახალციხიდან, კათოლიკობას ძველადვე დაკავშირებულნი, ამ ბოლოს დროს ალოიზის მამა ახალციხიდან ბათუმს გადასახლდა. ალოიზ თურვანდოვი ბათუმში გაიზარდა, იქ დავაჟკაცდა, იქვე დამუშავდა. დროის კვალად განსწავლულა წერაკითხვაში, მერე სახელოსნო ასპარეზედ მისულა სამუშაოდ. დღეს ბათუმის ქარხნებში მუშაობს. ალოიზ თურვანდოვი თანამედროვე შვილია, ნაყოფი საზოგადოებრივის ნათელის მოძრაობისა. იგი მკაცრად მისდევს განვითარების საქმეს, პაჭრიანი წიგნების კითხვას, გონების გაფაჭიზებას, ანუ გაძრივლებას, ეს არის მისი გულის საუნჯე, მისი სატრფო საგანი. ცალი ხელით მუშაობს და ცალი ხელით ნათელ გზას იძიებს. მხურვალედ მისდევს ქართული წიგნების კითხვას, ნანეტურ კაი წიგნებისას.

მე ვიცნობ მას, იგი მახვილ გონიერია, კარგად ესმის მას რომ რამდენადაც მუშა ხელოსანი ბედნიერია ცხოვრების პირობებით, იმდენი საზოგადოებრივი ძალაც მალლა იწვევს. ამიტომ იგი მკაცრად ემსახურება მუშათა—ხელოსანთა განვითარება-გაღვიძებას. ფეხ და ფეხ მავალია და თანამგრძობი მათის განკაცების და გაბედნიერების. ქართულ მწიგნობრობას ისე თავისუფლად მიეთვისა, რომ ერთ დროს მისი ერთი პატარა საკამათო წერილი „კვალშიაც“ იქმნა დასტამბული ერთი ექიმის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ქართველ კათოლიკეთა ხელოსანთა და მუშათ შორის ასეთი პირები სხვებიც იქმნებიან, ამას ფიქრი არ უნდა, ეს მე აქ მხოლოდ ერთი

პირი მოვიყვანე ნიმუშად და დასამტკიცებელ მის, რომ რომის ეკლესიის წესების და პაპის მალღარებელთ ქართველ კათოლიკობაშიაც მოიპოვებიან ნათელ დედა ჰაზრებით აღვსილი მუშები, რის ნიშანიც არის ალოიზ თურვანდოვი.

მიხეილ მღვბრიშვილი, თფილისის კათოლიკეთა სკოლის მასწავლებელია. მღვბრიშვილები ახალციხელები არიან. მიხეილ მღვბრიშვილი კარგა ხანია რაც ამ სკოლაში მასწავლებლობს და თავის მოვალეობას ასრულებს. იგი ერთი თავდადებული მასწავლებელია ამ სკოლის და გულ შემატკივარი. სამწუხაროდ, ამ სკოლის მასწავლებლებთა შესახებ ჩვენ არაფერი ცნობები გვაქვს, იგი სკოლა 1640 წლებიდან არსებობს, მართალია ხან იკეტებოდა დროებით, ხან იხსნებოდა, უმეტესად არსებობდა, იკეტებოდა მცირე ხნით მტერთა თავდასხმის დროს. აქ ხშირად ყოფილან სხვა და სხვა საყურადღებო მასწავლებელნი და მოღვაწენიც, მაგრამ ჩვენ კი მათი არაფერი ცნობები გვაქვს. სამწუხაროდ აქამდე თვით ამ სკოლის ისტორიაც კი არა აქვსთ ცალკე წიგნად დაბეჭდილი. ამიტომ იმედია ამ სკოლის ისტორია შემდეგ დაიწეროს და მიხეილ მღვბრიშვილის მოღვაწეობის ცნობებსაც იქ დაეთმოს კარგი, შესაფერი აღგილი.

ზაქარია პეტრეს ძე ფაღიაშვილი. 30 წლების მისული. ნიჭიერი შვილია თავის ქვეყნის, დაბადებულია ქ. ქუთაისს, გონებით არის ფიზიკელი და მასთან მახვილ გონიერი. საზოგადო სწავლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა სამუსიკო სკოლაშიაც, შემდეგ კონსერვატორიაშიაც. აქ მას აღმატებით დაუმთავრებია სწავლა. ყოველთვის შესაფერი ნიჭიერება სჩნევია. თფილასსა და მთელს კავკასიაში სადაც ერთი და ორი კაცი გამოჩნდება სამუსიკო ასპარესზედ, იქ ასეთ საპატიო პირთ არც ზაქარია პეტრეს ძე გამოაკლდება. იგიც საპატიო აღგილს დაიკავებს.

ზაქარია პეტრეს ძე ფაღიაშვილის სამუსიკო ნიჭიერება თფილისის გაზეთებში ხშირად შეუქიათ ხოლმე, ასეთი იყო

მაგალითებზე 1904 წ. „ივერიაში“ სადაც აღწერილი იყო ამ პირისაგან თფილისში გამართული ქართული კონცერტი და მასში გამოჩენილი ზაქარია პეტრე ძე ფალიაშვილის შესანიშნავი ნიჭიერება. საქმის სინდისიერად შესრულება. თავის მოვალეობის კარგად ცოდნა. იგი ასე ხშირად შეუჭიათ ხოლმე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მე, როგორც ქართველს, თავ მოსაწონადაც მიმაჩნია. თუმცა მე მუსიკის ცოდნა არა მაქვს, მაგრამ „ცნ. ფურც.“ და „ივერ.“ ცნობებით ვიტყვი, რომ ზაქარია პეტრეს ძე არის ერთი სინდისიერი და პატივ საცემი მშრომელი პირი თავის ასპარესზედ. იგი მასწავლებლად გახლავსთ თფილისის თავად-აზნაურთა სკოლაში.

ივანე პეტრეს ძე ფალიაშვილი. ძმა პეტრესი, განათლებული კაცია, კარგად მცოდნე სამუსიკო საქმეების. 40 წლებს მიღწეული უნდა იქმნეს. ამასაც სამუსიკო სწავლა აქვს მიღებული, სწავლის დამთავრების შემდეგ თფილისში სცხოვრებდა. დღეს იგი ადესაში იმყოფება და იქაურ სამოქალაქო თიატრის კაპელმეისტერად იმყოფება. მე არ ვიცნობ მის საქმეთა ვითარებას და მნახველნი და მცნობნი კი მის შრომას პატივისცემით მოიხსენიებენ.

ნიკოლოზ გაფუსტაფი. საუკეთესო მშრომელი ჩვენი თიატრის ასპარესზედ, სიმპატიური პირი და თავის შრომით განსწავლული და განათლებული. თიატრში სუფლიორად, იყო ნიჭიერი მშრომელი კაცი და ქართულს ენაზედ სხვა და სხვა პიესებს და ლექსებსაც სწერდა. გარდაიცვალა უდროვოდ. მისი შესაფერი აღწერა მოთავსებული აქვს იოს. იმედაშვილს „ცხოვრების სარკის“ მეორე წიგნში. გარდაიცვალა უდროვოდ 1900 წ. შემოდგომას.

იოსებ გრიგოლის ძე მედიქიშვილი. ძმა ეკატერინესი და პროფესორის მელიქიშვილის. დიდხანს აწარმოებდა თფილისში სტამბის საქმეს. სხვა და სხვა დროს ქართულ წიგნებსაც ბეჭდავდა. ქართული საზოგადოების წინაშე ბევრ ნაირი საპატიო შრომანი მიუძღვის, გულით და მოქმედებით კეთი-

ლი თვისების ადამიანია. კარგად მცნობი ყველა ჩვენი მოღვაწეების და საზოგადო საქმის.

ბაკრატ ბეთანჯია, ახალციხელი. სწავლა მიიღო ახალციხის სამოქალაქო სკოლაში, დღეს მასწავლებლობს, სხვა და სხვა დროს იგი წერილებს სწერდა და სწერს კიდევაც ქართულ გაზეთებში

მიხეილ ივანეს ძე აღმურავი. კაცი განათლებული და დროს მიღწეული, კარგად მცოდნეა თავის საგნის და საქმეების. იგი ისეა მომზადებული საპროვიზორო და სამკურნალო ასპარესზედ, რომ ძნელად მას თფილისში ბევრი ვინმე შეეძაროს. თფილისში ორს ალაგას კარგა ხანს „წამლხანას“ (აფთიექიც) მართავდა, სანაქებოდ და შესამცნევად. ეს სხვაფრივაც შესანიშნავი მშრომელი, განათლებული კაცია თავის ქვეყნის და საზოგადოებრივი საქმეების. იცის კარგად ქართული ენა და წერაკითხვა.

დამიტრი ნაზარავი. ქუთაისელი, განათლებული კაცია და დროის კვალად საკმარისად მომზადებული. მთელი იმერეთის საზოგადოება დამიტრი ნაზარავს კარგად იცნობს, იგი თანაბდებობით ვეჭილია და მასთან კარგად მცოდნე—თავის საქმის, ქუთაისში რომ პირველად გაზეთი „შრო-მა“ დაარსეს 1881 წ. ამ გაზეთის გამომცემლად იგი გახლდათ. უნდა ითქვას რომ ეს გაზეთი ქუთაისში როგორც პირველად გამოცემული ქართული გაზეთი სწორედ სამაგალითო იყო თავის დროის შინაარსის კვალად. დამიტრი ნაზარავმა ამ გაზეთის გამომცემით კარგი სიმპატიური ხსოვნა უნდა დაიმკვიდროს ჩვენის მწიგნობრობის ისტორიაში. იგი ხანდისხან სხვა და სხვა წერილებსაც სწერდა. სამწუხაროდ ეს გაზეთი მესამე წელს არსებობის მოისპო თავის და ძალა უნებურად, რაშიაც დამიტრი ნაზარავი დანაშაული არ არის.

სტეფანე ივანეს ძე ჭაუჭავაძე. ჯაყელები სამცხელნი არიან. ათაბაგთა ნათესავნი. კათოლიკობას იგინი აღრიდგანვე დაუკავშირდენ. კათოლიკე ჯაყელის გვარის წევრნი XIX საუკუნის

შედგვიდამ ქართველებში დიდათ განითქვეს სახელი. დღეს კი სიმცირე ეტყობა ამ გვარის წევრთ. ამათგანი გახლავთ სტეფანე ივანეს ძე. განათლებული კაცია, თანამდებობით ვეკილი. 60 წლებს მიღწეულია. ერთ დროს ბაქოშიაც მსახურებდა. ესევე პირი ამხანაგი იყო სანჯეთო საქმეებში კონსტანტინე ზუბალაშვილთან. დღეს იგი თფილისში სცხოვრებს და აქაც იგი ირიცხება ერთს ამაგდარ პატიოსან ცნობილ პირად.

ზროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მედიკიშივილი. ცნობილი განათლებული პირი გახლავთ არამც თუ მარტოდ ჩვენში, არამედ მთელს რუსეთის მეცნიერთა წინაშე. 40 წლებს არის მისული. პირველად თფილისის კლასიკურს გემნაზიაში სწავლობდა, მერე ოდესის უნივერსიტეტში გახლდათ, სადაც შესანიშნავად დაამთავრა საექიმო სწავლა. იგი იქამდე მოწონებული იყო პროფესორებისაგან რომ იქვე უნივერსიტეტში იქმნა დატოვებული. დღეს მას თავის საგნის პროფესორობა უკავია ზემოხსენებულსავე უნივერსიტეტში.

პეტრე გრიგოლის ძე მედიკიშივილი გახლავსთ დიდათ განვითარებული პირი, მეცნიერულად მომზადებული პროფესორი თავის საგანში. იგი სამეცნიერო ასპარესზედ დაულღელი მუშაკია. მისი ნაშრომი წიგნები საექიმო მეცნიერებთა სხვა და სხვა ნაწილებში დიდს ადგილ იკავებენ, მათ შეაქვსთ ბევრი რამ სამეცნიერო ახსნა და განვითარება. მისის ლექციების შესახებ მე ბევრჯერ შემხვედრია აქა იქ გაზეთებში ქება და დიდება, მისგან დაბეჭდილი სამეცნიერო წიგნები ყოველთვის პატივით და ქებით მოუხსენებიათ სხვა და სხვა დროს. როგორც მეცნიერი პროფესორი, იგი თავის მოწაფეებში ნათელს ჰფენს, მოწაფეთა გონებასა და მათ ვითარებას ერთი ათასად აცხოვლებს. მისგან წახალისებულნი სტუდენტები გამხნეებით სწავლობენ და შრომობენ სამეცნიერო ასპარესზედ.

როგორც კაცად კაცი და საქართველოს შვილი, თავის თანამემამულეთა საქმეებსაც დიდის პატივისცემით უმზერის.

ოდესაში მყოფს ქართველ მოწაფეებს დიდს დახმარებას და მფარველობას უწევს. მისის მადლობელთაგანი მე მრავალი მინახამს და მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდათ, რომ ქართველებს, ოდესაში, პატივცემულის პროფესორის ვასილი პეტრიაშვილის გვერდით ასეთი მხნე, გამოჩენილი მეცნიერ მამულიშვილი პროფესორი გვყავსო. მთელი ქართველობა მსწავლულის მელიქიშვილის შრომას დიდს პატივისცემით მოიგონებენ და ისე აღნიშვენ.

ეკატერინე გრიგოლის ასული მესხისა. მეუღლე განსვენებულის სერგეი მესხის. და სტეფანე მელიქიშვილის - აღრინდელის „ღროების“ გამომცემლის. თვით ამათი მეუღლე სერგეი მესხიც ხომ „ღროების“ რედაქტორად გახლდათ გ. წერეთლის შემდეგ. ეკატერინე გრიგოლის ასული ქართველ ქალთა ცხოვრების ასპარესზედ სამაგალითო მშრომელი პირი ბრძანდება. დიდათ პატივცემული და ამაგდარი ქართველის საზოგადოების წინაშე სამშობლო ქვეყნის სამსახურით. ეკატერინე გრიგოლის ასული გულ მხურვალე მონაწილეობას იღებდა „ღროებაში“, აქ ამას მეტად დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის. მისის მშვენიერის თარგმანებით სავსე იყო „ღროება“, სხვა გამოცემებშიაც იღებდა მონაწილეობას. განათლება აქვს უმაღლესად მიღებული, იცის ევროპიული ენები. რაც და როგორც წინეთ შრომობდა, დღესაც ისეთივე პატიოსანი მშრომელი აღამიანი გახლავსთ.

ჩვენს ღროში, ქართველ ქალებთ შორის, ერთობ იშვიათი გახლავსთ ასეთ პატიოსანი ამაგდარ მანდილოსნების პოვნა. ეკატერინე გრიგოლის ასული იშვიათი ხასიათის და მამულის-შვილობით აღვსილი აღამიანი ბრძანდება. მან თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა სამშობლო ქვეყნის წინაშე, და აღბეჭდა თვისი აღამიანობის ნიშანი, დღესაც ისეთივე პირი გახლავსთ და სამაგალითო. სანატრელია, რომ ამ ყოველად პატიოსანს აღამიანს ჩვენი ახალგაზრდა ქალები და ნამეტურ მოღვაწეები ხშირად მიჰბაძავენ დიდათ პატივცემულს და ამაგდარ მშრომელს ეკატერინე გრიგოლის ასულის

ნაყოფიერს მაგალითებს. ღირსი კია რომ ოდესმე ამ პატიოსანის მშრომლის ზოგი რამ ნაწერები ერთად შეიკრიბოს და დაისტამბოს. ეს იქმნება ჯილდო და პატივისცემა იმ ღიადის შრომისა, რაც კი ამ დაუღალავ მშრომელს ჩვენს მწერლობის ასპარეზზედ აქვს დანერგილი.

ევგ—სოლორაშვილისა. დაი გრიგოლ სოლორაშვილისა, ბოკლის „ცივილიზაციის ისტორიის, „მთარგმნელისა, ეს ქალი მეტად პატიოსანი, კარგი, თავდადებული შრომის მოყვარე გახლავსთ. განათლებული, მომზადებული და ხალხის საქმეებისაც დიდათ მოყვარული. იგი არის სამაგალითო მოღვაწე თავის ასპარეზზედ და მრავალთაგან მისაბაძი. ამ ქალმა სხვათა შორის ქართულს ენაზედ სთარგმნა და ცალკე წიგნად დასტამბა 1900 წ. „მუშათა კითხვა“ რაიხსბერგისა, ამ წიგნმა დიდი, კარგი გავლენა იქონია მუშა ხალხზედ, სხვა სამოღვაწო კეთილის საქმეებითაც ცნობილია ეს ყოველად პატიოსანი.

ბარბარე სიმონის ასუდი ჩივიანისა. მომზადებული მასწავლებელი სამრევლო სკოლისა.

ნატალია იაკობის ასუდი მიზანდარისა. ხელ საქმის და ქრა-კერვის მასწავლებელი ქუთაისის საქალებო წმ. ნინოს სასწავლებელში, კარგად იცის ქართული ენა და წერა-კითხვა.

ნინო მიხეილის ასუდი მასურავისა. ძველად მაისურაძე, მასწავლებლობს წმინ. ნინოს საქალებო სკოლაში, იცის კარგად ქართული ენა.

სოფია სტანისლავა მასურავის ასუდი. ზედამხედველი თელავის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის.

ბარბარე მიხეილის ასუდი ბეზინგანავისა. მასწავლებელი თფილისის ქალთა გამოსაცდელ საეკლესიო სკოლაში.

ნინო მიხეილის ასუდი დაკიშვიანისა. მასწავლებელი საეკლესიო სკოლებში.

ანნა იაკობის ასუდი მამულავისა. მასწავლებლობს ხელსაქმეთა სკოლაში.

ნინო ბადასარის ასუდი შახინავისა. თიატრში მოთამაშე გახლავსთ და კარგი ხმოვანი მომღერალიც.

მარიამ ალექსანდრეს ასუდი თავ. თუმანაშვილისა. მასწავლებელი მუსიკისა, სხვა და სხვა კეთილის საქმეებითაც შესამჩნევი. ყოველ აქ მოხსენებულ მოღვაწე ქალთაგანს აქვს თითო რამ უპირატესი საყურადღებო მნიშვნელობა და ღირსება.

განზრახვა მქონდა, რომ ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებიდამ რამდენიმე წიგნი დამებეჭდა და მით აღმენიშნა მათი რიცხვი და ნაწალი ჩვენი მწერლობის და საზოგადოებრივი მოქმედების ასპარესზედ. ეს მე მით უფრო მინდოდა, რადგანაც ქართველთა წინაშე გამოსჩნდებოდა კარგად ის გარემოება, რომ თუმცა საქართველოში, ქართველთ შორის, ქართველი კათოლიკენი რიცხვით დიდი არ არის, მაგრამ მიუხედავად მის მათში ყოველთვის ყოფილან და არიან ისეთი პირებიც, რომელნიც ჩვენ საქმეებთან მტკიცეთ ყოფილან დაახლოვებულნი, ერთ უღელში შემბულნი და დიდათაც გულშემატკივარნი სამშობლო ქვეყნის და ქართულის მწიგნობრობის. თორემ ქართველებში ძალიან ბევრი გახლავან ისეთინი, რომელთაც ქართველ კათოლიკეთა არსებობის შესახებ წარმოდგენაც არა აქვსთ. ეს წიგნაკები აუწყებთ მათ კარგად, რომ საქართველოში, არიან ისეთი ქართველნიც, რომელნიც ქართველებთან ერთად ერთის სჯულის არარიან, მაგრამ ტომით, ერთ კი ქართველები არიან და კარგადაც ქართველობენ—ანუ კაცად კაცობენ. ვგონებთ ამის დასამტკიცებლად ეს წიგნაკებიც კმარა.

ცხადია, რომ ამ წიგნაკში, სხვა და სხვა მოღვაწეთა აღწერის გვერდით, ჩვენ ბევრი რამ გამოგვჩიბოდა. ამაზედ ნურვინ გაკვიცხას, ჩვენ რაც ვიცოდით და რაც მოვახერხეთ ის აენუხსეთ. თუ ღღის შემდეგ ამ მაგალითით სხვა პირთა საყურადღებო ცნობებიც აღმოჩნდებიან, მაშინ რასაკვირველია არც იმათ დავტოვებთ, იმათ შესახებაც შევკრებთ და ერთად აენუხსავთ, ამაში თვით უნდა დაგვეხმარონ, თორემ ერთი კაცი ყველას ვერ მისწვდება. დავძენ იმასაც რომ, ამ ცნობებს როგორც ვკრებდით ისევე ვბეჭდავდით და ამიტომ მოხდა რომ ზოგი ძველი პირის ცნობა შემდეგ დროშია მოყვანილი და ზოგი კი წინ. მიზეზი ეს გახლავსთ რომ დროთა და დროთა მცხოვრებთ აღწერანი თავ-თავის ალაგზედ არ გახლავსთ მოთავსებული.

ს. ჭიჭინაძე

გეორგი იუმანაგის ქუჩა, სასლი 30 №-ლი

25 კაბ.

მომზადებულია შემდეგი წიგნები დასაბეჭდათ

- 1, ქართველი გრიგორიანები.
- 2, სოლომონ ლეონიძე.
- 3, ისტორია ქართველ კათოლიკეთა IX—XIX მდე.
- 4, ხელოსნები და აქრული წესები საქართველოში.
- 5, ქართული მკურნალნი და დოსტაქარნი X.—XVIII მდე.
- 6, ბატონყმობა საქართველოში, ორი ტომი.
- 7, ოსმალეთის საქართველო.

189